

საქართველო საბავშვო

საქართველოს
ბავშვთა



3 1982



საგჟოთა სამკათაღი

N^o 3

მაისი
ივნისი

1982 წელი

ქურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ქურნალი**

შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღება საქართველოს სსრ პროკურატურის ქველა მუშაკს	3
შენვებრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში	4
საგჟოთა პროკურატურის მესამოცე წლისთავისათვის	
ა. ბარბაქაძე — საპროკურორო ჯეღახედელოზის ეფექტიანოზისათვის	5
ა. ფალიაშვილი — საგჟოთა პროკურატურის ბანვიტარების ძირითადი მტაკები	13
მ. ჯანუში — საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნა	19
ცნობა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლეების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევენის შედეგების შესახებ	22
საქართველოს სსრ ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეთა სია	23
ა. შუშანაშვილი — სახალხო მოსამართლეების არჩევენები და ჩვენი ამოცანები	28
საგჟოთა ადვოკატურის მესამოცე წლისთავისათვის	
ბ. კოინიშვილი — ავამალმოთ ადვოკატურის ავტორიტეტი, მისი როლი მართლმსაჯულეების განხორციელეაში	37
გ. კომახიძე — საქართველოს სსრ ადვოკატურის ისტორიიდან	43
სასამართლო პრაქტიკა	
ფ. შაფიაშვილი — თანამდებოგრივი დანაშაულის ჯოგირეტი საღოო საკითხი სასამართლო პრაქტიკაში	47
სასურსათო პროგრამის სმართველბრივი ურუწველყოფის საკითხები	
ჯ. ანვლედიანი — ტიკოგრივი ხელშეკრულეები კირად დამხარე მიურნეობე-ში კირტუქვისა და ფრინველის ბამოჯრდისა და შექვიდვის შესახებ	56
გ. ქურდიაძე — ბამოქმიბელთა დიდი ჯოგუმი	64
ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დაბადების ასმეთე წლისთავისათვის	
ვ. მახაშვილი — რეგოლუციონეთა და პროგრესულ საჯოგადო მოღვაწეთა თავდადებული ქომაგი	67
ოფიციალური მასალა	72
ინფორმაცია	78
ცნობები ავტორთა შესახებ	80

СОДЕРЖАНИЕ



Приветствие Центрального Комитета Компартии Грузии всем работникам Прокуратуры Грузинской ССР	3
Встреча в Центральном Комитете Компартии Грузии	4
К ШЕСТИДЕСЯТИЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ПРОКУРАТУРЫ	
А. Барабадзе — Повысить эффективность прокурорского надзора	5
А. Палиашвили — Основные этапы развития Советской прокуратуры	13
О. Зангури — Создание прокуратуры Грузинской ССР	19
К ШЕСТИДЕСЯТИЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ АДВОКАТУРЫ	
Сообщение о проведении выборов народных судей и народных заседателей Грузинской ССР	22
Список новоизбранных народных судей Грузинской ССР	23
А. Шушанашвили — Выборы народных судей и наши задачи	28
Г. Роинишвили — Повысить авторитет адвокатуры, ее роль в осуществлении правосудия	37
М. Комахидзе — Из истории адвокатуры Грузинской ССР	43
СУДЕБНАЯ ПРАКТИКА	
Ш. Папиашвили. Некоторые спорные вопросы должностных преступлений в судебной практике	47
ВОПРОСЫ ПРАВОВОГО ОБЕСПЕЧЕНИЯ ПРОДОВОЛЬСТВЕННОЙ ПРОГРАММЫ	
З. Ахвледзиани — Типовые договора выращивания и закупки скота и птицы в личных подсобных хозяйствах	56
М. Курдадзе — Большой форум следователей	64
К СТОДЕСЯТИЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Л. Н. АНДРОНИКАШВИЛИ	
В. Макашвили — Заступник революционеров и прогрессивных общественных деятелей	67
Официальный материал	72
Информация	78
Сведения об авторах	80



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), დ. აღეჭსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, აღმოსავლური კრ. 108. ტ. 95-98-87, 95-98-49.

გადაეცა ასაწყობად 7. 06. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 07. 82 წ.,
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 7,5

შეგვ. № 1286

ტირაჟი 16500

უგ 05624

საქ კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს სსრ პროკურატურის ყველა ბუკავს

პატივცემულო ამხანაგებო!

17236

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ თქვენ საბჭოთა პროკურატურის შექმნის სახელოვან მესამოცეწლისთავს.

სახელმწიფო მმართველობის ამ დიდმნიშვნელოვანი ორგანოს ყველა თაობის მუშაკები, რომლებიც ასრულებენ დიდი ლენინის — მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს პროკურატურის შექმნის ინიციატორის ანდერძს, თავდადებით იბრძოდნენ და იბრძვიან სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, ყოველგვარ სამართალდარღვევათა აღკვეთისათვის.

სამოცი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა — სსრ კავშირის პროკურატურის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა, დიდი და სახელოვანი გზა განვლო.

რესპუბლიკის პროკურატურის მათიანე მდიდარმა შესანიშნავი ტრადიციებით, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებშივე იშვა.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე მისი თანამშრომლები ჩვედგრად იდგნენ პარტიისა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, იჩენდნენ კლასობრივ სიფხიზლეს და მორალურ სიმტკიცეს, რითაც რესპუბლიკის მშრომელთა დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვეს.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში საქართველოს პროკურატურა ფხიზლად ადევნებდა თვალს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებათა, ომის დროის კანონების, სოციალისტური კანონიერების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას. პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების ბევრი მუშაკი გამირულად იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში, სიცოცხლეს არ იშურებდა დიადი გამარჯვებისათვის.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური კანონიერებისა და დემოკრატიის განვითარებასა და განმტკიცებაში ომის შემდგომი ხუთწლებების მანძილზე.

ჩვენი რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაკებს, რომლებიც რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად იბრძვიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის, ღირსეული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სოციალისტური მორალისა და სამართლის ნორმების საყოველთაო დამკვიდრებაში. სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, სხვა საშიშ დანაშაულობათა შესახებ უკანასკნელ წლებში პროკურატურის ორგანოების მიერ გახსნილმა და გამოძიებულმა საქმეებმა ხელი შეუწყო პროკურატურის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

დღეს პროკურატურის ორგანოების წინაშე დასახულია ახალი, პასუხსაგები ამოცანები. მათ ევალებათ კიდევ უფრო ეფექტიანად იმუშაონ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკისათვის, დამ-

ტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურ ზედამხედველობას ეწევა კანონიერების დაცვისა და დამნაშავეობასთან ქმედითი ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

პროკურატურის ორგანიზაციისა და შემდგომი საქმიანობის ლენინური პრინციპები აისახა და განვითარდა 1977 წლის კონსტიტუციაში, რომელშიც თავის მხრივ საფუძველი დაედო კანონს „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“. ეს კანონი, რომელიც მიიღო სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1979 წლის 30 ნოემბერს, აძლიერებს პროკურატურის შესახებ წინანდელი კანონმდებლობის მრავალ დებულებას, ამასთან ერთად შეიცავს ახალ ნორმებსაც, რომლებიც გამომდინარეობს განვითარებული სოციალიზმის პირობებში პროკურატურის კონკრეტული ამოცანებიდან.

კანონი „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების იურიდიული ფუნდამენტია. მასში გამოხატულია დიდი მოთხოვნები, რომლებსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უყენებენ პროკურატურის ორგანოებს კანონიერების დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში უმაღლესი ზედამხედველობის განსახორციელებლად.

საბჭოთა პროკურატურა, რომელიც მტკიცედ დგას სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე, ხელს უწყობს საბჭოთა კანონების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას. გავლენას ახდენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაზე კანონიერების დაცვის დარგში. განამტკიცებს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფოსადმი, მისი ორგანოებისადმი.

პროკურატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, რომლებშიც ისინი გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს კანონიერების დაცვის მდგომარეობისა და მისი განმტკიცების გზების შესახებ, გვატყობინებენ კანონის დარღვევის ფაქტებს, აყენებენ წინადადებებს მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. ამის წყალობით პროკურატურის ორგანოები მტკიცედ იცავენ მოქალაქეთა შრომის, საოჯახო და სხვა უფლებებს, პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას.

დამნაშავეობასთან, ყოველგვარ უკანონობასთან უკომპრომისო, ბრძოლა, რომელიც დღეს ჩვენში მიმდინარეობს, სათავეს იღებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილი დადგენილების მიღების დღიდან. ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტის წყალობით შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო ათი წელია ამ დადგენილების შესასრულებლად ამწვავებს ბრძოლას ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან, მოუირიდებლად და გაბედულად გამოაქვს სააშკარაოზე რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებული მანკიერებანი. ამგვარმა ატმოსფერომ პროკურატურის ორგანოებისაგან მოითხოვა თავისი ყველა მუშაკი განეწყო და დაერაზმა ამავე სულისკვეთებით, ყველაფერი ეღონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის. რამდენიმე წელია ჩვენ ამის მისაღწევად წარვმართავთ როგორც ცენტრალური აპარატის, ისე ადგილობ-

რივი ორგანოების მთელ საქმიანობას. ეს კი ჩვენი უცილობელი წარმატების პირობა და საფუძველია.

სკკპ XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რესპუბლიკაში ხორციელდება თანამიმდევრული და გამიზნული ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად. დიდი როლი ამ კურსის განმტკიცებაში შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებამ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელშიც ნაჩვენებია მართლწესრიგისა და კანონიერების მნიშვნელობა განვითარებული სოციალიზმის პარობებში, ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზებულია ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები, დასახულია სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანები, შემუშავებულია ამ დარგში პარტიული, სპეციალური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა.

მთავარი ტენდენცია, რომელიც ბოლო წლებში გამოიკვეთა, ეს არის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება, პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის შემდგომი რეალური განმტკიცება. ახლა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რესპუბლიკაში შექმნილია ერთიანი ფრონტი, შემუშავებულია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დამნაშავეობის პროფილაქტიკის, დანაშაულთა გახსნის, დამნაშავეთა დასჯისა და გამოსწორების საქმის მაქსიმალურ სრულყოფას.

განვლილი სამოცი წლის მანძილზე რესპუბლიკის პროკურატურას არ მოჰკლებია ნამდვილად ლენინური, პარტიული ზრუნვა, როგორც პარტიული ორგანოების, ისე სსრ კავშირის პროკურატურის მხრივ. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პროკურორებისა და გამომძიებლების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ამ ზრუნვის კონკრეტული შედეგია ის, რომ დღეს რესპუბლიკის პროკურატურის თითქმის ყველა ოპერატიულ ბუშაქს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. მათი 84,7 პროცენტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, რ, რ პროცენტი საკავშირო ალკვ წევრი, ბევრი კი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

პრაქტიკაში მტკიცედ არის დანერგილი კადრებთან მუშაობის ერთ-ერთი პარტიული პრინციპი — გამოცდილი და ახალგაზრდა მუშაეების ურთიერთშეწყობა. მამაკაცების გვერდით წარმატებით შრომობენ ქალები, რომლებიც მუშაუთა საერთო რაოდენობის 7,9 პროცენტს შეადგენენ.

პროკურორთა და გამომძიებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ღრმად იდეური, პარტიისა და სპეციალური ერთგული და საქმისათვის თავდადებული მუშაეები არიან. ისინი შრომობენ თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით, დიდ და დაძაბულ მუშაობას ეწევიან დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას საქმეში დამსახურებისათვის რესპუბლიკის პროკურატურის ოპერატიულ მუშაეთა დიდი ჯგუფი დაჯილდო-

ებულია ორდენებით, მედლებით და სიგელებით. ბევრს გამოცხადებული აქვს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მადლობა.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად ჩვენი პროკურორები და გამომძიებლები ეწევიან მრავალფეროვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას: ბევრი მათგანი არჩეულია პარტიული კომიტეტების წევრებად, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებად, არიან პროპაგანდისტები, სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელები.

რესპუბლიკაში გაჩაღებულმა საერთო-სახალხო ბრძოლამ სანიმუშო მართლწესრიგისათვის, ცხოვრების საბჭოური წესის დამკვიდრებისათვის, უკვე მოგვცა თვალსაჩინო შედეგები. ამან სამართალდამცავ ორგანოებს შეუქმნა ეფექტიანი შრომის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ ერთდროულად ისინი დააყენა დიდი პასუხისმგებლობის წინაშეც — უფრო ეფექტიანად იშრომონ, გარდაქმნან მუშაობა პარტიის ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

ბნაია, რომ გაზრდილი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ კეთილსინდისიერ, სამართლიან და კომპეტენტურ მუშაებს, ამიტომ არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მხარდაჭერით უკანასკნელ წლებში ჩვენი უპირველესი საზრუნავი იყო კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის საქმეში ნამდვილად სახელმწიფოებრივი, ლენინური წესრიგის დამყარება. პარტიის 70-იანი წლების დევიზი — „თუ ბრძოლის მორალური უფლება გვაქვს, დარჩი მწყობრში“ საფუძვლად დაედო რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საკადრო პოლიტიკას.

პროკურატურის მუშაკთა შრომის შეფასების მთავარ კრიტერიუმად იქცა სკკპ XXVI ყრილობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდა იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა. ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიონალური ცოდნა უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდაობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი“¹.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად განსაკუთრებით ამდლდა საერთო ზედამხედველობის ეფექტიანობა. მისი მახვილი უპირველესად მიმართულია საპროკურორო ზედამხედველობის საბოლოო მიზნის — კანონიერების დარღვევათა გამოვლინებისა და თავიდან აცილებისათვის. ბოლო ხანებში პროკურორები უფრო აქტიურად და ენერგიულად იყენებენ თავიანთ რწმუნებებს კანონმდებლობისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, უყიარათობის, მფლანგველობისა და დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლო მოელო ზერელე, ფორმალურ, უსისტემო შემოწმებათა მანკიერ პრაქტიკას.

განმტკიცდა კონტაქტები და კოორდინაცია სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, სახალხო კონტროლის, სხვა სამართალდამცავ და მკონტროლებელ ორგანოებთან. მათგან ჩვენ პერიოდულად ვიღებთ ინფორმაციას კანონიერების მდგომარეობის თაობაზე, ვაანალიზებთ და საფუძვლად ვუდებთ საერთო ზედამხედველობის ხაზით კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებას. პრაქტიკაში დამკვიდრდა ერთობლივი შემოწმებები.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, 1981, გვ. 101.

მართო შარშან სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად შემოწმდა: სახელმწიფო დისციპლინის დაცვის მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, მთელს რესპუბლიკაში კანონმდებლობის შესრულება, რათა თავიდან აგვეცილებინა ახალი მოსავლის დატაცება, გაფუჭება და განადგურება.

მოეწყო აგრეთვე „საქნავთობმომარაგებაგასაღების“ სახელმწიფო კომიტეტის და „საქსახსოფლტექნიკის“ სისტემის, რესპუბლიკის სასამართლო სამედოცინო საექსპერტო ბიუროს და სხვა ორგანიზაციების ერთობლივი შემოწმებები.

ბ ქლიერდა ზედამხედველობა საკონტროლო ორგანოების საქმიანობისადმიც, რამაც ხელი შეუწყო მათი აქტიურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას, კონტროლისა და შესრულების შემოწმების სრულყოფას, დარღვევათა დროულად გამოვლინებასა და აღკვეთას.

საზედამხედველო საქმიანობის ორგანიზაციულმა და თვისებრივმა გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სახელმწიფო ქონების ხელყოფის, წამატებებისა და უყაირათობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას, კანონიერების დაცვის მდგომარეობისადმი წარმოების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პროკურატურის ორგანოებმა საერთო ზედამხედველობის ხაზით მიაღწიეს ისეთ მაჩვენებლებს, რომ ეს არაერთხელ აღინიშნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებსა და მითითებებში.

საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებებისა და ინფორმაციების საფუძველზე მხოლოდ გასულ და მიმდინარე წელს ევალაზე დიდმნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე მიღებულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მისი კომისიების ოცდაათზე მეტი დადგენილება, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

კ მკამად პროკურატურის ორგანოები დგანან კიდევ უფრო გაზრდილი ამოცანების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა ჩვენი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა საკავშირო თათბირზე 1981 წლის აპრილში სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. რეკუნკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „პროკურატურის მუშაკები კიდევ უფრო ენერგიულად და აქტიურად უნდა შრომობდნენ, თავიანთი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით აღწევდნენ რეალურ შედეგებს მართლწესრიგის განმტკიცებაში. ჩვენ გაბედულად უნდა ამოვიძიკვოთ უსულგულობა, ადამიანებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება, უპრინციპობა, შემგუებლობა, გავეწმინდოთ ჩვენს რიგები შემთხვევითი, უპატიოსნო ადამიანებისაგან“.

რესპუბლიკის პროკურატურამ ამ მოთხოვნათა სარეალიზაციოდ უკანასკნელ წლებში ბევრი მოფიქრებული, პრინციპული ღონისძიება განახორციელა საპროკურორო კადრების თვისებრივი გარდაქმნისათვის. ამის შედეგად არაერთმა სახელგატეხილმა და საეჭვო რეპუტაციის მუშაკმა დატოვა პროკურატურის რიგები. ბრძოლა კეთილსინდისიერი, პრინციპული მუშაკებისათვის კვლავაც გაგრძელდება, სანამ იგი მიყვანილი არ იქნება მის ლოგიკურ დასასრულამდე.

პარალელურად ჩვენ დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ვეკიდებით პროკურორებსა და გამომძიებლებს, რომლებიც ფიზიკურად დგანან საბჭოთა კანონის სადარაჯოზე, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას, იცავენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, საბჭოთა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას.

ასეთი მუშაკები არიან: გურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, გორის, ახალქალაქის რაიპროკურორები ი. გაბისონია, ტ. მეტრეველი, ზ. ტუშური, ვ. ბაღრიძე, ი. აბრამიანი, ქ. ჭიათურის პროკურორი შ. მიროტაძე; პროკურორი ქალები — სამტრედიის რაიონის დ. იმნაიშვილი და ახალციხის რაიონისა ც. კორგაძე, რესპუბლიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები გ. აგლაძე და გ. ხაბულიანი, ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ო. ნიკოლაშვილი, ქ. სოხუმის პროკურატურის გამომძიებელი შ. კვიციკელია, ლავოდეხის რაიპროკურორის გამომძიებელი ო. ხარაიშვილი და სხვები.

ეს ადამიანები მიგვაჩნია ჩვენს ოქროს ფონდად. მათ ყოველთვის გავუფრთხილდებით, ვინაიდან სწორედ ისინი უქმნიან ავტორიტეტს პროკურატურის ორგანოებს. ასეთ მუშაკთა საქმიანობას ემყარება ჩვენი მშრომელების რწმენა და პატივისცემა პროკურატურის ორგანოებისადმი, სახელობრ, ამ თვისებების მქონე პროკურორებისა და გამომძიებლების საქმიანობა უდევს საფუძვლად მაღლიერების წერილებს, რომლებსაც ბოლო ხანებში ლეზულობს რესპუბლიკის პროკურატურა მოქალაქეებისაგან. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ მათი კანონიერი ინტერესებისა და კონსტიტუციური უფლებების სამართლიანი და პრინციპული დაცვისათვის. ამ წერილებში გამოხატული საზოგადოებრივი აზრი საპროკურორო შრომის ყველაზე დიდ დაფასებად, სასურველ მაჩვენებლად მიგვაჩნია.

უკანასკნელ წლებში კადრებთან მუშაობაში ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მონაპოვრად მიგვაჩნია ის, რომ ყოველმხრივ ამაღლდა ჩვენი მუშაკების პასუხისმგებლობის გრძობა, პროკურორი თუ გამომძიებელი დაკისრებულ მოვალეობას აღიქვამს არა მარტო როგორც სამსახურებრივ ვალდებულებას, არამედ როგორც დიდმნიშვნელოვან პარტიულ დავალებას.

ბოლო წლებში რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთ ძილწევად მიგვაჩნია პარტიულ ორგანოებთან მათი კავშირუროთიერთობის განმტკიცება. მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს ჩვენი საქმიანობის ამაღლების გადამწყვეტი პირობაა.

დღეს რესპუბლიკაში არ არსებობს სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური პრობლემა, რომელზეც არ გვექონდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, სახელმძღვანელო მითითება თუ რეკომენდაცია.

პარტიული ორგანოების ასეთი მხარდაჭერა ბუნებრივია ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას. პროკურატურის მუშაკებმა უფრო აქტიურად და მიზანსწრაფულად უნდა იბრძოლონ კანონიერების განმტკიცებისათვის, კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, ყველაფერი ილონონ მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

პროკურორებისა და გამომძიებლებისაგან ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ მუდამ ხელმძღვანელობდნენ პარტიის მითითებებით: განამტკიცონ სახელმწიფო

და შრომის დისციპლინა, ყოველმხრივ დაიცვან სოციალისტური საკუთრება და მართლწესრიგი, მიიღონ ზომები სამართალდარღვევათა თავიდან აცილებსათვის. თანამედროვე პირობებში ეს არის საერთო-სახელმწიფო, საერთო-პარტიული საქმე.

3 პროკურატურის ორგანოთა სადღეისო ამოცანები ნათელია და კონკრეტული. კვლავაც უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს ბრძოლა იმ მთავარი მიმართულებებით, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებს დაუსახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებების, მექრთამეობის, ქურდობის, ავტომოტორანსპორტის გატაცების, მუქთანობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ, ეს არის ბრძოლა დანაშაულობათა მიჩქმალვის, სამართალდამცავ ორგანოებში ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის გაღრმავების აუცილებლობას გვიკარნახებს ის, რომ დატაცებების, მექრთამეობის და სხვა საშიშ დანაშაულობათა ფაქტები კვლავ მეორდება. მათი მინიმუმამდე შემცირება და შემდეგ საბოლოოდ აღმოფხვრა მხოლოდ მწვავე, უკომპრომისო თანამიმდევრული ბრძოლით შეიძლება.

დღეს ჩვენი საქმიანობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია სამი ძირითადი მიმართულებით: პირველი — გაძლიერდეს საპროკურორო ზედამხედველობის როლი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაში და სასურსათო პროგრამის განხორციელებაში;

მეორე — არ შენეოდეს ბრძოლა დამტაცებელთა, მექრთამეთა, სპეკულანტთა და სხვა ჯურის ბოროტმოქმედთა გამოსავლენად და დასასჯელად.

მესამე — კვლავაც გააქტიურდეს საპროკურორო ზედამხედველობა მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განუხრელად დაცვისათვის.

კომუნისტური პარტიის მიერ დასაბუთი სადღეისო ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია გავამწვავოთ ბრძოლა ისეთი საშიში და სამარცხენო დანაშაულის წინააღმდეგ როგორც არის მექრთამეობა.

ამ კატეგორიის განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე დანაშაულობანი, რომლებიც ბოლო ხანს გამოქვანდა, წარმოადგენს იმ ლენინური პრინციპის კონკრეტულ რეალიზაციას, რომ მექრთამეობასა და სხვა თანამდებობრივ, ანგარებით დანაშაულობათა ჩადენისათვის კიდევ უფრო მიუტევებელი და მკაცრი უნდა ვიყოთ ყველას, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელ მუშაკთა მიმართ. ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილია ისეთი ვითარება, რომ რა მატალი პოსტი და დამსახურებაც უნდა ჰქონდეს პირს, მას არაფერი არ ეპატიება.

4 რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადგილებზე, ახორციელებს ღონისძიებათა კომპლექსს, „სამართალდამცავ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალისმის გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა უზრუნველყოთ სწორი საპროკურორო ზედამხედველობა, მკაცრად მოეკითხოს თანამდებობის პირებს, რომლებიც ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდებიან სამსახურებრივი მოვალეობის

შესრულებას, სუსტად ებრძვიან დამნაშავეობას, სახალხო დოვლათის დატაცებებს, უყაირათობას, შემრიგებლობას იჩენენ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისადმი, უგულვებელყოფენ საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, უხეშად არღვევენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. თანდათანობით მკაცრდება ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ თვით პროკურატურის ორგანოებში.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის ორგანოებში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები საბოლოოდ არ არის აღკვეთილი. ამ მანკიერებასთან ბრძოლის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად კვლავაც გვმართებს სერიოზული მუშაობა.

საქართველოს პროკურატურის ორგანოებს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და ნაკლოვანებები აქვთ. ჯერ კიდევ არადაამაყყოფილებელია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება. ხშირად იგი უხარისხოდ ტარდება და უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება. არაკვალიფიციურ საგამოძიებო მოქმედებათა გამო მრავალი სისხლის სამართლის დანაშაული გაუხსნელი რჩება, მათ შორის ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორც არის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვა.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ყველგან ვერ მოგვცა სასურველი შედეგი.

ქალაქებში, რაიონებსა და დასახლებულ პუნქტებში ისეთ დანაშაულობათა გავრცელების გამო, როგორც არის ქურდობა, ხულიგნობა და ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი, საზოგადოება, მშრომელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, სამართლიან პრეტენზიებს გვიყენებენ და ეს არ არის საფუძველს მოკლებული. რესპუბლიკის მშრომელებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურას, რომ ისინი მუშაობდნენ უფრო ეფექტიანად, მაქსიმალური დატვირთვით, რომ ყოველ დანაშაულს ჯეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეებს საკადრისად სჯიდნენ.

რესპუბლიკის პროკურატურა საბჭოთა პროკურატურის იუბილეს ხვდება პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად მონოლითურად დარაზმული. პროკურატურის მუშაკები კვლავაც აამალებენ ბრძოლისუნარიანობას, რათა წარმატებით გადაწყვიტონ რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

შესრულებას, სუსტად ებრძვიან დამნაშავეობას, სახალხო დოვლათის დატაცებებს, უყაირათობას, შემრიგებლობას იჩენენ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისადმი, უგულვებელყოფენ საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, უხეშად არღვევენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. თანდათანობით მკაცრდება ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ თვით პროკურატურის ორგანოებში.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის ორგანოებში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები საბოლოოდ არ არის აღკვეთილი. ამ მანკიერებასთან ბრძოლის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად კვლავაც გვმართებს სეროიზული მუშაობა.

საქართველოს პროკურატურის ორგანოებს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და ნაკლოვანებები აქვთ. ჯერ კიდევ არადაამკმაყოფილებელია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება. ხშირად იგი უხარისხოდ ტარდება და უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება. არაკვალიფიციურ საგამოძიებო მოქმედებათა გამო მრავალი სისხლის სამართლის დანაშაული გაუხსნელი რჩება, მათ შორის ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორიც არის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვა.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ყველგან ვერ მოგვცა სასურველი შედეგი.

ქალაქებში, რაიონებსა და დასახლებულ პუნქტებში ისეთ დანაშაულობათა გავრცელების გამო, როგორიც არის ქურდობა, ხულიგნობა და ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი, საზოგადოება, მშრომელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, სამართლიან პრეტენზიებს გვიყენებენ და ეს არ არის საფუძველს მოკლებული. რესპუბლიკის მშრომელებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს, მათ შორის პროკურატურას, რომ ისინი მუშაობდნენ უფრო ეფექტიანად, მაქსიმალური დატვირთვით, რომ ყოველ დანაშაულს ჯეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეებს საკადრისად სჯიდნენ.

რესპუბლიკის პროკურატურა საბჭოთა პროკურატურის იუბილეს ხედება პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად მონოლითურად დარაზმული. პროკურატურის მუშაეები კვლავაც აამაღლებენ ბრძოლისუნარიანობას, რათა წარმატებით გადაწყვიტონ რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

საბჭოთა პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები

ა. ფალიაშვილი,

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდია სამართალდამცავი ორგანოების, განსაკუთრებით საბჭოთა პროკურატურის ღვაწლი. სკკპ XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, რომ: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდია იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა“¹.

საპროკურორო ზედამხედველობა სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთი კონსტიტუციური ფორმაა. სსრ კავშირის დაარსების პირველი დღეებიდანვე პროკურატურა მტკიცედ დგას საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე, ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას კანონთა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი, რაც ხაზგასმულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 164-ე მუხლში და ახალ კანონში „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ (მუხ. 1).

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შექმნილი საბჭოთა პროკურატურის სამოცი წელი აღინიშნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიულ ეტაპზე, როცა ერთსულოვნად შეკავშირებული მთელი ჩვენი ხალხი წარმატებით ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და მეთერთმეტე ხუთწლიან გეგმას, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმაფლობით ემზადება. სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლისთავისათვის.

პროკურატურის ორგანოების თანამედროვე ამოცანებისა და ორგანიზაციული სა-

კითხების სწორი გაგებისათვის გარკვეული როლი ენიჭება საბჭოთა პროკურატურის შექმნისა და განვითარების საკითხების გარკვევასა და გაშუქებას.

1. საბჭოთა პროკურატურის შექმნისათვის მზადება და მისი შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წლის 24 ნოემბერს გამოაქვეყნა დეკრეტი № 1 სასამართლოს შესახებ, რომლის ძალით გაუქმდა ადრე არსებული საპროკურორო ზედამხედველობის ინსტიტუტი. ამავე დეკრეტით ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა სასამართლო ორგანოების სისტემა, მაგრამ პროკურატურა 1922 წლამდე არ შექმნილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მანამდე ჩვენს სახელმწიფოში არ ხორციელდებოდა ზედამხედველობა საბჭოთა მთავრობის დეკრეტებისა და კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულებისადმი.

1922 წლამდე ამ ფუნქციას ასრულებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, უპირველესად კი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი საბჭოები. გამოძიების ორგანოებში კანონიერების დაცვისადმი კონტროლს ახორციელებდნენ სასამართლოები.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ორგანო, რომელიც განახორციელებდა უმაღლეს ზედამხედველობას კანონების დაცვისადმი, კანონების ერთგვაროვანი გაგებისა

¹ „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“, თბილისი 1981, გვ. 101.



და გატარებისადმი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე.

საბჭოთა სახელმწიფოს ამ პერიოდის კონკრეტულ-ისტორიული პირობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ რეალურად არ იყო მომზიდვებული პირობები პროკურატურის ორგანიზების შექმნისათვის, თუმცა ამის იდეა უკვე არსებობდა. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე იდგა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები: მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შენარჩუნება, მტრის განადგურება, ფრონტის უზრუნველყოფა, კავიტალისტური ელემენტების პირდაპირი დათრგუნვა და სხვ.

ამ დროისათვის არ იყო სათანადო გამოცდილება ახალი ტიპის საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს შესაქმნელად. აუცილებელი იყო გარკვეული დრო, ვითარების გაანალიზება, კანონების ზედამხედველობის საქმეში უკვე არსებული პრაქტიკის განზოგადება და იმ პრინციპების შემუშავება, რაც საფუძვლად დაედებოდა საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურის ორგანიზების მოღვაწეობასა და ორგანიზაციას. ამასთან 1922 წლამდე არც არსებობდა საბჭოთა კანონების ერთიანი სისტემა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოში მუშათა და გლეხთა მძიმე ეკონომიკურ პირობებში იგრძნობოდა რევოლუციური კანონიერების ერთგვარი შესუსტება. ამ ვითარებაში საჭირო იყო სახელმწიფო წყობილების, მისი ეკონომიკის განმტკიცება. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლამ გამოაცხებლა სამოქალაქო აღებ-მიცემობა. ამ ვითარებამ მოითხოვა სოციალისტური კანონიერების უმკაცრესად დაცვა, ნამდვილი რევოლუციური წესრიგის დამყარება. ვ. ი. ლენინი ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. თავის ცნობილ წერილში მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო (1919 წლის 24 აგვისტო) ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „კოლჩაკისა და დენიკინის ბოლომდე გასანადგურებლად საჭიროა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დაცვა, საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“.²

1921 წელს სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა კვლავ გაუსვა ხაზი რევოლუციური კანონიერების

მტკიცედ დაცვის აუცილებლობას. მან აღნიშნა: „რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემობა, მით უფრო აუცილებელია წამოგაყენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“.³

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესასრულებლად საჭირო გახდა სპეციალური ორგანოს დაარსება, რომელიც განახორციელებდა ზედამხედველობას საბჭოთა კანონების ერთგვაროვანი გაგებისა და გატარებისადმი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ადგილობრივი პირობებისა და გავლენის მიუხედავად. მას ამასთანავე უნდა მოეხდინა დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაცია ჩვენს სახელმწიფოში. ასეთ ორგანოდ იქცა საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურა.

3 ირველი სახელმწიფო პროკურატურის დებულების პროექტი შეიმუშავა რუსეთის რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და იგი 1922 წლის იანვარში განიხილა სრულიად რუსეთის იუსტიციის მუშაკთა I ყრილობამ. პროექტის განხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რის გამოც შემუშავდა ახალი პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიას (1922 წლის მაისი). დებულების ამ პროექტის განხილვამ ახალ მწვავე ვითარებაში ჩაიარა, სრულიად რუსეთის ცაკ-ის სპეციალური კომისიის წევრებს არ ჰქონდათ ერთიანი აზრი პროკურატურის დებულების პროექტის საკვანძო საკითხებზე.

დავას ძირითადად იწვევდა პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზაციის საკითხი. კამენევი, რიკოვი, ზინოვიევი და სხვები იმას უჭერდნენ მხარს, რომ პროკურატურის ორგანოები ერთის მხრივ დამორჩილებოდნენ ცენტრს (ზემდგომ პროკურატურას), ხოლო, მეორეს მხრივ, ადგილებზე, გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს და მის იურიდიულ განყოფილებას. უამისოდ, ამბობდნენ ისინი, შესუსტდება ადგილობრივი ხელისუფლების საფუძვლები, ავტორიტეტი და ძალაუფლება, რომ სახელმწიფოში ჩამოყალიბდება „მეორე იურიდიული სახელმწიფო“, რომ ადგილობრივი აღმასკომები ხელშეშეკრული აღმოჩნდებოდნენ. იყო წინადადებაც, რომ ადგილებზე პროკურორები დაენიშნათ გუბერნიის აღმასრუ-

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 659.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199.

ლებელ კომიტეტს, ზემდგომი ორგანოს შემდგომი დამტკიცებით, რომ პროკურორს უშუალოდ კი არ გაეპროტესტებინა ადგილობრივი აღმასკომების კანონსწინააღმდეგო აქტები, არამედ ჰქონოდა მართოდენ ამ საკითხის დაყენების უფლება გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე. ზოგიერთი იქამდეც კი მივიდა, რომ საერთოდ გაილაშქრა თვით სიტყვა „პროკურორის“ წინააღმდეგ. რადგანაც მიაჩნდათ, რომ ეს იქნებოდა ძველის აღდგენა, ამიტომ მოითხოვენ, რომ პროკურორისათვის ეწოდებინათ — „კანონის განმტკიცებელი“.

საპროკურორო ზედამხედველობის დებულების პროექტის განხილვამ იმდენად მძაფრი დავა გამოიწვია, რომ ვ. ი. ლენინი, რომელიც მაშინ გორკაში ისვენებდა, იძულებული გახდა გაეგზავნა ი. ბ. სტალინისათვის სპეციალური წერილი პოლიტბიუროზე განსახილველად. ვ. ი. ლენინმა თავის წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ (1922 წ. 20 მაისი) შეიმუშავა და განსაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურის შექმნასა და მოღვაწეობას.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ორმაგი“ დაქვემდებარება აუცილებელია იქ, სადაც საჭიროა იცოდეთ გათვალისწინება განსხვავების ნამდვილად არსებული აუცილებლობისა... კანონიერება შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკის მთელი ფედერაციისათვისაც კი⁴. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ამიტომ წინადადებას ვაძლევე ც. კ.-ს უარყოს ამ შემთხვევაში „ორმაგი“ დაქვემდებარება, დაანესოს პროკურატურის ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარება მხოლოდ ცენტრისადმი და პროკურატურის ხელისუფლებას შეუნარჩუნოს უფლება და ვალდებულება — გააპროტესტოს ადგილობრივ ხელისუფალთა ყველა და ყოველგვარი გადაწყვეტილება“⁵.

განმარტავდა რა პროკურატურის ორგანოების ფუნქციას ვ. ი. ლენინი თავის წერილში ხაზს უსვამდა, რომ: „პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულიცაა,

ერთი რამ გააკეთოს: თვალყური ადევნოს მთელ რესპუბლიკაში კანონიერების ნამდვილად ერთნაირი გაგების დადგენას, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარი ადგილობრივი გავლენისა“⁶.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პროკურატურას უნდა ემუშავა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით და მათთან უშუალო კონტაქტში. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროკურატურა „სამი პარტიული დანესებულების უახლოესი მეთვალყურეობით მუშაობს და სრულიად უშუალო კონტაქტშია ამ სამ პარტიულ დანესებულებასთან, რომლებიც წარმოადგენენ მაქსიმალურ გარანტიას ადგილობრივი და პირადი გავლენების წინააღმდეგ, სახელდობრ: ც. კ.-ის ორგბიურო, ც. კ.-ის პოლიტბიურო და ცენტრ. საკონტროლო კომისია“⁷.

ვ. ი. ლენინის წერილი „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ განხილული იყო პოლიტბიუროში, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე და იგი საფუძვლად დაედო პირველი საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურის — რუსეთის სფს რესპუბლიკის პროკურატურის შექმნის დებულებას. 1922 წლის 26 მაისს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IX მოწვევის III სესიამ მიიღო დადგენილება „საპროკურორო ზედამხედველობის დებულების“ დამტკიცების შესახებ, რომელსაც 1922 წლის 28 მაისს ხელი მოაწერეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინმა და ცაკ-ის მდივანმა ა. ს. ენუქიძემ. იგი იმავე დღეს, 28 მაისს გამოქვეყნდა. ეს დღე ითვლება პირველი სახელმწიფო პროკურატურის შექმნის თარიღად.

პირველ პროკურორად დანიშნა ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე დ. ი. კურსკი, რომელიც ამავე დროს იყო რუსეთის სფსრ იუსტიციის სახალხო კომისარი.

პირველი საბჭოთა სახელმწიფო პროკურატურა განყოფილების სახით დაარსდა

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 428.

5 იქვე, გვ. 432.

6 იქვე, გვ. 429.

7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 431.



იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. მას დაევალა განეხორციელებინა ზედამხედველობა იმისადმი თუ როგორ ასრულებდნენ კანონებს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანოები, დაწესებულებები და ცალკეული პირები (საერთო ზედამხედველობა); მოკვლევის, გამოძიების და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები; ამასთან ერთად პროკურორს თვალყური უნდა ედევნებინა კანონთა დაცვისადმი სასამართლოში (სასამართლოს ზედამხედველობა); პატიმართა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურატურის შექმნა. პროკურატურის ორგანოები, რომლებიც შეიქმნა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედებდნენ მხოლოდ შესაბამისი რესპუბლიკის ფარგლებში, მათ არ ჰქონდათ ურთიერთკავშირი, არ ხორციელდებოდა ზედამხედველობა საერთო-საკავშირო ბრძანებების, ინსტრუქციების, დებულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის აქტების კანონიერებისადმი და მათი ერთგვაროვანი გამოყენებისადმი სსრ კავშირის მასშტაბით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის (1922 წლის 30 დეკემბერი) შემდეგ აუცილებელი გახდა კანონთა შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობის განწესება ცენტრალური და რესპუბლიკური ორგანოების მოღვაწეობაში, აგრეთვე საკავშირო კანონების ერთგვაროვანი შესრულებისადმი სსრ კავშირის თითოეულ ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის 43-ე მუხლით უკვე გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურატურის არსებობა. ჯერ კიდევ 1923 წლის 23 ნოემბერს სსრ კავშირის ცაკ-მა დამატაცია დებულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ, რომელმაც განსაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის კომპეტენცია. უფრო სრულყოფილად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის უფლებამოსილება მოცემული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურატურის დებულებაში, რომელიც დამატაცია სსრ კავშირის ცაკ-მა და სახკომსაბჭომ 1929 წლის 24 ივნისის დადგენილებით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 1 მარტის დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის თანამდებობაზე დაინიშნა გამოჩენილი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე პ. ა. კრასიკოვი.

პროკურატურის ორგანოების განვითარების ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ პროკურატურა ახორციელებდა ზედამხედველობას უკვე არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების ფარგლებში, არამედ კანონების ერთგვაროვანი, ზუსტი და განუხრელი დაცვისადმი კავშირის მასშტაბით. პროკურატურა ზედამხედველობას უწევდა აგრეთვე საკავშირო სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების კანონთან შესაბამისობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორს უფლება ჰქონდა გამოეთხოვა ყოველი საქმე მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლო და პროკურატურის ორგანოებიდან, გაეპროტესტებინა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლო განაჩენი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვის მიზნით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორი მხარს უჭერდა ბრალდებას ყველა იმ საქმეებზე, რომლებიც განსახილველად ექვემდებარებოდა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს. მას უფლება ჰქონდა წინადადება მიეცა მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორისათვის, რათა მას გაეპროტესტებინა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და სხვ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, პროკურორს აღმინისტრაციულად არ ემორჩილებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის უფლებამოსილება ძირითადად დაკავშირებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ფუნქციების განხორციელებასთან.

3. სსრ კავშირის პროკურატურის შექმნა. სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების მიზნით 1933 წლის 20 ივნისს სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებით დაარსდა სსრ კავშირის პროკურატურა („დებულება სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ დამატაცდა 1933 წლის 17 დეკემბერს). სსრ

17236

კავშირის პირველ პროკურორად დაინიშნა პეტერბურგის მუშათა კლასის წარმომადგენელი, პროფესიული რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე ი. ა. აკულოვი.

სსრ კავშირის პროკურატურას დაეკისრა განხორციელებინა საერთო ზედამხედველობა, ზედამხედველობა სასამართლო ორგანოებისადმი კანონების ერთგვაროვანი და სწორი გამოყენების დარგში; სისხლის სამართლის დევნის აღძვრა და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაჭერა, ზედამხედველობა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, მილიციის და შრომა-გამასწორებელი დაწესებულების მოღვაწეობაში კანონიერების დაცვისადმი და საერთო ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურების საქმიანობისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის პროკურატურა შეიქმნა, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული პროკურატურის ორგანოების სრული ცენტრალიზაცია. მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები ისევ არსებობდნენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში. პროკურატურის ორგანოების სრული ცენტრალიზაცია საბოლოოდ განხორციელდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის დაარსების დღიდან (1936 წლის 20 ივლისი), როდესაც პროკურატურები საბოლოოდ გამოეყო მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და უშუალოდ დაექვემდებარა სსრ კავშირის პროკურატურას.

იდი სამამულო ომის პერიოდში პროკურატურის ორგანოებმა მთელი თავისი საქმიანობა დაუმორჩილეს საბჭოთა სახელმწიფოს ომის დროის ამოცანებს. საომარი მდგომარეობის გამოცხადების ადგილებსა და ტრანსპორტზე პროკურატურის ყველა ორგანო გასამხედროებული იყო. პროკურატურის ორგანოებმა დიდი წვლილი შეიტანეს გერმანიის ფაშიზმის და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში, სახელმწიფო მტრების, სახალხო დოვლათის დამტაცებლების, დეზერტირების, პანიკიორების, სპეკულანტების და სხვა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროკურატურის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით დაწესდა პროკურატურის მუშაკებისათვის

საკლასო ხარისხები და საფორმო ტანსაცმელი, 1946 წლის 19 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის პროკურორს მიენიჭა „სსრ კავშირის გენერალური პროკურორის“ წოდება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს პროკურატურის ორგანოების მუშაობას სამამულო ომის პერიოდში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის და 1947 წლის ბრძანებულებით პროკურატურის ორგანოების ბევრი მუშაკი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით.

პროკურატურის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გარდაქმნის დარგში გარკვეული როლი შეასრულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 24 მაისის ბრძანებულებამ, რომლითაც დამტკიცდა ახალი „დებულება საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ სსრ კავშირში“. ამ დოკუმენტში აისახა პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობისა და ორგანიზაციის პრინციპები და ამოცანები ზედამხედველობის განხორციელების ყველა დარგში, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორების უფლებამოსილებათა და დანიშვნის წესი.

ცნობილია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბოლო წლებში დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაში ლენინური ნორმების განუხრელად დაცვას, მოქალაქეთა უფლებების რეალურად განხორციელების საკითხს. ასეთ ვითარებაში საგრძნობლად გაიზარდა პროკურატურის მოღვაწეობის როლი, უპირველესი მნიშვნელობა მიენიჭა კანონთა შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიან განხორციელებას.

საპროკურორო ზედამხედველობის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას და პროკურატურისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას გარკვეულწილად შეუწყო ხელი იმან, რომ უმაღლეს იურიდიულ სასწავლებლებში და უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე 1954-1955 წლებიდან ისწავლება როგორც დამოუკიდებელი იურიდიული დისციპლინა — „საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში“, ხოლო 1963 წელს სსრ კავშირში

ბ. მარტის ს. ს. სსრ სახელმწიფო

შირის პროკურატურის დამნაშავეობის მიზეზების შესწავლისა და გამაფრთხილებელ ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა საპროკურორო ზედამხედველობის სექტორი.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, განვითარებული სოციალიზმის პერიოდში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება (1977 წლის 7 ოქტომბერი), რომელშიც აისახა დამკვიდრებული სწორი თეორია და პრაქტიკა, ფართოდ და თანამიმდევრულად გადმოიცა საბჭოთა სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული პრინციპები, პირველად მოხდა სახელმწიფო არბიტრაჟის მოღვაწეობის, ადვოკატთა კოლეგიების ძირითადი ამოცანების, სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობის რეგლამენტაცია კონსტიტუციით, აგრეთვე უდანაშაულობის პრეზუმპციისა.

ახალ კონსტიტუციაში პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობასა და ორგანიზაციის დაეთმო ცალკე, დამოუკიდებელი 21-ე თავი, სადაც უფრო ფართოდ აისახა პროკურატურის უმაღლესი ზედამხედველობის არსი და ამოცანები, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის უფლებამოსილება, პროკურორების დანიშვნის წესი და სხვა.

კონსტიტუციის შესაბამისად 1979 წლის 30 ნოემბერს მიღებული იქნა „კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“, ხოლო 1981 წლის 4 აგვისტოს დაშტკიცდა

ახალი „დებულება სამხედრო პროკურატურისა“.

ლ. ი. ბრეჟნევიმ სკკპ XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ დიდ სასარგებლო ეფექტს იძლევა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება, რაც კონსტიტუციის საფუძველზე ხორციელდება... ახლა საქმე, უნინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათ ზუსტად და განუხრელად ვახორციელებდეთ. ყოველი კანონი ხომ მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა ზგი სრულდება, — სრულდება ყველას მიერ და ყველგან“⁸.

სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონმა უფრო სრულყოფილად ჩამოაყალიბა საბჭოთა პროკურატურის მრავალფეროვანი ამოცანები, საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქციები და დარგები კანონთა ზუსტი, განუხრელი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი, გააფართოვა დემოკრატიული საწყისები პროკურატურის საქმიანობაში, სრულყოფილად აისახა საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციისა და მოღვაწეობის ლენინური პრინციპები.

სკკპ XXVI ყრილობამ, ახალმა კანონმა სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ დიდი ამოცანები დაუსახა პროკურატურის ორგანოებს. მათი წარმატებით გადაწყვეტა კიდევ უფრო განამტკიცებს პროკურატურის მოღვაწეობის ლენინურ პრინციპებს, სოციალისტურ კანონიერებასა და მართლწესრიგს. უზრუნველყოფს დამნაშავეობის და კანონის ყოველგვარი დარღვევის მიზეზებისა და პირობების დადგენა-აღმოფხვრას, საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების შემდგომ სრულყოფასა და ეფექტიანობას.

⁸ „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“, 1981, გვ. 101.

საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნა

მ. ზანდუარი,

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

პროკურატურა საქართველოში სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით უფრო გვიან შეიქმნა.

1922 წლის მაისისათვის საქართველოში მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან გასული უმნიშვნელო დრო საქმარისი არ იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად და მშვიდობიან, შემოქმედებითს ცხოვრებაზე გადასასვლელად.

ტრანსპორტის მოშლის გამო გაწყვეტილი იყო ქვეყნის სოფელთან. კონტრრევოლუციური პარტიები საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გეგმებს ადგენდნენ. რევკომის მიერ შედგენილი სახელმწიფო ორგანოები ჯერ კიდევ არ იყვნენ განმტკიცებული.

საქართველოს იუსტიციის ახლად შექმნილმა სახალხო კომისარიატმა ვერ შეძლო თავისი ფუნქციების პარალელურად და მის განკარგულებაში არსებული ძალებით საპროკურორო ფუნქციების შესრულება.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებამ და სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შესწავლეს და საქართველოს პირობებს შეუფარდეს „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ დებულება, რომელიც საფუძვლად დაედო რსფსრ-ში საბჭოთა პროკურატურის შექმნას და საქართველოს პროკურატურის შესახებ დებულების პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინეს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც 1922 წლის 11 ნოემბერს გამოიტანა № 11 დადგენილება „პროკურატურის შემოღების შესახებ“ და დაამტკიცა დებულება, „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“. დებულება ძალაში შევიდა 1922 წლის 15 ნოემბრიდან. სწორედ ეს დღე ითვლება

საქართველოს საბჭოთა პროკურატურის შექმნის თარიღად. ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საქართველოშიც, პროკურატურა შევიდა რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში საპროკურორო განყოფილების სახით. ამის გამო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი ითვლებოდა საქართველოს სსრ პროკურორადაც და ხელს აწერდა როგორც ორი თანამდებობის პირი.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარსა და რესპუბლიკის პროკურორს ევალებოდა განეხორციელებინა საპროკურორო ზედამხედველობა სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობისა და კერძო პირთა საქმიანობის კანონიერებისადმი, რაც დამანაშვეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და კანონსაწინააღმდეგო დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების გაპროტესტებით უნდა გამოხატულიყო.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პროკურორი იყო ცნობილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე სერგო ივანეს ძე ქავთარაძე.

რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარისა და რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით მის თანაშემწეებს ამტკიცებდა და უკან იწვევდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

იუსტიციის კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი თავისი თანამდებობის მიხედვით შედიოდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში და სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხშის უფლებით, რადგან



გადამწყვეტი ხმის უფლება მინიჭებული არ ჰქონდა არჩევნებით.

დებულია „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ პროკურორს უფლებას ანიჭებდა ტერიტორიული დაქვემდებარების ფარგლებში მოქმედი აღმინისტრაციული დაწესებულებებისა და თანამდებობის პირისათვის მოეთხოვა მცხეთის საჭირო ყველა ცნობა და მასალა. პროკურორის მოთხოვნის შესრულება სავალდებულო იყო ყველა დაწესებულებისა და პირისათვის.

1922 წელს საქართველო იყოფოდა ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქებად. 1922 წლის ნოემბრიდან დაიწყო საოლქო პროკურატურების ჩამოყალიბება.

1923 წლის 22 აპრილს იუსტიციის კომისიისა და რესპუბლიკის პროკურორის № 70 ბრძანებით 1 აპრილიდან გაუქმდა მაზრებში იუსტიციის განყოფილებები და საზოგადოებრივი ბრალმძღობის თანამდებობები, შეიქმნა სამაზრო პროკურორის თანამდებობა და იუსტიციის განყოფილების ყველა საქმე სამაზრო პროკურორებს გადაეცა. სამაზრო პროკურორი საქართველოს ყველა მაზრაში დაინიშნა. ამრიგად, 1923 წლის 1 აპრილი ითვლება მაზრებში საბჭოთა პროკურატურის ჩამოყალიბების თარიღად.

საქართველოს სსრ იუსტიციის კომისარიატისა და პროკურატურის შემადგენლობაში არსებული „დასჯა-გასწორების“ განყოფილება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1923 წლის 17 მარტის დადგენილებით გაუქმდა და მისი ფუნქციები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაეცა.² პროკურატურას კი „დასჯა-გასწორების“ დაწესებულებებისადმი ზედამხედველობის ფუნქცია დაეკისრა.

მიუხედავად პროკურატურის ჩამოყალიბებისა, სახალხო გამომძიებლები კვლავ სახალხო სასამართლოებთან დარჩნენ და სახალხო მოსამართლეების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. ასევე უზენაეს სასამართლოში დარჩნენ გამომძიებელ-მოხსენებლები და უდიდეს საქმეთა გამომძიებლები. იმ დროს საქართველოში სასამართლოთა 73 უბანი არსებობდა და ამ უბნებთან სახალხო გამომძიებელთა კამერები მუშაობდნენ.

საქართველოს ცაკის 1923 წლის 17 აგვისტოს № 52 დადგენილებით ცვლილებები იქნა შეტანილი 1922 წლის 11 ნოემბერს

დამტკიცებულ დებულებაში „საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ და ოლქის პროკურორები დაუმორჩილდნენ საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს. მასვე ემორჩილებოდა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოც, რომლის თავმჯდომარე იუსტიციის სახალხო კომისარისა და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე იყო. ადვოკატურა და ნოტარიატიც საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს ექვემდებარებოდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან მუშაობდნენ პროკურორები, რომლებსაც უზენაეს სასამართლოს პროკურორებს უწოდებდნენ. ისინი იუსტიციის კომისარისა და რესპუბლიკის პროკურორის უმცროს თანაშემწეებად ითვლებოდნენ. მათ ამტკიცებდა და უკან გაიწვევდა საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი.

სახალხო სასამართლოებთან განწესებულ გამომძიებლებს სახალხო გამომძიებლები ეწოდებოდათ, ოლქის სასამართლოების გამომძიებლებს — უფროსი სახალხო გამომძიებლები, ხოლო უზენაეს სასამართლოს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურორო განყოფილების გამომძიებლებს — უდიდეს საქმეთა გამომძიებლები.

გამომძიებლებად არ დაიშვებოდნენ ის პირნი, რომლებსაც სახელი ჰქონდათ შებლალული სასამართლოს განაჩენით ან დათხოვნილი იყვნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან გამაწილებელი ყოფაქცევისათვის, აგრეთვე ვისაც არ ჰქონდა იუსტიციის ორგანოებში მუშაობის ერთი წლის სტაჟი, ან ჩაბარებული არ ჰქონდა საჭირო გამოცდა ოლქის სასამართლოებში, ან არ ჰქონდა უფლება აერჩიათ ადგილობრივი საბჭოს წევრად. უმძალესი იურიდიული განათლება სავალდებულო არ იყო, გამომძიებელთა დანიშვნა ოლქის სასამართლოს დადგენილებით ხდებოდა, რომელსაც ამტკიცებდა იუსტიციის კომისარი, იგივე რესპუბლიკის პროკურორი. სამაზრო სასამართლოს გამომძიებლებს ჰყავდათ მდივნები.

პროკურატურის ორგანოებში თანამშრომელთა რაოდენობა მცირე იყო. იუსტიციის კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებაში სულ შვიდი საშტატო ერთეული იყო; გამგე, ორი უდიდეს საქმეთა გამო-

2. ისკა, № 3709, ბრძ. № 36, 1923 წ.

ძიებელი და ოთხი ტექნიკური თანამშრომელი, ხოლო ოლქის პროკურატურებს ცხრა თანამშრომელი ჰყავდა: ოლქის პროკურორი სამი თანამშემწე და ხუთი ტექნიკური მუშაკი.

პროკურატურა უველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა, მაგრამ ვ. ი. ლენინის გეგმის მიხედვით მისი ცენტრალიზაცია მაშინვე არ განხორციელებულა, რადგან თვით ცენტრი — სსრ კავშირი არ არსებობდა და საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებლად არსებობდნენ.

1922 წლის 29 დეკემბერს შეიქმნა სსრ კავშირი, მაგრამ პროკურატურის საკავშირო ორგანო არ შექმნილა და პროკურატურა ცალკე იუსტიციის სახალხო კომისარიატში დარჩა.

პროკურატურის ცენტრალიზაციის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს 1924 წელს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის დანიშვნა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორებს საჭირო შემთხვევაში რჩევებს და მითითებებს აძლევდა, ძირითადად კი პროკურატურა ცალკე იუსტიციის კომისარიატს ექვემდებარებოდა.

თბილისი 1926 წელს ჯერ კიდევ უზნებლად იყო დაუოფილი. აქ სასამართლოს ექვსი უბანი არსებობდა, რომლებთანაც მუშაობდნენ გამოძიებლები. თორმეტ სამილიციო რაიონს და სასამართლოს უბნებს ორი მაქსიმალური უბანი უწყევდა ზედამხედველ ბას. საპროკურორო უბანში ერთი პროკურორი და ერთი მდივანი იყო. 1928 წლიდან თბილისს ერთი საპროკურორო უბანიც დამატდა.

1930 წლის 31 იანვრიდან საქართველოს ცაკის მეორე ხესის დადგენილებით საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი გაუქმდა. საქართველოს სსრ პროკურატურაც და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოც შევიდა საქართველოს ცაკის შემადგენლობაში სამმართველოების სახით. პროკურატურის მმართველი საქართველოს სსრ პროკურორად იწოდებოდა. იუსტიციის კომისარიატის გაუქმების შემდეგ სახალხო კომისარიატის გარეშე დარჩნენ უზენაესი სასამართლო, რომელიც გადატვირთული იყო თავისი საქმიანობით. ვერ შეძლო სახალხო სასამართლოებში რევიზიების ჩატარება. ამან სხვა მხრივაც ვერ მოიტანა დადებითი შედეგი და საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის 1933 წლის 4 ივნისის დადგენილებით ცალკე შეიქმნა იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს სსრ პროკურატურა მმართველოს სახით შევიდა. იუსტიციის კომისარიატის დადგენილებით საქართველოს სსრ პროკურორადაც.

1933 წლის 20 ივნისს შეიქმნა სსრ კავშირის პროკურატურა. სსრ კავშირის პროკურატურის შექმნის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურები ორმაგ დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. ისინი ემორჩილებოდნენ იუსტიციის კომისარიატსაც და სსრ კავშირის პროკურატურასაც.

პროკურატურის სრული ცენტრალიზაცია განხორციელდა მხოლოდ 1936 წლიდან. სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1936 წლის 20 ივლისის დადგენილებით შეიქმნა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომლის სისტემაში შევიდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა პროკურატურები გამოვიდნენ იუსტიციის კომისარიატთა შემადგენლობიდან და უშუალოდ დაემორჩილნენ სსრ კავშირის პროკურატურას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროკურატურის ფუნქციები დარგობრივად დანაწილდა. დანაყოფებს სექტორები ეწოდათ, მაგრამ სსრ კავშირის პროკურორის 1936 წლის 13 ნოემბრის განკარგულებით სექტორებს განყოფილებები დაერქვა და ეს განყოფილებები, ზოგიერთი ცვლილებებით, დღესაც ახორციელებენ საქართველოში კანონის შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ პროკურატურის ფუნქციები დარგობრივად დანაწილდა. დანაყოფებს სექტორები ეწოდათ, მაგრამ სსრ კავშირის პროკურორის 1936 წლის 13 ნოემბრის განკარგულებით სექტორებს განყოფილებები დაერქვა და ეს განყოფილებები, ზოგიერთი ცვლილებებით, დღესაც ახორციელებენ საქართველოში კანონის შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობას.

ც ნ ო ბ ა

1986

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტუმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების კრედიტუმებისა და სახალხო დეპუტატთა, საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას, 1982 წლის 20 ივნისს, გაიმართა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

საარჩევნო კამპანია საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მიმდინარეობდა მაღალი კოლექტიური და ურომითი აღფრთხილების ვითარებაში, სპკ XXVI ურილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ურილობის გადაწყვეტილებათა, სპკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის, სსრ კავშირის შემხნის მე-60 წლისთავის დიკსული შეხვედრისათვის და 1982 წლის, მთლიანად მეთერთმეტი ხუთწლედის საბავრო დავალებათა შესრულებისათვის მურომელთა ბრძოლის ნიშნით. არჩევნებმა ცხადყო პარტიისა და ხალხის ურთველი ერთიანობა.

ყველა საარჩევნო უბანში კენჭისყრა დამყო დილის 6 საათზე და დაგთავრდა საღამოს 10 საათზე. არჩევნები ყველგან ჩატარდა ორგანიზებულად.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა.

სულ საქართველოს სსრ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში არჩეულია 175 სახალხო მოსამართლე. მათ შორის სპკ წევრი და წევრობის კანდიდატია 175, ანუ 100 პროცენტი, ქალი — 22, ანუ 12,5 პროცენტი.

რესპუბლიკის რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა 20,8 პროცენტით გაუნაღდა.

მიმდინარე წლის აპრილ-ივნისში ჩატარდა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსჯულთა არჩევნები.

სახალხო მსჯულთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 81,0 პროცენტმა. არჩეულ იქნა 12.250 სახალხო მსჯულე, მათ შორის მამაკაცი — 5.878, ანუ 48,0 პროცენტი, ქალი — 6.372, ანუ 52,0 პროცენტი, სპკ წევრი და წევრობის კანდიდატი — 5.902, ანუ 48,2 პროცენტი, უკარტიო — 6.348, ანუ 51,8 პროცენტი, კომპაზვირალი — 1.447, ანუ 11,8 პროცენტი, მუშა — 8.923, ანუ 82,0 პროცენტი, კოლმეურნე — 1.265, ანუ 19,8 პროცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტში.

საქართველოს სსრ ახლარჩეულ სახალხო მოსამართლეთა სია

ა. თბილისი

ლენინის რაიონი

აბაქელია ვაჟა ბორისის ძე
თუთბერიძე ელისაბედ ივლიანეს ასული
ნარმანია ნორა ეგნატეს ასული
სამაგლიშვილი ვადეროან ივანეს ძე
ლლონტი ოთარ ნიკოლოზის ძე
წულუკიანი ავთანდილ ვლადიმერის ძე

პირველი მაისის რაიონი

ვარაზაშვილი როლანდ ნიკოლოზის ძე
გოგიბერიძე დარეჯან სულიკოს ასული
კრავიშვილი ლიანა ეუდექსის ასული
ტყეშელაშვილი იური ილიას ძე

ბაღინინის რაიონი

დადიანი სამსონ ცოტნეს ძე
ხაბეიშვილი გულა ბესარიონის ასული
ხურციძე იოსებ შოთას ძე

კირკვიის რაიონი

ოთარაშვილ მინეილ პავლეს ძე
ფრიდონაშვილი მარიაჟ ფრიდონის ასული

ქორიძე კონსტანტინე აბესალომის ძე
შერვაშიძე თენგიზ პროკოფის ძე

ოქტომბრის რაიონი

ბოსტოდანაშვილი ხულიკო ბესარიონის ძე
თევდორაძე მერაბ დურმიშანის ძე
ქორჩილავა ზაირა აკაიის ასული
ქიპაშვილი ოთარ ნიკოლოზის ძე

ორჯონიკიძის რაიონი

თათელაძე გიორგი დავითის ძე
კვაჭაძე ფელიქს ლევანის ძე
კიკაძე ვაჟა ლევანის ძე
კუსრაშვილი ლალი ბორისის ასული
ქადაგიშვილი ნოდარ გიორგის ძე
ძნელაძე თამაზ აკაიის ძე

26 კომისრის რაიონი

ანდლულაძე ნოდარ ილარიონის ძე
ბარათაშვილი ოთარ მამია ძე
ლენინიძე ჭემალ ლევანის ძე
ხაჩატურიანი სერგო ტიგრანის ძე
ჭანუაშვილი ნოდარ აკაიის ძე



საქარხნო რაიონი

გლდანის რაიონი

მამისაშვილი ჯაქარია ნიკოლოზის ძე
ნადირაძე რევაზ შალვას ძე
ნამიჭიეშვილი თეიმურაზ დიმიტრის ძე
შანიძე თამაზ ალექსანდრეს ძე

აღანია იური შალვას ძე
მატკავა დავით ვლადიმერის ძე
კონდახიშვილი ავთანდილ სტეფანეს ძე
მოსესიანი გიორგი სერგოს ძე
ფირფილაშვილი ქეთევან მელიტონის ასული

რესპუბლიკის ქალაქების სახალხო მოსამართლეები

ქ. გორი

ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი

ბზიშვილი კარლო როსტომის ძე
ძლიერიშვილი ჯემალ ალექსის ძე

აღდაძე ნაზიბროლა სევერიანის ასული
შალვაკელიძე სერგო კონსტანტინეს ძე
ცხელაშვილი ბონდო დავითის ძე
ფილიპაშვილი გურამ ლევანის ძე

ქ. ზუგდიდი

ქ. ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონი

მორგოშია ჯეირან იპოლიტეს ძე
კვიციანი კაპიტონ ნიკოლოზის ძე

აფრიდონიძე ივანე კონსტანტინეს ძე
ჩაფარიძე გივი დომენტის ძე
ჭუმბურიძე ლუარა ლევანის ასული

ქ. რუსთავი

ქ. წყალტუბო

კორინთელი ალბერტ გვიის ძე
მაისურაძე ალბერტ იოსების ძე
სავანელი ბიძინა ვარლამის ძე
ჩიმშელაძე გულნარა ივანეს ასული

ნადიბაიძე მზია შალვას ასული
შენგელია ოთარ აკაკის ძე

ქ. ტყიბული

ქ. ჰინათურა

ღებანიძე შალვა აკაკის ძე

აბუევა ლილა შამილის ასული
ვეკუა გიგლა შირიმის ძე

თევზაძე გიორგი აპოლონის ძე
ღულუნიშვილი გრიგოლ ფილიპეს ძე

რესპუბლიკის რაიონების სახალხო მოსამართლეები

აბაშის რაიონი

ასპინძის რაიონი

გაბელაია ნოდარ პარმენის ძე

მახარაძე ალექო სერგოს ძე

ადიგენის რაიონი

ახალქალაქის რაიონი

ჩაფიძე ნელი ჭიჭიკოს ასული

მანუკიანი აკოფ მამიკის ძე

ამბროლაურის რაიონი

ახალციხის რაიონი

ყაველაშვილი ალფეო ტოპიშის ძე

მაზმიშვილი ამირან ივანეს ძე



ახმეტის რაიონი

ხარაჭიშვილი ქუჩუყი გიორგის ძე

აოგლანოვკის რაიონი

ვართანიანი ასატურ სიმეიოს ძე

აოლნისის რაიონი

გრძელიშვილი იზოლდა ნიკოლოზის ასული
ოსიპოვი რობერტ გრიგოლის ძე

აორჯომის რაიონი

ნოზაძე დავით აბესალომის ძე
ჯაუარიძე თენგიზ პავლეს ძე

ბარდაბნის რაიონი

დაშთამიროვი ელმაზ გაჩეივის ძე
იაშვილი დემონ კალისტრატეს ძე
წურწუმია ბესარიონ ოთარის ძე
ხაზაშვილი გივი ვახისლის ძე

ბეგეშკორის რაიონი

კაკულია მუხრან პორფილეს ძე

ბორის რაიონი

ამბოკაძე ნიკოლოზ პეტრეს ძე
კასრაძე ელგუჯა ლევანის ძე

ბურჯანის რაიონი

მათიაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე
ღვალაძე მაგული შალვას ასული

ღმანისის რაიონი

ცხელაშვილი დიმიტრი ლევანის ძე

ღუშუთის რაიონი

ფხალაძე მირიან ტარიელის ძე

ვანის რაიონი

ალფაიძე ვლადიმერ სევერიანის ძე

ჯანტაშონის რაიონი

კუპატაძე ლოტბერდ სერგოს ძე
ფუტყარაძე რევაზ სერგოს ძე

ჯუგაიღის რაიონი

ხარია შოთა იხიდორეს ძე
ქირია ჭულიეტა სერგოს ასული
უტი

თეთრიწყაროს რაიონი

დარჩიაშვილი თამაზ ილიას ძე

თელავის რაიონი

მადრაძე გოჯასპირ სიმონის ძე
პოპიაშვილი მურად გიორგის ძე

თერჯოლის რაიონი

ყრუაშვილი თამარ სოლომონის ასული

თიანეთის რაიონი

ნადირაშვილი ვალერი იოსების ძე

ტახტის რაიონი

დებისაძე ნოდარ ალექსანდრეს ძე
შაყულაშვილი ნოდარ არჩილის ძე

ლაგოდეხის რაიონი

ყაველაშვილი გიორგი ამბაკოს ძე
წიქარაძე გიორგი იოსების ძე

ლანჩხუთის რაიონი

კუნჭულია მაგული სიმონის ასული

ლენტეხის რაიონი

უშხვანი ოლდა სერგოს ასული

მანიაკოვსკის რაიონი

ჩინჩაღაძე ნუგზარ ვალერიანის ძე

მარნეულის რაიონი

მუსტაფაევი ნასრედინ ყაზირ-ოღლი
ჯაფარიძე გივი კონსტანტინეს ძე

მასხარაძის რაიონი

გობრონიძე რევაზ არსენის ძე
ხინთიბიძე გულნარა თეიმურაზის ასული



მესტიის რაიონი

მგედლიანი ბუთული ბესარიონის ძე

მცხეთის რაიონი

აბესაძე თეიმურაზ დავითის ძე
კალმახელიძე შოთა ფილიპეს ძე
ჩაფოძე მედია შალვას ძე

ოზის რაიონი

ჯაფარიძე ვახტანგ დავითის ძე

ორჯონიძის რაიონი

ხოჯაკაძე ენვერ შალვას ძე

საბურთალოს რაიონი

მასურაშვილი თემურ არჩილის ძე

სამტრედიის რაიონი

კობრიძე აზა ისიდორეს ასული
სტურუა ოთარ პარმენის ძე
შენგელია ჯამბულ მიხეილის ძე

საჩხერის რაიონი

მოღებაძე იზოლდა პლატონის ასული

სიღნაღის რაიონი

ბურღული ნუგზარ გიორგის ძე
კოჭლამაზაშვილი იოსებ თომას ძე

ჭარხლის რაიონი

სისაური რევაზ თენგიზის ძე

უაზგაბის რაიონი

ბაქრაძე აკაკი პიმენის ძე

უვარძლის რაიონი

მაისურაძე არჩილ კონსტანტინეს ძე

ჩოხატაურის რაიონი

გაბეჩავა ომარ გიორგის ძე

ჩხორიჭყვის რაიონი

აღამია ჯემალ მაშას ძე

ცაგერის რაიონი

ჭაბუკიანი ვაჟა ზაქარიას ძე

ცხაპანის რაიონი

კუჭავა ომარ ვახტანგის ძე
სალაყაია ინეზა ირაკლის ასული

წალენჯიხის რაიონი

გურჩიანი გულივერ გულიას ძე
ჩიქობავა ვალერიან ვლადიმერის ძე

წალკის რაიონი

კონოსოვა ფენია საგაეცას ასული

წითელწყაროს რაიონი

გონაშვილი გიორგი იორამის ძე

წულუკიძის რაიონი

კვარაცხელია შალვა მურმანის ძე
ცაცუა მარლენ კონდრატეს ძე

ხაშურის რაიონი

მაისაშვილი ლალი ვასილის ასული
მულალაშვილი ომარ იოსების ძე

ხოგის რაიონი

კოდუა ვახტანგ გიორგის ძე

აფხაზეთის ასსრ

ქ. სოხუმი

ავიძბა ალა ოთარის ასული
არაქელიანი რაჭმიკ შინაგოს ძე
არშბა შალვა კისკიდის ძე
ლაშხია შოთა ვასილის ძე
სოსაძე რევაზ ივანეს ძე

ქ. ტყვარჩელი

კუპრავა კოჩია თეიმურაზის ძე
სოხუმის რაიონი
კაჭარავა ხერგო ბესარიონის ძე

პაპრის რაიონი

აგრაბა ედვარდ მიხეილის ძე
გავაშვილიშვილი ნიკოლოზ ემილიანეს ძე
სიღნოვი ალექსი ნიკოლოზის ძე
ხიშბა ფატიმა ფილიპეს ასული

გუდაუთის რაიონი

ბიგვაა აკაკი მიხეილის ძე
დაშელია ზერსონ დავითის ძე
მუკა მერი რომანის ასული

გულრიფშის რაიონი

თორდია ვალერიან არსენის ძე
ხაბურჯანია ნური მიხეილის ძე

ოჩამჩირის რაიონი

ხალია რაჟდენ პროკოფის ძე
ჭეცხაია ჭუმბერ ივანეს ძე

გალის რაიონი

გვასალია ჭემალ მიხეილის ძე
სიჭინავა რუბენ დოროთეს ძე

აჭარის ასსრ

ა. ბათუმი

ლიასამიძე ნოდარ მამედის ძე
თენგიშვილი კუკური ხლომონის ძე
სურგულაძე ცარო ვლადიმერის ასული
ჩამბა შაქრო სულემიანის ძე

ხელვაკაშურის რაიონი

ბერიძე შოთა ფელულოს ძე

ქედის რაიონი

ნაკაშიძე მამია ახმედის ძე

ქობულეთის რაიონი

თოიძე ავთანდილ თეიმურაზის ძე
ნაკაშიძე ამირან ფაიკის ძე
ტაკიძე ლევან ასლანის ძე

ხულოს რაიონი

კინჭარაძე ზია იხმაილის ასული

შუახევის რაიონი

აბულაძე როიონ ნოდარის ძე

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ა. ცხინვალის რაიონი

დოლაევი ზაურ ქიტოს ძე
ხუგაევი დიმიტრი ბენარიონის ძე

ცხინვალის რაიონი

გოჩაშვილი ნიკოლოზ ხლომონის ძე

ლენინგრის რაიონი

ნაური ყუყუნა ისაკის ასული

ჯავის რაიონი

ბოსიკოვი ვლადიმერ იოსების ძე
პლიევა ვალერიან თედორეს ძე

ზნაურის რაიონი

ტერაშვილი აკაკი ლევანის ძე

მოსამართლე უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც თავისი პირადი საქციელით, საქმისადმი დამოკიდებულებით დაიმსახურა ხალხის ნდობა და ავტორიტეტი, აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება, შეუძლია გაერკვეს ადამიანებში და არის კულტურული ადამიანი.

ა. ი. კალინინი



სახალხო სასამართლოების არჩევნები და ჩვენი ამოცანები

ა. შუზანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

მიმდინარე წლის 20 ივნისს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეების მორიგი არჩევნები. საბჭოების დეპუტატების და სახალხო მოსამართლეთა არჩევა განხორციელდა საბჭოთა კონსტიტუციით დადგენილი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა და წესის მიხედვით. არჩევნებში, რომელიც მოეწყო ფართული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის სამ მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა და აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა დეპუტატობისა და მოსამართლეობის კანდიდატებს. სახალხო მოსამართლეები აირჩიეს ხუთი, ხოლო საბჭოების დეპუტატები — ორ-ნახევარი წლის ვადით. ამავდროს გაიმართა სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები. კანონის შესაბამისად მათი არჩევა მოხდა მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არჩევნები ჩატარდა ღია კენჭისყრით. სახალხო მსაჯულები აირჩიეს ორ-ნახევარი წლის ვადით.

როგორც სახალხო მოსამართლეების, ისე სახალხო მსაჯულთა არჩევნებმა ჩაიარა ორგანიზებულად, შემოქმედებითი შრომისა და პოლიტიკური აქტიურობის აღმავლობის, საბჭოთა დემოკრატიისა და საარჩევნო სისტემის ზემოქმედებით, სახალხო სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებისა და ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების ვითარებაში და ნიშნით. სასამართლო და იუსტიციის ორგანოებისათვის ეს იყო ნამდვილი გამოცდის, მათი ბრძოლისუნარიანობისა და საქმიანობის სრულყოფისათვის ზრუნვის, საზოგადოებრიობასთან კავშირის განმტკიცების შესანიშნავი პერიოდი.

სახალხო მოსამართლეების ახლანდელი არჩევნები ნიშანდობლივია იმით, რომ იგი პირველად მოეწყო მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ახალი საბჭოთა კონსტიტუციები, რომლებშიც უაღრესად ფართოდ და სრულად აისახა საბჭოთა მართლმსაჯულების, სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. არჩევნებისათვის დამახასიათებელი იყო ისიც, რომ პირველად საბჭოთა არჩევნების ისტორიაში ერთად მოეწყო სახალხო მოსამართლეებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევა. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების ერთად გამართვამ კარგი შედეგი მოგვცა, უფრო სრულად გამოავლინა საბჭოთა წყობისა და საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობა, უკეთესი პირობები შეუქმნა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ

მუშაობას, ხელი შეუწყო სახალხო სასამართლოებისა და ადგილობრივი საბჭოების უროთიერთობის განმტკიცებას.

რასაკვირველია, არჩევნების წარმატებით ჩატარება შედეგია იმ დიდი არჩევნების წინა მუშაობისა, რომელიც პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გასწიეს. არჩევნების დებულების შესაბამისად ყველა რაიონსა და ქალაქში შეიქმნა საარჩევნო ოლქები და უბნები, დროულად შედგა და დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები, არჩევნების მომწყობი კომისიების წევრებად დაამტკიცეს გამოცდილი ამხანაგები, კანონით დადგენილ ვადებში მოხდა მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება და რეგისტრაცია. ყველა საარჩევნო ოლქსა და უბანში წარმოებდა ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, ამომრჩევლებს აცნობდნენ მოსამართლეობის კანდიდატებს, განუმარტავდნენ საბჭოთა მართლმსაჯულებისა და საარჩევნო სისტემის პრინციპებს. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამოქვეყნდა და გადაიცა სახალხო სასამართლოების საქმიანობის ამსახველი ორი ათასზე მეტი მასალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რამდენჯერმე განიხილა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი და ქმედითი ღონისძიებანი დასახა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვითა და ხელმძღვანელობით.

არჩევნების წინა პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს იუსტიციისა და სასამართლოს ორგანოებმა. არჩევნების მომზადების და მიმდინარეობის საკითხები სისტემატურად იხილებოდა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, მუშავდებოდა და ხორციელდებოდა კონკრეტული ღონისძიებანი ამ დიდი პოლიტიკური და სამართლებრივი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, სათანადო რჩევა-მითითებები ეძლეოდათ სისტემის ადგილობრივ ორგანოებს, მოწმდებოდა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება. არ დარჩენილა სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოს თითქმის არც ერთი მუშაკი, რომელსაც რაიმე ფორმითა თუ ზომით მონაწილეობა არ მიეღოს საარჩევნო საქმიანობაში. საგრძნობლად გახშირდა შრომით კოლექტივებთან სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების შეხვედრები, ამომრჩეველებისათვის ანგარიშია ჩაბარების რაოდენობა. რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან ერთად იუსტიციის სამინისტრომ შეადგინა დახასიათებები, სადაც კონკრეტულად აღინიშნა თითოეული მოსამართლის მიერ გაწეული მუშაობა, ობიექტური და პრინციპული შეფასება მიეცა მათ საქმიან და პირად თვისებებს. ბევრი რამ გაკეთდა სახალხო მოსამართლეების რეზერვის შესაქმნელად, რეზერვში ჩარიცხულ პირთა შესასწავლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლესი სასამართლოს აზრსა და შეფასებას დიდი ანგარიში გაუწიეს შრომითმა კოლექტივებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელებისას.

რასაკვირველია, სახალხო სასამართლოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებას, სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად ღირსეული აღამიანების არჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას მარტო ეს ფაქტორები ვერ უზრუნველყოფს. ახლად

არჩეულ მოსამართლეებთან და მსაჯულებთან საჭიროა სისტემატური და მიზანდასახული მუშაობა, თავდადებული ბრძოლა და შრომა იმისათვის, რომ ისინი მალე დაეუფლონ მოსამართლეობის რთულ პროფესიას, შეიძინონ ყველა ის თვისება, რომლებითაც შემკული უნდა იყოს ხალხის რჩეული.

მოსამართლის შრომა უაღრესად რთული და მძიმეა. სხვისი უბედურების სისტემატური ნახვა და განსჯა, ხშირი უარყოფითი განცდები და ემოციები დროთა განმავლობაში თავისას შვრება. არც მოსამართლეები არიან დაზღვეული ისეთი ბუნებრივი მოვლენისაგან, როგორცაა, სიბერე, ავადმყოფობა, სიკვდილი და ა. შ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე 20-25 პროცენტით იცვლება სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობა. რესპუბლიკაში არჩეული 175 სახალხო მოსამართლიდან 36-ს პირველად მოუწევს მართლმსაჯულების ფუნქციების განხორციელება. სამწუხაროდ, ზოგჯერ მოსამართლედ ისეთებიც აღმოჩნდებიან ხოლმე, ვინც ვერ ამართლებს ხალხის ნდობას, სერიოზულ შეცდომებსა და ხარვეზებს უშვებს მუშაობაში, სჩადის მოსამართლის საბატიო წოდებისათვის შეუფერებელ საქციელს, რაც, ბუნებრივია, საფუძველი ხდება მისი ვადადე გამოწვევისა. რესპუბლიკაში ამ ბოლო და წინა არჩევნებს შორის 30-ზე მეტი სახალხო მოსამართლე გამოიცვალა. ეს არ არის ნორმალური მოვლენა. ეტყობა ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ იმ მხრივ, რომ უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არ დაგვიკირდეს მოსამართლის გამოწვევა. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გაკეთდეს მოსამართლის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელის, კანონიერების უხეში და საეჭვო დარღვევების მიტევების ხარჯზე.

შემამად ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშრომლებმა სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად აირჩიეს ღირსეული ადამიანები. ყველა სახალხო მოსამართლე პარტიის წევრია, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ადამიანებთან მუშაობისა და ურთიერთობის კარგი გამოცდილება. სახალხო მოსამართლეთაგან შეიდი დიდი სამამულო ომის მონაწილეა, სამი — რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, ოცდაორს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. არჩეულთა შორის ბევრს მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და დამსახურებულად სარგებლობს ხალხის ნდობითა და ავტორიტეტით. ასეთი მოსამართლეები არიან, მაგალითად, სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის მონაწილე იოსებ კოჭლამაზაშვილი, თერჯოლის რაიონის სახალხო მოსამართლე თამარ ყრუაშვილი, ქალაქ სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შალვა არშბა, დმანისის რაიონის სახალხო მოსამართლე დიმიტრი ცხენლაშვილი, ქალაქ ცხინვალის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე დიმიტრი ხუგაევი, ფოთის სახალხო მოსამართლე ლეილა აბუევა, ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე კუკური თენგიშვილი, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე შოთა სარია, თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გულიკო ხაბეიშვილი, თეთრიწყაროს რაიონის სახალხო მოსამართლე თამაზ დარჩიაშვილი და მრავალი სხვა.

სახალხო მოსამართლეთა შორის ბევრს არა აქვს სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება, მაგრამ თავისი საქმიანი და მორალურ-პოლიტიკური თვისებებით უნდა გაამართლოს ხალხის ნდობა. სახალხო მოსამართლედ პირ-



ველად არიან არჩეული, მაგალითად, დუშეთის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე მირიან ფხალაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი იური ტყეშელაშვილი, რუსთავის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი გულნარა ჯიმშელაძე, თბილისის პირველი სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მარიამ ფრიდონაშვილი, წყალტუბოს სახალხო სასამართლოს მდივანი მზია ნადიბაიძე და სხვები.

მართლმსაჯულების განხორციელების სპეციფიკა და სირთულე სახალხო სასამართლოებს მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს. სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ნათლად და მკაფიოდ აღნიშნა თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს, მათ შორის მოსამართლეებს. „ამ ორგანოების მუშაკთა პროფესიული ცოდნა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უნდა ერწყმოდეს მოქალაქეობრივ მამაცობას, მოუსყიდველობასა და სამართლიანობას. მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ღირსეულად შეასრულონ დაკისრებული სერიოზული მოვალეობანი“¹.

მართლაც, წარმოუდგენელია სახალხო მოსამართლე პროფესიული ცოდნის გარეშე. მართლმსაჯულებაც კანონიერების განხორციელებაა და, ბუნებრივია, თუ მოსამართლემ კანონი არ იცის, მართო ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ალღოთი შორს ვერ წავა. მოსამართლემ უნდა იცოდეს საბჭოთა კანონმდებლობა, უნდა ესმოდეს კანონის არსი და აზრი, შეეძლოს მისი სწორად განმარტება და გამოყენება. საბჭოთა კანონმდებლობა მრავალდარგოვანია, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობების განვითარების კვალბაზე განიცდის მრავალ ცვლილებას, დამატებას, შესწორებას. მოსამართლე განუწყვეტლივ უნდა ადევნებდეს თვალს კანონების განვითარებისა და სრულყოფის პროცესს, სწავლობდეს საკანონმდებლო სიახლეებს, მზად იყოს მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მოსამართლე უნდა იყოს მამაცი. მას არ უნდა ეშინოდეს თავისი ფუნქციების სწორად განხორციელებისა, არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ ვის მოეწონება და ვის რამდენად ეწყინება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლისათვის უნდა არსებობდეს მხოლოდ კანონი. რასაკვირველია, ამის თქმა და დაწერა უფრო ადვილია, ვიდრე შესრულება, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია. თუ მოსამართლე ყველას მიმართ ობიექტური და სამართლიანია, თუ იგი ყველას ერთიანი საწყაოთი და სასწორით უდგება, თუ მის ზურგს რაიმე ცოდვები არ ამძიმებს, მაშინ არაფრის და არავის შიში არ ექნება. ასეთ მოსამართლეს ფიქრშიც ვერავინ შეკადრებს უკანონობისა და უსამართლობის ჩადენას.

მამაცობა მართო იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ ანგარიში არ გაუწიოს უცხო პირებს. თვითონ საქმის განხილვა, კანონიერი განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენაც მოითხოვს მამაცობას. მამაცობაა საჭირო, როცა კანონიერად სჯი საშიშ დამნაშავეს და მისი არასრულწლოვანი ბავშვები მორჩილად მოგჩერებიან თვალბეჭდში. მამაცობაა საჭირო პროცესზე აუღელვებლად უყურო შეილმოკლულ დედას. მამაცობაა საჭირო ობიექტური იყო დამნაშავეს

1. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1981, გვ. 109.

მიმართ, რომელმაც ათი წლის ბავშვი გააუპატიურა. ვინ მოთვლის იმ კონკრეტულ საქმეებსა და სიტუაციებს, სადაც კანონის გარდა მოსამართლეს სჭირდება რკინის ნერვები, მამაციანა და გმირის თვისებები.

მოსამართლე უნდა იყოს მოუსყიდავი, კრისტალური სიწმინდისა და კეთილსინდისიერების ნიმუში. იმისათვის, რომ სხვისი გასამართლების უფლება ჰქონდეს, მოსამართლე თვითონ უნდა იძლეოდეს მაღალი ადამიანობის, ზნეობრივი სიწმინდისა და შეუფალობის მაგალითს. მართლმსაჯულების სასწორი მხოლოდ მოუსყიდავ და ყოველმხრივ სუფთა ხელებს შეიძლება ეკავოს სწორად.

მოსამართლე უნდა იყოს სამართლიანი, ობიექტური. მას უნდა უყვარდეს ადამიანი, უნდა შეეძლოს სხვისი ჭირისა თუ ლხინის გაზიარება, საკუთარ თავზე მოზომვა. მოსამართლეს უფლება არა აქვს დაკარგოს სამართლიანობის გრძნობა, აჰყვეს განცდებსა და ემოციებს, პირადი განწყობის, პირადი სიმპათიებისა თუ ანტიპათიების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. მოსამართლემ უნდა იაზროვნოს, შინაგანი რწმენა გამოიმუშაოს, სამართლიანობის პოზიცია დაიკავოს მხოლოდ საქმეში არსებული მასალებისა და მტკიცების საფუძველზე.

აღნიშნულ თვისებებს მოსამართლე მარტო ლექციებითა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გავლით ვერ ისწავლის. დიდი პირადი მონდომება, შინაგანი მობილიზაცია და თვითწვრთნა საჭირო. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი მოსამართლემ უნდა გააკეთოს და ჩვენ არ ვიმუშაოთ მისი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის.

კადრების სწავლებისა და აღზრდის ჩვენს ხელთ არსებული ყველა ფორმა და საშუალება ამჟამად ჩაყენებულია ახლად არჩეული სახალხო მოსამართლეების სამსახურში. შემუშავებულია და პრაქტიკულად ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სწავლების როგორც საერთო, ისე ინდივიდუალურ ღონისძიებას მოსამართლის კვალიფიკაციისა და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

განსაკუთრებული ღონისძიებები ხორციელდება სახალხო მსაჯულთა სწავლებისათვის. მათი შემადგენლობა მიმდინარე არჩევნებში თითქმის სანახევროდ შეიცვალა. სახალხო მსაჯულთა აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს იურიდიული განათლება, და თუ დროულად არ შევასწავლეთ საბჭოთა სამართლისა და კანონმდებლობის ძირითადი ცნებები და საფუძვლები, ძალიან გაუჭირდებათ სასამართლოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების პერიოდში ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებისას, მსაჯულთა ასარჩევად გამართულ კრებებზე, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებთან შეხვედრებზე მშრომლებმა ბევრი საყურადღებო საკითხი და წინადადება აღძრეს სახალხო სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების მიზნით. არჩევნებთან დაკავშირებით ბევრი წერილი შემოვიდა იუსტიციის ორგანოებში. ამ წინადადებების და წერილების საფუძველიანი შესწავლა, მათზე სათანადო რეაგირება და მუშაობაში გათვალისწინება იუსტიციის ორგანოების და სახალხო სასამართლოების უპირველესი მოვალეობაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღ-

ვანელობით და მონაწილეობით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მისი ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად. თითქმის არ დაჩვენია ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის არც ერთი ძირითადი უბანი და მიმართულება, რომლის შესახებაც არ ემსჯელოს ცენტრალურ კომიტეტს და არ მიეღოს მეცნიერულად დასაბუთებული სახელმძღვანელო დადგენილება.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახალხო სასამართლოების საქმიანობა, მართლმსაჯულების ხარისხი, გაიზარდა სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა, საგრძნობლად შემცირდა უკანონოდ მსჯავრდადების შემთხვევები. სახალხო სასამართლოები უფრო მკაცრად სჯიან საშიშ დამნაშავეებს, უფრო ფართოდ იყენებენ სასჯელის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ქონების კონფისკაცია, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

მიუხედავად ამისა, სახალხო სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომელთა გამოსასწორებლად უნდა იზრუნონ ახლად არჩეულმა სახალხო სასამართლებმა.

სასამართლოს ძირითადი დანიშნულებაა მართლმსაჯულების სწორად განხორციელება, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვა და გადაწყვეტა კანონით დადგენილი ნორმებისა და ფორმების დაცვით. სამწუხაროდ, ამ ძირითად ფუნქციებს რესპუბლიკის ყველა სახალხო სასამართლო ვერ ასრულებს ჯეროვნად. ჯერ კიდევ ხშირია უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევები. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის პროცენტი თითქმის ორჯერ მეტია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე. ჩვენში თითქმის არ არის სახალხო სასამართლო, რომლის განაჩენი და გადაწყვეტილება საკონსტიტუციო უფლებამოსილების ვადაში არ გაუქმებულიყოს ან არ შეცვლილიყოს. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში კი ასეთი სასამართლოების რიცხვი საკმაოდ დიდია. განსაკუთრებით ხშირად უქმდება და იცვლება ბორჯომის, ახალციხის, თიანეთის, წალკის, გარდაბნის, რუსთავის, ბოლნისის, ახმეტის, თბილისის კიროვის, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები და გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ განაჩენების და გადაწყვეტილებების გაუქმება და შეცვლა, როგორც წესი, ხდება ისეთი მიზეზით, რომელიც მხოლოდ მოსამართლის უპასუხისმგებლობით და უყურადღებობით შეიძლება აიხსნას. მაგალითად, შარშან ექვსი განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ სამართალში მიცემულს საბოლოო სიტყვა არ მისცეს. სიტყვა, ალბათ, სინამდვილეში კი მისცეს, მაგრამ ეს არ აისახა სამსჯავრო სხდომის ოქმში, რომელსაც მოსამართლემ წაუკითხავად მოაწერა ხელი. ხშირად უქმდება განაჩენები წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული დარღვევების გამო. ზოგ სახალხო მოსამართლეს არ უნდა გაამწვავოს ურთიერთობა საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოებთან და წარმოებისათვის დებულობს, იხილავს და განაჩენს ადვენს ისეთ საქმეზე, რომელიც კანონის უხვეში დარღვევით არის გამოძიებული. რასაკვირველია, სასამართლო უნდა გაუფრთხილდეს გამოძიებლის რთულ შრომას, ყველანაირად უნდა ეცადოს სამსჯავრო სხდომაზე შე-

ავსოს გამოძიების ხარვეზები, მაგრამ, როცა ეს შეუძლებელია, დროულად უნდა დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის. ასეთ საქმეზე განაჩენის დადგენა ვერაფერი კოლეგიალობაა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ.

თქმა იმისა, თითქოს სასამართლოების საქმიანობის ეს ძირითადი უბანი არ გვაწუხებდეს, ალბათ, არ იქნებოდა სწორი. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო სისტემატურად აზოგადებს სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს, გამოაქვს კერძო განჩინებანი, გზავნის წერილებს, მასალებს იხილავს დისციპლინარული საქმეების კოლეგიაზე. ამ მდგომარეობას არც იუსტიციის სამინისტრო უყურებს გულხელდაკრეფილი. მაგრამ ეს ღონისძიებები ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ეტყობა, ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი უფრო მკაცრი და მომთხოვნი უნდა იყოს. განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გაუქმება მოსამართლის საქმიანობაში უნდა იყოს განსაკუთრებული და საგანგებო შემთხვევა. სამწუხაროდ, ამ მოვლენისადმი ასეთი დამოკიდებულება დღეს არც სახალხო მოსამართლეებს აქვთ და არც მათ ხელმძღვანელებს.

ემ უკანასკნელ ხანს მდგომარეობის საგრძობლად გაუმჯობესების მიუხედავად, ზოგიერთი სახალხო სასამართლო ყოველთვის სწორად ვერ ახორციელებს დასჯით პოლიტიკას, საშიშ დამნაშავეთა მიმართ იჩენს ლმობიერებას ან ზედმეტად მკაცრად სჯის ისეთ დამნაშავეებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. გვჩვენება შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სასამართლო თანაბარ პირობებში ჩადენილი ერთგვაროვანი დანაშაულისათვის იყენებს სხვადასხვა სახისა და ზომის სასჯელს, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ ეჭვს ბადებს სასამართლოს ობიექტურობასა და სამართლიანობაში.

სისხლის სამართლის სასჯელი წარმოადგენს დამნაშავეობასთან ბრძოლის მეტად მკაცრ იარაღს და მისი გამოყენების პრინციპები საჯსებით ნათლად არის განმარტებული კანონმდებლობაშიც და თეორიაშიც. საბჭოთა დასჯითი პოლიტიკა ემყარება ლენინურ დებულებას, რომ საშიშ დამნაშავეთა მიმართ ყოველგვარი ლიბერალობის, მერყეობისა და სისუსტის გამოჩენა დანაშაულია სოციალიზმის წინაშე. ამასთან, თუ პირმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და იგი შეიძლება გამოსწორდეს საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, სასამართლოს შეუძლია მის მამართ გამოიყენოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება ან ისეთი სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ იქნება დაკავშირებული.

სასამართლოს საქმიანობაში არ არსებობს უფრო უხეში შეცდომა და უფრო მიუტყვევებელი ბოროტება, ვიდრე უდანაშაულო პირის მსჯავრდადება. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევები ბოლო დროს შემცირდა, მაგრამ აქ პროცენტებისა და სტატისტიკის ენით ლაპარაკი უხერხულიც კია. ასეთი შემთხვევები საერთოდ არ უნდა იყოს. მოსამართლე, თუ პროცესის მსვლელობის მანძილზე ვერ გაარჩია სამართალში მიცემულის დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა, კარგავს მორალურ უფლებას, იყოს მოსამართლე, იგი ვერავის დააჯერებს, რომ ანალოგიურ შეცდომას აღარ დაუშვებს.

სახალხო სასამართლოებში ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა საქმის განხილვის ვადები. ამ მხრივ განსაკუთრებით სკოდავენ ტყიბულის, ქუთაისის ლენინის რაიონის, გორის, ვანის, მესტიის, ქარელის რაიონების სახალხო სასამართლოები. საქმის განხილვის ვადების დარღვევის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ზოგი

სახალხო მოსამართლე თვითონ არ მონაწილეობს პროცესის მომზადებაში, ეს ტექნიკურ სამუშაოდ მიაჩნია და მთლიანად ანდობს მას სხდომის მდივანსა და კანცელარიის მუშაკებს. ასეთი უპასუხისმგებლობით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ ხშირად იმ სასამართლოში ირღვევა ვადები, რომელიც მაინცდამაინც დიდად არ არის დატვირთული.

სახალხო სასამართლოს მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. საჭიროა თითოეული საქმის განხილვისას სწორედ განისაზღვროს ზარალის ოდენობა, გულდასმით შემოწმდეს, რა ღონისძიებები განხორციელდა წინასწარი გამოძიებისას ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დროულად გამოიწეროს აღმასრულებელი ფურცელი და სისტემატური კონტროლი დაწესდეს სააღსრულებო საქმიანობისადმი.

დამნაშავეობასთან ბრძოლა ნიშნავს არა მარტო დამნაშავეთა მხილებასა და სამართლიან დასჯას, არამედ ყველა იმ გამაფრთხილებელი ღონისძიებების ფართოდ გამოყენებას, რომელთა მიზანია დამნაშავეობის თავიდან აცილება და აღკვეთა. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროფილაქტიკის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა საქმეთა განხილვა გამსვლელი სესიით, კერძო განჩინების გამოტანა, საქმის განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა. სამწუხაროდ, ზოგიერთი სახალხო სასამართლო ჭეղოვნად ვერ აფასებს ამ ღონისძიებათა მნიშვნელობას. მაგალითად, ზესტაფონის, გორის, კასპის, ახალქალაქის, მარნეულის, საჩხერის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონების სახალხო სასამართლოებში იშვიათად იხილავენ საქმეებს გამსვლელ სესიაზე, ყველა საჭირო შემთხვევაში არ გამოაქვთ კერძო განჩინება, არ იღებენ ზომებს საქმის განხილვაში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ჯერ კიდევ ბევრი ფორმალისმიერ პროფილაქტიკური ღონისძიებების გამოყენებაში. ზოგიერთი სახალხო სასამართლო დაინტერესებულია მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლების გაზრდით და ნაკლებად ზრუნავს მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სახალხო სასამართლოებში საქმის წარმოების კულტურა. ეს ენება სასამართლოს საქმიანობის ყველა სფეროსა და მიმართულებას. სასამართლო პროცესის ჩატარება, საპროცესო დოკუმენტების შედგენა თუ მოქალაქეთა მიღება უნდა გამოირჩეოდეს დიდი კულტურითა და ტაქტით, ეთიკური ნორმების დაცვით, პიროვნების უღირსების პატივისცემით. მოსამართლის, სასამართლოს ყველა მუშაკის ქცევა იქნება უნდა იყოს ყოველმხრივ აწონილი და გაზომილი, შეეფერებოდეს სასამართლოს განსაკუთრებულ მდგომარეობასა და დანიშნულებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ესა თუ ის ეტაპი და პერიოდი მოითხოვს ბრძოლის გააქტიურებას გარკვეული კატეგორიის დანაშაულობათა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ. ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლეულის დავალებათა და პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის შესასრულებლად, განსაკუთრებით აქტუალური გახდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, წესრიგისა და ორგანიზებულობის დონის ამაღლება სამეურნეო საქმიანობაში, სოციალისტური საკუთრების დაცვა ყოველგვარი ხელყოფისა-

გან. სახალხო სასამართლოების უპირველესი მოვალეობა და ღირსების საქმეა თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ბრძოლაში, კანონის მთელი სიმკაცრით იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, უყაირათობისა და მაქინაციების ყველა იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომლებიც მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებენ სახალხო მეურნეობას, ქვეყნის ეკონომიკას. ამასთანავე არ უნდა შესუსტდეს ბრძოლა ისეთ საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორცაა ქურდობა, ყაჩაღობა, ბოროტი ხულიგნობა, ავტომანქანების გატაცება, ადამიანის ღირსების ხელყოფა.

სახალხო სასამართლომ უნდა განამტკიცოს საქმიანი კავშირი და ურთიერთობა პროკურატურის, მილიციის, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სოციალისტური კანონიერება ერთიანია თავის ბუნებითა და შინაარსით. კანონიერებისათვის ბრძოლა უნდა იყოს ერთიანი, გამსჭვალული ერთი მიზნით და მიმართულებით.

სასამართლოს, ისევე როგორც ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ძალისა და ძლიერების წყაროა პარტიული ხელმძღვანელობა. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა. ამ ხელისუფლებას მხოლოდ ის მოსამართლე გამოიყენებს და წარმართავს სწორად, ვინც კარგად ერკვევა პარტიის პოლიტიკაში, ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში. სახალხო მოსამართლე აქტიურად უნდა მონაწილეობდეს თავისი რაიონისა და ქალაქის საქმიანობაში, საფუძვლიანად უნდა იცოდეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ამოცანები, ის სამეურნეო თუ ორგანიზაციული ხასიათის სიძნელები, რომელთა დაძლევისათვის იბრძვის პარტიული ხელმძღვანელობა.

სახალხო მოსამართლე სისტემატურად უნდა ხვდებოდეს შრომითს კოლექტივებს, ანგარიშს აბარებდეს ამომრჩევლებს, ინფორმაციის ყველა საშუალებით განუმარტავდეს მოსახლეობას საბჭოთა მართლმსაჯულებისა და სოციალისტური კანონიერების პრინციპებს.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდია იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების, საბჭოთა მილიციის პასუხისმგებლობა. საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რომ ყოველ დანაშაულს ჯეროვნად იძიებდნენ და დამნაშავეთ საკადრისად სჯიდნენ. ამ საქმეში მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს საფასვრით დაუტერს მხარს პარტია და, ეჭვი არ მეპარება, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა“.²

სახალხო მოსამართლეები, იუსტიციისა და სხვა სამართალდაცვის ორგანოების მუშაკები ვალდებულნი არიან ნამდვილად იყვნენ პარტიის ამ დიდი დაფასებისა და ზრუნვის სიმალღეზე, მტკიცედ იბრძოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისა და მშრომელთა უფლებების დასაცავად, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

² ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენება სკკპ XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1981, გვ. 109.



ავაგალლოთ ადვოკატურის ავსორიტატი, მისი როლი გართლმსაჯულავის განხორციელავაში

3. როინიშვილი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა ადვოკატურა აღნიშნავს თავისი არსებობის მესამოცე წლისთავს. ისევე, როგორც სხვა საპარტალდაცვის ორგანოებმა, ადვოკატურამაც განვლო რთული და საინტერესო გზა. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა სასამართლო სისტემის წარმოშობის და განვითარების ისტორიასთან.

სასამართლოს შესახებ № 1 საბჭოთა დეკრეტმა, 1917 წლის 22 ნოემბერს გააუქმა რევოლუციამდელი სასამართლოს სისტემა და მასთან ერთად ნაფიც ვეკილთა ინსტიტუტიც. დეკრეტის 33-ე მუხლით სასამართლო პროცესებზე დამცველად გამოსვლის უფლება მიეცათ „ორივე სქესის ყველა სახელგაუტეხელ მოქალაქეს, რომელსაც არ ჰქონდა ჩამორთმეული სამოქალაქო უფლებანი“.

სასამართლოს შესახებ № 2 დეკრეტმა, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წლის 30 ივნისს, არსებითი ცვლილებანი შეიტანა სასამართლო დაცვის ორგანიზაციაში. მანამდე არსებული წესების შენარჩუნებასთან ერთად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან შეიქმნა იმ პირთა კოლეგია, რომლებიც სასამართლოში დაცვის ფუნქციას ახორციელებდნენ. კოლეგიის წევრებისათვის აუცილებელი არ იყო სპეციალური განათლება. მათ დაუწესდათ მტკიცე ყოველთვიური ხელფასი. პირებს, რომლებიც ვაგრთიანებული არ იყვნენ კოლეგიაში. ეკრძალებოდათ სასამართლოში დამცველად გამოსვლა.

იმავე წლის 30 ნოემბერს რუსეთის სფსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო „დებულება სახალხო სასამართლოს შესახებ“. რომლის მიხედვითაც სამაზრო და საოლქო აღმასკომებთან შეიქმნა დამცველთა, ბრალმდებელთა და სამოქალაქო პროცესის მონაწილეების ინტერესების წარმომადგენელთა კოლეგიები. მათს შემადგენლობას აღმასკომებში ირჩევდნენ „თანამდებობის პირთა არჩევის საერთო წესით“. კოლეგიის წევრები ხელფასს იღებდნენ იუსტიციის სამინისტროში, ხოლო კლიენტებისაგან შეტანილი ჰონორარი რესპუბლიკის ბიუჯეტში ირიცხებოდა.

საბჭოთა ადვოკატურის დაარსების დღედ ითვლება 1922 წლის 26 მაისი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეცხრე მოწვევის მესამე სესიამ ამ დღეს მიიღო „დებულება ადვოკატურის შესახებ“, რომლის პროექტი შემუშავებული იყო რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარია-



ტის მიერ. ადვოკატურის საქმიანობა შემდეგ დაწვრილებით იქნა მოწესრიგებული დებულებით დამცველთა კოლეგიების შესახებ, რომელიც იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1922 წლის 5 ივლისს დაამტკიცა.

ამ აქტებით საგრძნობი ცვლილებები განიცადა დაცვის ინსტიტუტმა. დამცველთა კოლეგიები პირველ ხანებში ყალიბდებოდა იუსტიციის საგუბერნიო განყოფილებებთან, მერე — საგუბერნიო სასამართლოებთან. ახალ წევრებს იღებდნენ თვით კოლეგიები, მაგრამ ახლად მიღებული პირის შესახებ მათ აუცილებლად უნდა ეცნობებინათ გუბერნიის აღმასკომისათვის, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა აცილების უფლება.

კოლეგიის მმართველობის უმაღლესი ორგანოს ფუნქციები დაეკისრა ადვოკატთა საერთო კრების მიერ არჩეულ პრეზიდიუმს.

ადვოკატის შრომის ანაზღაურება ხდებოდა კლიენტთან შეთანხმებით, მაგრამ იმ გამონაკლისით. რომ, თუ კლიენტი მუშა ან მოსამსახურე იყო, ჰონორარს იხდიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ნიხრის მიხედვით. რაც მთავარია, ადვოკატურას დაეკისრა ახალი, რევოლუციამდელი ადვოკატურისათვის უცნობი — მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევის ფუნქცია.

საბჭოთა ადვოკატურის საქმიანობის სრულყოფის საკითხებს დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე 1924 წელს „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების ძირითადი საფუძვლების“ მიღების დროს და 1936 წელს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ პერიოდში სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ნ. კრილენკოს გამოსვლა მოსკოვის ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრებაზე, სადაც მან საჭიროდ მიიჩნია ადვოკატურისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება. „მხოლოდ ასეთ პირობებში, — ამბობდა ნ. კრილენკო, — შეძლებს ადვოკატი დაიცვას სამართალში მიცემული თავისი პოლიტიკური აზრითა და სინდისით, შეედავოს პროკურორს უფლებისა და მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის საკითხში და საჭიროების შემთხვევაში შეედავოს სასამართლოსაც. ეს კი შეუძლებელია, უკეთუ დაცვა არ იქნება დამოუკიდებელი სასამართლოსაგან და მით უფრო პროკურორისაგან“.

1939 წელს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პირველი დებულება „სსრ კავშირის ადვოკატურის შესახებ“, რომელიც იმავე წლის 16 აგვისტოს № 1219 დადგენილებით დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ. დებულება შეიცავდა ოთხ თავსა და 28 მუხლს. იგი ადგენდა ადვოკატურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, კოლეგიის წევრთა მიღებისა და დათხოვნის წესს, კოლეგიის სტრუქტურასა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

დებულების საფუძველზე გაუქმდა დამცველთა კოლექტივები და შეიქმნა იურიდიული კონსულტაციები, გაფართოვდა მათი მოქმედების სფერო, ზუსტად განისაზღვრა საქმეთა წარმოებაში, აგრეთვე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ადვოკატურის ადგილი. დებულება ადვოკატთა კოლეგიების საერთო ხელმძღვანელობას აკისრებდა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს, საოლქო და სამხარეო იუსტიციის განყოფილებების მეშვეობით.

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებამ გამოიწვია ახალი დებულების შემუშავების აუცილებლობა.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონით დაამტკიცა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება, რომელიც უფრო სრულყოფილად აწესრიგებდა საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა-კოლეგიების საქმიანობას.

ადვოკატურის ინსტიტუტი უმაღლითო სიმაღლეზე აიყვანა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ. ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში ჩაწერილია, რომ „მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას“.

კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1979 წლის 30 ნოემბერს მიიღო კანონი „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“, ხოლო მის საფუძველზე საქართველოს მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1980 წლის 12 ნოემბერს დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ“.

ახალი კანონი კიდევ უფრო სრულყოფს ადვოკატურის საქმიანობას, აფართოებს მისი მოქმედების სფეროს, ამაღლებს ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო ინსტიტუტის ავტორიტეტს.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ დებულების მიხედვით საქართველოს ადვოკატთა კოლეგიას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავიანთი კომპეტენციის განმსაზღვრელი კანონმდებლობის შესაბამისად როგორც უშუალოდ, ისე რესპუბლიკის იუსტიციის-სამინისტროს მეშვეობით.

როდესაც საქართველოს სსრ საბჭოთა ადვოკატურის აღმოცენებაზე, განვითარებასა და დღევანდლობაზე ვმსჯელობთ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემი მისი პირველი შემადგენლობის შესახებ. 1927 წლის ოქტომბრამდე სრულიად საქართველოს დამცველთა კოლეგია აერთიანებდა 397 წევრს, რომელთაგან თბილისში მუშაობდა 208, აღმოსავლეთ საქართველოს მაზრაში — 46, დასავლეთის მაზრაში — 45. მათ შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 262-ს, საშუალო განათლება — 77-ს, დაბალი განათლება 44-ს. კოლეგიაში ირიცხებოდა 14 სკკა წევრი და მხოლოდ 7 ქალი.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში ნაყოფიერ მოღვაწეობას დღესაც ეწევიან ძველი თაობის გამოჩენილი ადვოკატები. სასიამოვნოა, რომ მათ გვერდით ადვოკატის რთულ პროფესიას წარმატებით ეუფლება უკანასკნელი წლების მანძილზე კოლეგიაში მიღებული სამოცზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი.

საქართველოს ადვოკატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომის პერიოდს. ომის დაწყების პირველსავე დღეებში ადვოკატები სხვებთან ერთად ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. საგულისხმოა, რომ უკვე 1941 წლის 23 სექტემბერს რესპუბლიკის ადვოკატთა კო-

ლეგიის პრეზიდენტმა საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევასთან დაკავშირებით კოლეგიიდან ერთ დღეს გაათავისუფლა 11 ადვოკატი. სულ არმიაში გაიწვიეს 180 პირი. ბევრი მათგანი გმირულად დაიღუპა სამამულო ომის ფრონტებზე, ბევრი კი სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა საყვარელ პროფესიას და დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს მის რიგებში.

ადვოკატთა კოლეგიის წევრები დიდ მატერიალურ და პროფესიულ დახმარებას უწევდნენ სამამულო ომში დაღუპულთა და გაწვეულთა ოჯახებს, ომის ინვალიდებს.

ადვოკატის უფლებებისა და მომსახურების სფეროს გაფართოებაზე რომ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ შემდეგს: ძირითად პროფესიულ მოვალეობებთან ერთად ადვოკატს ახალი კანონმდებლობით ნება ეძლევა იწარმოებინა იმ პირთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელთა კომპეტენციაში შედის შესაბამისი საკითხის გადაწყვეტა.

კოლეგიის პრეზიდენტი დიდ საქმიანობას ეწევა ადვოკატთა კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

დღესათვის რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში შექმნილია იურიდიული კონსულტაციები, რომლებშიც გაერთიანებულია 458 ადვოკატი, მათ შორის 289 ანუ 60 პროცენტზე მეტი სკკპ წევრია; 123, ანუ თითქმის ყოველი მეოთხე, ქალია. ამასთანავე, კოლეგიაში ირიცხებიან სტაჟიორები, რომლებიც განაწილებით მოვიდნენ ჩვენთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირთაგან კოლეგიაში დარჩა მხოლოდ 18 ადვოკატი.

კოლეგიაში ახალგაზრდა სპეციალისტთა და ადვოკატთა რიცხვი სამოცდაათამდე გაიზარდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა პრეზიდენტთან შეგვექმნა სტაჟიორებთან მუშაობის მუდმივმოქმედი კომისია პრეზიდენტის წევრის, მთავალკვალიფიციური იურისტის ვ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით და ახალგაზრდა ადვოკატთა რესპუბლიკური საბჭო, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტის კონსულტანტი, ახალგაზრდა ადვოკატი ი. ბერიშვილი და პრეზიდენტის წევრი — კვალიფიციური იურისტი ა. ჯინჭველაძე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენს ადვოკატურისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1978 წელს, პირველად ადვოკატურის ისტორიაში, მიიღო დადგენილება „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესრულების საქმეში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტმა განაზოცილეს ღონისძიებათა კომპლექსი კოლეგიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის. საგრძნობლად გაიზარდა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების იურიდიული მომსახურება, ამაღლდა ჩვენი საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა.

საკმარისია ითქვას, რომ თუ 1978 წელს რესპუბლიკის ადვოკატებმა იუ-



რიდიული დახმარება გაუწიეს 49 229 მოქალაქეს, მათგან 13 838-ს — უფასო, 1981 წელს ეს რიცხვი შესაბამისად გაიზარდა 72 413-მდე და 35 186-მდე.

აღნიშვნის ღირსია ადვოკატების საქმიანობა ორგანიზაციების იურიდიული მომსახურების ხაზით. მხოლოდ 1981 წელს მათ დახმარება გაუწიეს 284 ორგანიზაციას. მათ მიერ წარდგენილი პრეტენზიებისა და საჩივრების საფუძველზე არბიტრაჟისა და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებით ამ ორგანიზაციათა სასარგებლოდ ამოღებულმა თანხამ 3546 739 მანეთი შეადგინა.

ამავე პერიოდში იურიდიულმა კონსულტაციებმა 66 წარდგინება შეიტანეს სამართალდარღვევათა წარმომშობი მიზეზების თავიდან აცილებისათვის, ადვოკატების შეამდგომლობით სასამართლო ორგანოებმა გამოიტანა 143 კერძო განჩინება.

შარშან მარტსა და აგვისტოში პრეზიდიუმმა მოაწყო რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რომლებზეც მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად“, აგრეთვე „სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების საქმეში რესპუბლიკის ადვოკატთა როლის შემდგომი ამოღების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით“.

ჩვენ მიერ ბოლო ხანს შემუშავებულია და ადგილებზე სახელმძღვანელოდ დაიგზავნა ხუთი მეთოდოლოგიური რეკომენდაცია. პერიოდულად ხდება იურიდიული კონსულტაციების და ცალკეული ადვოკატების საქმიანობის დადებითი გამოცდილების განზოგადება. იურიდიულ კონსულტაციებს დაეგზავნათ 35 მიმოხილვა, განზოგადება და სახელმძღვანელო დადგენილება, რომლებიც საადვოკატო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება.

ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დადებითს როლს ასრულებს პრეზიდიუმთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი სასამართლო დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ადვოკატთა მუშაობის ხარისხის შემოწმებისა და მათ შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური კომისია. რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმის წევრი, დეაწლმოსილი იურისტი ა. ლომინაძე. ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ამაღლების საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ორგანიზაციული ღონისძიებები.

ეს მაჩვენებლები მოწმობს, რომ ადვოკატურისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნების შესასრულებლად განხორციელებულია ბევრი ღონისძიება. მაგრამ მიღწეული შედეგი არ გვაკმაყოფილებს, გასაკეთებელი გაცილებით მეტია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებათა შემდგომი ამოღების შესახებ“. სამართლიანად არის ნათქვამი, რომ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი სასამარ-

თლოებს არ უწყობს ხელს აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში, პროცესებზე ამჟღავნებს დაბალ პროფესიულ დონეს, იჩენს უტაქტობას.

პრეზიდიუმმა იმსჯელა ასეთ ადვოკატთა შესახებ და მათ მიმართ განახორციელა მკაცრი დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები.

კოლეგიის შემადგენლობიდან გათავისუფლდა ხუთი ადვოკატი, ხოლო ათ ადვოკატს დაედო დისციპლინური სასჯელი, მათ შორის ორი პირობით იქნა დატოვებული კოლეგიის რიგებში.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, მომავალშიც განვახორციელოთ პრინციპული და თანამიმდევრული ღონისძიებანი ადვოკატის მიერ ჩადენილ ყოველი გადაცდომის გამო, განვამტკიცოთ დისციპლინა ადვოკატთა შორის, ავამაღლოთ დაცვის როლი მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენი კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი არა მარტო ადვოკატთა პროფესიულ მოვალეობათა შესრულების მხრივ, არამედ მათს მოღვაწეობაში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდისა და ორგანიზაციების იურიდიული მომსახურების ხაზითაც. ამიტომ რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციისა და მთელი კოლეგიის უპირველესი ამოცანაა აღმოფხვრან მუშაობის ამ უბანზე არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

ეს ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საბდივნოს 18 მაისის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, მისი პარტიული ორგანიზაცია და მთელი კოლეგია ყველაფერს იღონებენ, რათა განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, უფრო ეფექტიანი იურიდიული დახმარება გაუწიონ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, განუხრელად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობანი მართლმსაჯულების განხორციელების, სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში, პირნათლად შეხვდებიან დიდ იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ადვოკატთა კოლეგიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, კადრების აღზრდისათვის პარტიულობის, მაღალი პრინციპულობის, პატიოსნების, მორალური სინწინდის სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებაიდან.

საქართველოს სსრ ადვოკატურის ისტორიიდან

მ. კომახიძე.

ეურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს დიდი სამართლებრივი კულტურის ქვეყანა იგი ადრევე იცნობდა დაშნაშვის დაცვის ინსტიტუტს. თუ რადონეზე იღვა ეს საქმე ფეოდალურ საქართველოში და რა როლს ასრულებდა „ვექილი“ (ან „ვაქილი“), საქმოდ არის შესწავლილი. დაცვის ინსტიტუტის განვითარება ჩვენში ახალ სიმაღლეზე აღის XIX საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც მთელი რუსეთის იმპერიასთან ერთად საქართველოშიც განხორციელდა ბურჟუაზიული რეფორმები, მათ შორის 1864 წლის სასამართლო რეფორმა. ამ რეფორმას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო პროცესის დემოკრატიულ საწყისებზე განვითარებისათვის. მაგრამ მეფის რუსეთში მას ფართო მასშტაბი არ ეწერა. და მაინც, ნაფიც ვექილთა ინსტიტუტმა ასე თუ ისე უჩვენა თავისი სახე და თვალსაჩინო როლიც შეასრულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ბრწყინვალედ ქართველ ნაფიც ვექილთა პირველი თაობის წარმომადგენლები ილია ქავჭავაძე, გიორგი ლოდობერიძე, ნიკოლოზ გამრეკელი, გიორგი სიღამონ-ერისთავი, ვასილ მაჩაბელი, ალექსანდრე ქორქაძე, დავით და მიხეილ საღულელიშვილები, მოსე ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა, მექი ფაღავა, დავით ლორთქიფანიძე და სხვები.¹

ქართველ ნაფიც ვექილთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა სახელი გაითქვა პოლიტიკურ პროცესებში აქტუალური მონაწილეობით. ასეთები იყვნენ იოსებ ბარათაშვილი, შალვა მესხიშვილი, მოსე ქიქოძე, კონსტანტინე ჩაფარიძე და სხვები. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ საქმეში ლუარსაბ ანდრონიკაშვილის (1874-1939) დამსახურება. საამაყო, რომ ლ. ანდრონიკაშვილი ეკუთვნის იმ ზეცირებისცხოვან რევოლუციამდე აღვოკატებს, რომლებმაც უწყაშანოდ მიიღეს ოქტომბრის დიდი სოცი-

ალისტური რევოლუცია და ჩვეული მუყათობით ჩადგნენ მის სამსახურში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაიწყო რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო აპარატის მსხვერვა, მათ შორის სასამართლო სისტემისაც. მასთან ერთად გაუქმდა დაცვის რევოლუციამდელი ინსტიტუტი. დაიწყო სრულიად ახალი, საბჭოთა სასამართლოს და მისი შესაბამისი ადვოკატურის შენება, რაც ხანგრძლივი და მეტისმეტად რთული პროცესი იყო.

საბჭოთა ადვოკატურის შექმნის ამ ღირსსახოვარი დღიდან სამოცი წელი ჯავიდა. ისტორიისათვის არცთუ ისე დიდ მონაკვეთში გაკეთდა ის, რაზეც კაცობრიობა ათწლეულების მანძილზე ოცნებობდა.

საქართველოში სოციალისტური, მათ შორის სასამართლოს რევოლუციურ გარდაქმნაში, ისე როგორც სხვა სფეროში, თუმცა ერთგვარად შეყოვნდა, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთის საბჭოთა ფედერაციის გამოცდილების საფუძველზე საბჭოური სიახლენი აქ ვაცილებით სწრაფად დაინერგა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს შეიქმნა საქართველოს სსრ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს რევკომმა ხულ მალე შემუშავა და 1921 წლის 30 ივნისს გამოსცა სახალხო სასამართლოს ახალი დებულემა და დააარსა დამცველთა კოლეგიაც.

ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის შემდეგომ სრულყოფას ისახავდა მიზნად სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 15 სექტემბრის დადგენილება № 61. „სასამართლოს საქმეების დამცველთა შესახებ“.

დამცველთა ინსტიტუტის განვითარების ისტორიისათვის თვალსაჩინო მოვლენა იყო

¹ გ. ხარატიშვილი. ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან. თბილისი, 1975. გვ. 19.



საქართველოს სსრ-ის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებში ადვოკატთა კოლეგიების ფორმირება თავიანთი აღმასრულებელი ორგანოებით (პრეზიდიუმებით).

პირველად საქართველოს სსრ დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი (თავმჯდომარე — ს. ჯაფარიძე) შეიქმნა 1922 წლის დეკემბერში, ხოლო შემდეგ 1923 წლის მაისში აფხაზეთშია (თავმჯდომარე — მ. ზანაროვი) და 1924 წლის მარტში აჭარისა (თავმჯდომარე — რ. ნიჟარაძე).

1935 წლის 1 ივლისამდე დამცველთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობა ახორციელებდა იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ხოლო შემდეგ ეს ფუნქცია დაეკისრა საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.

ასე გაგრძელდა 1939 წლის 16 აგვისტომდე, ვიდრე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მიიღებდა დებულებას საკავშირო ადვოკატურის შესახებ. ამერიიდან ადვოკატურისადმი ხელმძღვანელობა კვლავ დაექვემდებარა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს. და ასევე დარჩა ამ უწყების გაუქმებამდე (1956).

მაღე ნათელი ვახდა იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად ახალი უწყების შექმნის აუცილებლობა და იგი შეიქმნა კიდევ ეს იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის დადგენილებით მიენდო ადვოკატთა კოლეგიებისადმი საერთო ხელმძღვანელობა.

მის შემდეგ სულ მალე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ მოამზადა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება, რომელიც დამტკიცდა საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1961 წლის 27 დეკემბერს.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 28 აგვისტოს მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ“.

კატა კოლეგიების შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“. რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ 1965 წლის 19 ოქტომბერს.

დავის საბჭოთა ინსტიტუტის განვითარების ისტორიისათვის ხინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულება და მის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 28 ოქტომბერს მიღებული ბრძანებულება, რომელმაც თვალსაჩინოდ გააფართოვა დამცველის როლი სისხლის სამართალწარმოებაში. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 თებერვლის ბრძანებულება და მის შესაბამისად გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 თებერვლის ბრძანებულება, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 28 მარტის ბრძანებულება.

ადვოკატურის არსებობის ისტორიაში მას პირველად დავითო საპატიო ადგილი განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში. სსრ კავშირის კონსტიტუციის 161-ე მუხლში ნათქვამია: „მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას“.

განვითარებული სოციალიზმის ვითარება არ შეიძლება არ შენებოდა საბჭოთა ადვოკატურის სტატუსს და ახლებურად არ განსაზღვრულიყო იგი. ამის ნათელი დადასტურებაა „კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“, რომელიც მიიღო სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1979 წლის 20 ნოემბერს.

ამ კანონის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1980 წლის 12 ნოემბერს დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ“. ადვოკატურის ახალი დებულება თვალსაჩინოდ

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თბილისი, 1979. გვ. 59.

კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

ამაღლებს. სამართალდამცველი მუშაის როლს სამართალწარმოებაში, მაგრამ ამასთანავე იზრდება მისი პასუხისმგებლობაც.

განთავისუფლებული სოციალიზმის ეპოქა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება იმ მუხლში, რომელიც „ადვოკატთა წახალისების ზომებს“ ეხება (მუხლი 23). დოკუმენტში დიდი ყურადღება ეთმობა „ადვოკატთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას“ (მუხლი 29); „დისციპლინური სახდელის ზომებს“ (მუხლი 24) და სხვა საკითხებს.

ღირსეულად ემსახურს საბჭოთა სინამდვილეს და იყო მისი პატრიოტი დიდი საქმეა. ადვოკატთა არა მარტო ბრალდებულის უფლებათა ქონაგია, არამედ სოციალისტური კანონიერების დამცველი და პროპაგანდისტიც.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობის წარმომადგენლები წინათაც ცვალებადი და ახლაც დიდი მონაწილეობით ახორციელებენ პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ამ მოთხოვნებს, ქეშმარიტი მოქალაქის აქტიური პოზიციით იბრძვიან უკეთესი დადგენილების განსახორციელებლად. ისინი ემყარებიან და წარმატებით აგრძელებენ საბჭოთა ადვოკატურის პირველი თაობის სახელოვან წარმომადგენელთა ტრადიციებს, წარსულის დიდ მემკვიდრეობას. ასეთ მოღვაწეთა რიცხვი დიდია. ბევრი მათგანია იმის ღირსი, რომ მათ სასახელო საადვოკატო, საზოგადოებრივ თუ შემოქმედებით მოღვაწეობას ბრძოლები და წიგნები მიეძღვნას. ქართველი საბჭოთა ადვოკატების ძველი თაობიდან ასეთ მოღვაწეთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს გ. ხტურუა, ნ. ლომთათიძე, ს. ჭაფარიძე, რ. ნიჟარაძე, ს. წოწონავა, მ. თოფურაძე, ი. ციკაძე, ი. გერსამია, კ. ზაქარაია, ა. თალაკვაძე, თ. შარია და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დიდი ღვაწლი დასდეს ადვოკატურის განვითარებას ა. აგრაძემ, ს. აკობტავამ, ვ. ბუაჩავამ, ა. მარკელიამ, მ. შამბამ და სხვ.

წლების მანძილზე აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიაში წარმატებით მოღვაწეობდნენ ვ. მელაქოვა, დ. სალაძე, ი. ახლაძე, მ. ვალანოვი, შ. ველურაძე, ი. კაშია და სხვები. მათ თავის დროზე შეტად რთული, კლასობრივი ბრძოლის ვითარებაშიც უხდებოდათ სამართალდაცვის საქმის წარმართვა და სახელოვნადაც ჩააბარეს მძიმე გამოცდა.

ასეთ დიდ შემართებას ნაწიარები ჩვენი ადვოკატები ღირსეულად შეხვდნენ, დიდი სამამულო ომის ხიძნელებს და ამ საწვილიშვილო საქმეშიც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. ადვოკატთა ერთი ნაწილი რომ იარაღით ხელში ებრძოდა მტერს, მეორე ზურგში იღწეოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა გამარჯვებაში.

სამამულო ომის ფრონტებზე გმირულად დაიღუპნენ ადვოკატები ზ. გელაშვილი, ნ. მუმლაძე, შ. მულალაშვილი, ნ. ხოფერიძე, ი. აბესალაშვილი, დ. დაკარგულია, ა. რატინი, დ. კარბაძე, ი. ტირბა, მ. ეთერია...

საქართველოს ადვოკატთა შორის ოთხმოცი კაცი ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სამაჟოთა ისიც, რომ საქართველოს სსრ ადვოკატურამ ზურგში თავდადებული მუშაობითაც დიდად გამოიჩინა თავი. სხვა რომ არა, მარტო იმ მილიონების გახსენებარად ღირს საქართველოს ადვოკატებმა 1941-1945 წლებში რომ შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ და მადლობით გამოეხმაურა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, უმადლესი მთავარსარდალი ი. სტალინი. ფართოდ არის ცნობილი მისი მადლობები როგორც საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის შრომისთვის, ისე აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისადმი და სხვათა მიმართ.

ახვევ იტქმის ცალკეულ ადვოკატთა სამაგალითო მზარდატერის შესახებაც, რამელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს აწ განხვეწებულ ადვოკატ ვ. ჩიქოვანს, რომელმაც 40 ათასი მანეთი ჩარიცხა თავდაცვის ფონდში და ი. სტალინის მადლობაც დაემსახურა 1943 წლის 22 ივნისს.

ქართველი და საქართველოში მოღვაწე სხვა ეროვნებების ადვოკატთა საუკეთესო ნაწილს არც ომის შემდგომ პერიოდში და ვიწუებია თავისი მოვალეობა და უკველთვებ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი ადვოკატურის მრავალმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაშიც გამოიჩინა თავი. მათ შორის არიან დრამატურგები გ. ბააზოვი,



ვ. კანდელაკი, ა. ლომინაძე, ვ. სიღამონიძე და სხვები. მწერლები და პოეტები გ. ხარატიშვილი, ნ. დავითაია, გ. უგრეხელიძე, ი. ფაღვა (ამჟამად აჭარის ასსრ ადვოკატთა პრეზიდიუმის თავმჯდომარე), შ. გვეტაძე ი. უორდანი და ა. შ.

ბევრ ადვოკატს თავისი მოვალეობის კეთილხინდისიერი შესრულებისა და უმწკვავლო მუშაობისათვის საქართველოს სსრ უშიშროების საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, მათ შორის შ. აღმაშენებელი, ბ. ბარათაშვილი, ნ. გიგინეიშვილი, ნ. დავითაიას, გ. უგრეხელიძეს, უ. კახანაძეს, ხ. სინარულიძეს, ა. ჯავახიას, ნ. ბარათაშვილს, შ. აბუბას, ი. ხაშეთლაძეს, ა. ფაღვაას და სხვებს. საზოგადოებრივი მიზნებისთვის კარგად არის ცნობილი ადვოკატების — ნელოვნიბათმცოდნე ხ. აშაღლობელის, თეატრმცოდნე ა. ბურთიაშვილისა და სხვათა მოღვაწეობაც.

საქართო აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ

საბჭოთა ადვოკატურაში სხვადასხვა დროს წარმატებით მოღვაწეობდნენ მეცნიერებისა და კულტურის ხანელოვანი მოღვაწენ: აკადემიკოსებმა შ. ნუცუბიძემ და ა. დოლიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. წერეთელი, პროფესორები ლ. ანდრონიკაშვილი, ნ. წერეთელი, ბ. ფურცხვანიძე, ნ. ლომსაძე, ი. სურგულაძე, ე. ნიძე და სხვ.

საქართველოს სსრ ადვოკატურის ხანაგელოდ უნდა ითქვას, რომ იგი 70-იან წლებშიც ღირსეულად იღვწოდა და დროულად ემზადებოდა პარტიისა და შთაფრების მოწოდებას ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

შევი არ არის, რომ საქართველოს ადვოკატები მომავალშიც ღირსეულად გააგრძელებენ სასახლო ტრადიციებს და გრძელვადიან უფრო ამაღლებენ საბჭოთა ადვოკატურის ავტორიტეტს.

საკატიო ფოლკლორის მინიჭება

რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოებს შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“ მიენიჭათ: ახალქალაქის რაიონის პროკურორს — აბრამიანს ისაბა მკანაშვილს ძეს, საქართველოს სსრ პროკურორს — ბარბაქაძეს პნ-ფორ მიხეილის ძეს, სამხრეთ ქოხეთის ავტონომიური ოლქის პროკურორს — ბათიკოშვილს პიტრმ სალდოს ძეს, საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანიზაციულ-საკონტროლო განყოფილების პროკურორს — კობახიძეს ვანდილ ბრძანის ძეს, აფხაზეთის ასსრ პროკურორს — მარდაიას ვიქტორ ვიქტორის ძეს, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს — თორნიას ალექსი ფილიპის ძეს, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეს — იოსელიანს ვლადიმერ ეფრემის ძეს, — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროს პროკურორს — ჭუჭუბავს ვახტანგ კონსტანტინის ძეს, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს — ლეიბაძეს ვახტანგ ლავინის ძეს, საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსს — ნარბანიას კოკი თეოდორის ძეს, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომიებო განყოფილების პროკურორს — შანუშვილს შოთა სერგოს ძეს, პერსონალურ პენსიონერს — შილიძეს ნოე შარსაღლინის ძეს, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამომიებო განყოფილების პროკურორს — ჯანინას კონდრატი ლავინის ძეს.

თანამდებობრივი დანაშაულის ზოგირთი საღარო საკითხი სასამართლო პრაქტიკაში*

ზ. ფაფიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლას უაღრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე თავში მოთავსებული თანამდებობრივი დანაშაულის სახეები იყოფა მატერიალურ და ფორმალურ შემადგენლობის დანაშაულებებად. პირველს განეკუთვნება: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხ.), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ 187-ე მუხ.) და დაუდევრობა (სსკ 188 მუხ.); მეორეს — ქრთამის აღება (სსკ 189-ე მუხ.), მექრთამეობაში შუამავლობა (სსკ 189¹ მუხ.), ქრთამის მიცემა (სსკ 190-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 191-ე მუხ.).

მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ის არის, რომ თანამდებობის პირი მოქმედებით ან უმოქმედობით არსებით ან მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ თანამდებობის პირის ასეთი ქმედობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არ მიადგება არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი, მაშინ იგი კარგავს საზოგადოებრივ საშიშხასიათს და განხილულ უნდა იქნეს როგორც დისციპლინური გადაცდომა. ამისპირის თანამდებობის პირი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებში, რადგან ამ დანაშაულობათა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის გადამწყვეტი კრიტერიუმია დანაშაულის შედეგი, მისი სიმძიმის ხარისხი.

რსებითი ზიანის ცნება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს. მაგალითად, არამატერიალური არსებითი ზიანია ცალკეულ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. არსებითი მატერიალური ზიანის ცნება გულისხმობს არა მარტო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისათვის მიყენებულ პირდაპირ ზიანს, არამედ ქონებრივი სარგებლობის ხელიდან გაშვებასაც.

* იმეჭლება განხილვის წესით

სასამართლო პრაქტიკაში არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი, თუ რა უნდა ჩაითვალოს არსებით ან მნიშვნელოვან ზიანად, რაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს მიაღება, ან განსაკუთრებით მძიმე შედეგის მაკვალთვით იწვევს. პრაქტიკაში იგი წყდება კონკრეტული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. ამას კი ზოგჯერ მოსდევს საქმის უსწოროდ გადაწყვეტა, მით უმეტეს რომ ამასთან დაკავშირებით სასამართლოებს არა აქვთ რაიმე სახელმძღვანელო მითითება ზემდგომი სასამართლო ორგანოებისაგან.

თანამდებობის პირის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, როგორც მარტივი, ისე მაკვალთვით გარემოებისათვის, განსაზღვრულია საზღვარგარეთის ზოგიერთი სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით. მაგალითად, იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობრივი დაუდევრობისათვის, ასეთ მატერიალურ ზიანად მიიჩნევს ფულად ერთეულს — ათიათას დინარზე მეტს. იმავე მუხლის მეორე ნაწილით განსაკუთრებით მძიმე შედეგად მიჩნეულია ასიათას დინარზე მეტი რაოდენობის ფულად ერთეულში გამოხატული მატერიალური ღირებულება.¹

სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების თავიდან აცილებისათვის კარგი იქნება, თუ ჩვენი კანონმდებლობაც ანალოგიურად განსაზღვრავდა თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული არსებითი მატერიალური ზიანისა და განსაკუთრებით მძიმე შედეგის ოდენობას ფულადი გამოსახულებით, ან მის მინიმალურ და მაქსიმალურ ფარგლებს დაადგენდა სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სახელმძღვანელო მითითებით.

არამატერიალური ხასიათის არსებითი ზიანის საკითხის გასარკვევად რეკომენდებულია მხედველობაში იქნეს მიღებული ის, თუ რა ხერხით და საშუალებით, მოქალაქის რამდენად მნიშვნელოვანი უფლებების და ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული დანაშაულებრივი ხელყოფა, რამდენ პირს მიაღება ზიანი და რა სახის, აგრეთვე ის, თუ კონკრეტულად რით გამოიხატა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევა და სხვ.

კონკრეტულ თანამდებობრივ დანაშაულთა შემადგენლობის საკანონმდებლო განმარტებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ყველა თანამდებობრივი დანაშაული დაუდევრობის გარდა შეეძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახი ბრალით. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა აზრიც. კერძოდ, დიდი ხანია წარმოებს დავა, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (სსკ 186-ე მუხ.), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას (სსკ 187-ე მუხ.) და დაუდევრობას (სსკ 188-ე მუხ.) აქვს ბრალის „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ფორმა. ეს დავა დღესაც გრძელდება. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის ზოგიერთ სახელმძღვანელოში განმარტებულია, რომ ყველა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული შეიძ-

¹ М. Гельфер. Ответственность за должностные преступления по законодательству Югославии «Советская юстиция», 1979, № 2, п. 28.



ლება ჩადენილ იქნეს განზრახი ბრალით.² ზოგ სახელმძღვანელოში³ კი ნათქვამია, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადამეტება შეიძლება ჩადენილი იქნეს ბრალის „ორმაგი“, ანუ „შერეული“ ფორმით და, რომ ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს თანამდებობის პირის განზრახ პირდაპირ ფსიქიკურ დამოკიდებულებას მოქმედების (უმოქმედობის) მიმართ, ამ ქმედობით (უმოქმედობით) გამოწვეული დანაშაულებრივი შედეგის მიმართ კი გაუფრთხილებლობით ბრალს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტური მხარის ასეთი არაერთგვაროვანი განმარტება უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო სტუდენტთა სწავლების ხარისხზე, არამედ სასამართლო პრაქტიკაზეც.

აზრთა ეს სხვადასხვაობა მარტოდენ სახელმძღვანელოში როდია. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი (ბ. ს. უტევსკი, ა. ნ. ტრაინინი, ა. ა. პონტოვსკი, პ. ს. დაგელი, გ. ს. სმოლიცკი, ნ. ს. ლევიანა, ვ. ფ. კირიჩენკო, ვ. ი. სოლოვიოვი და სხვ.) ავითარებს აზრს, რომლის მიხედვითაც მატერიალურ თანამდებობრივ დანაშაულს (დაუდევრობის გარდა) აქვს ბრალის „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ფორმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას შეიძლება ჰქონდეს განზრახი, შედეგის მიმართ კი გაუფრთხილებელი ბრალის ფორმა.

ამ შეხედულებათა საპირისპირო აზრს ავითარებს ბ. ზ. სახაროვი, ა. ი. სვეტლოვი, მ. დ. ლისოვი, ბ. ს. ვოლკოვი, მ. ნ. კრიგერი, თ. ვ. წერეთელი, უ. ლ. კობიშვილი, მ. გ. უჯრენელიძე, ბ. ვ. ხორნაბუჯელი და სხვ.

ჩვენი აზრით, თანამდებობის პირის მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არსებითი ზიანი მიაღდა, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება ან თანამდებობის უფლებამოსილების ვადამეტება თუ არ არის განზრახი ბრალი. ასეთ შემთხვევაში, პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიციემისათვის აუცილებელია დადგინდეს პირის სურვილი, მისი შეგნება დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისადმი და საკმარისი არ არის მარტოდენ ამ ქმედობით გამოწვეული შედეგის არსებობა.

თუ დადგინდა, რომ თანამდებობის პირი მოქმედებდა სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ და შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და ითვალისწინებდა, რომ ასეთი მოქმედებით არსებითი ზიანი მიაღებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და სურდა ამ შედეგის დადგომა, მაშინ გვაქვს პირდაპირი განზრახვა და თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

¹ Советское уголовное право. Общая часть, учебник, М., 1977, стр. 189; советское уголовное право. Часть особенная, М., 1979, стр. 352, და სხვ.

² Советское уголовное право. Часть особенная, 1973, стр. 374; советское уголовное право. Общая часть, М., 1974, стр. 169—177, და სხვ.

არ შეიძლება თანამდებობის პირის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ან უმოქმედობას ხელოვნურად ჩამოვაკალოთ ამ ქმედობის თანამდევო საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომლის დადგომასაც პირი ითვალისწინებდა და სურდა კიდევ მართალია, კანონი ზოგადად მიუთითებს განზრახვასა და არსებითი ზიანის დადგომაზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი მოქმედების მიმართ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი განზრახვის ფორმა, შედეგის მიმართ კი გაუფრთხილებელი. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა განპირობებულია პირის შეგნებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედებით ან უმოქმედობით, ესე იგი პირის მიზანმიმართული ქმედობა განაპირობებს შედეგს და არა შედეგი ქმედობას. თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ (გარკვეული მოტივითა და მიზნით) შესრულებული ქმედობით აღმოცენდება საზოგადოებრივად საშიში შედეგი, და არა პირიქით. ამიტომ ამ შემთხვევაში შედეგი არ შეიძლება იყოს პირის მოქმედების (უმოქმედობის) და, მით უმეტეს, მისი ქცევისა და ბრალის ფორმის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. განზრახი ბრალი გულისხმობს არა მარტო პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის მიმართ, არამედ ამ ქმედობით დამდგარი შედეგის მიმართაც. რადგან პირის მისწრაფება, მისი სურვილი თავის საბოლოო გამოხატულებას სწორედ შედეგის დადგომაში პოულობს. სხვანაირად დამთავრებული განზრახი დანაშაულის არსებობა წარმოუდგენელია. ამასთან, იმის ცდა, რომ ხელოვნურად გაყონ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ორ ნაწილად — მოქმედებისა და შედეგის მიმართ და მათში დაუშვან ბრალის ორივე ფორმის არსებობის შესაძლებლობა, მცდარია და ეწინააღმდეგება სისტლის სამართლის საფუძვლების მე-8 და საქართველოს სსრ სსკ მე-9 მუხლში მოცემული განზრახი დანაშაულის ცნებას.

თუ დავუშვებთ, რომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ან ხელისუფლების გადამეტების დანაშაულის შემადგენლობაში პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ არის გაუფრთხილებელი, მაშინ ნებისთი თუ უნებლიეთ იმის შესაძლებლობასაც ვუშვებთ, რომ თანამდებობის პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი ქმედობის მიმართაც შეიძლება ბრალის გაუფრთხილებელი ფორმაც ჰქონდეს. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ დანაშაულთა შემადგენლობის სუბიექტური მხარის არსს. რადგან ბრალის ასეთი ფორმა დამახას ათებელია არა თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემადგენლობისათვის, არამედ დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის.

მრიგად, სუბიექტურა მხრივ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით იქნეს ჩადენილი და აზრი იმის შესახებ, რომ მათი ჩადენა შეიძლება ბრალის „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ფორმით, მცდარი და გაუმართლებელია.

ყველა ზემოაღნიშნული სახის თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ თანამდებობის პირი მოქმედებს თავის სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს სჩადის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ან უმოქმედობას. იურიდიულ ლიტერატურაში არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ასეთ დანაშაულებრივ ქმედობად მიჩნეულია თანამდებო-

ბის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩადენილი მოქმედება ან უმოქმედობა. მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1973 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებაში ვ. გრიგორიანცისა და მ. შანხანოვას საქმეზე, მიუთითა, რომ „დაუდევრობაში პირის დამნაშავედ ცნობისათვის მიყენებული ზიანის დადგომის ფაქტთან ერთად აუცილებელია დადგინდეს თანამდებობის პირმა შეასრულა თუ არა ის კონკრეტული მოქმედება, რომლის შესრულება მას, როგორც თანამდებობის პირს სამსახურებრივად ვეალებოდაო“.⁴ ასევე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1976 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში ზ. ვასაძის საქმეზე, მიუთითა: „მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულებრივ დაუდევრობად, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია თანამდებობის პირმა კონკრეტულად თავისი რა მოვალეობა არ შეასრულა, ან რომელი მოვალეობა შეასრულა არაჯეროვნადო“.⁵

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ძნელდება ქრთამის მიცემის წაქეზების გამოიყვანა თაღლითობისაგან, რის გამოც პირის ასეთ ქმედობას თაღლითობის მუხლით აკვალიფიცირებენ, და პირიქით. მექრთამეობისაგან თაღლითობის გამოიყვანა კიდევ უფრო გაძნელდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბერს მიღებული დადგენილების („მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“) შემდეგ. რადგან დადგენილებაში კიდევ უფრო გააფართოვა მექრთამეობაში წაქეზების ცნება. მან შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად შთანთქა საქართველოს სსრ სსკ 153-ე მუხლი (თაღლითობა). ამ ქმედობათა გამოიყვანისა და დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროა ყურადღება მიექცეს დამნაშავეს მიზანს — ითვალისწინებდა თუ არა იგი ქრთამის მიმცემი პირის სასარგებლოდ რაიმე ქმედობის შესრულებას, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ თაღლითობის შემადგენლობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია მოქალაქეთა ქონების, ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით კარგი იქნება თუ კანონმდებლობა ცალკე გაითვალისწინებს პასუხისმგებლობას მექრთამეობაში თაღლითობისათვის.

პრაქტიკაში ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიცემის წაქეზებას განიხილავენ როგორც ქრთამის აღებას, იმ მოტივით, თითქოს წაქეზების ცნება გულისხმობდეს მხოლოდ ისეთ ვითარებას, როცა წამქეზებლად გვევლინება არა თანამდებობის მხარე. ასეთი მოსაზრება სწორი არ არის, რადგან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის არც ერთ დადგენილებაში წამქეზებელი დაყოფილი არ არის კერძო და თანამდებობის პირად.

თეორიასა და პრაქტიკაში შეიძლება წამოიჭრას ასეთი საკითხი: ქრთამის მიმცემის მსგავსად, ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განცხადების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან შეიძლება გათავი-

⁴ Бюллетень Верховного суда СССР. 1974, № 4, გვ. 17.

⁵ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბილისი, 1976, № 4, გვ. 12.



სუფლდეს თუ არა ქრთამის მიცემის წამქეზებელი და მექრთამეობაში შუამავალი?

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1974 წლის 8 დეკემბრის დადგენილება ნ-სა და სხვათა საქმეზე.

ქ. გორის სახალხო სასამართლოს განაჩენით ნ-ე მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 189¹-ე მუხლის პირველი ნაწილით მექრთამეობაში შუამავლობისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ იგი უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეტანილი იქნა პროტესტი და მოითხოვეს საქმის შეწყვეტა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა და აღნიშნა: ასეთ პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნ-ემ გასწია მექრთამეობაში შუამავლობა. ნ-ს დანაშაული გამოიხატა იმით, რომ მან წააქეზა ბ-ე ქრთამი მიეცა მ-ესათვის. მაგრამ ვინაიდან ნ-ე, აქტიურად მონაწილეობდა ქრთამის ამღები პირის მხილებაში და მან ნებაყოფლობით განაცხადა, ქრთამი მიეცეო, საქართველოს სსრ სსკ 190-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ პრეზიდიუმმა გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ზემოაღნიშნული განჩინება და საქმე წარმოებით შეწყვიტა ნ-ს ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ამასთან იქვე მიუთითა: „ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება არა მხოლოდ ქრთამის მიმცემი, არამედ წამქეზებელიც“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ეს დადგენილება სადაოა, რადგან საქართველოს სსრ სსკ 190-ე მუხლის მესამე ნაწილში ნათქვამია: „ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიმართ აღვილი ჰქონდა ქრთამის გამოძღვას ან თუ ამ პირმა ქრთამის მიცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ“. ამდენად ამ მუხლის ეს ნაწილი ეხება მხოლოდ ქრთამის მიმცემს და მასში არაფერია ნათქვამი ქრთამის მიმცემის წამქეზებელზე. თვით ის ფაქტი, რომ ბ-მ და ნ-მ ერთად შეადგინეს განცხადება სამსახურში მოწყობისათვის მ-ს მიერ ბ-სათვის 100 მანეთის მოთხოვნისა და მისთვის ქრთამის გადაცემის შესახებ, აგრეთვე ის, რომ ნ-მ ორივე ეს განცხადება პირადად გაუგზავნა სამმართველოს უფროსს, არ ქმნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მისი გათავისუფლების საფუძველს. ნ-მ ჯერ წააქეზა მ-ე მიეცა ბ-სათვის ქრთამი, რითაც მან გარკვეულად ხელი შეუწყო მოცემული დანაშაულებრივი ფაქტის დადგომას. შემდეგ კი მ-სთან ერთად შეუდგა ბ-ს მამხილებელი ღონისძიებების ვატარებას. ამ შემთხვევაში ნ-ე ქრთამის მიცემის წამქეზებელია. მისი მოქმედება თავიდანვე მცდარად იქნა დაკვალიფიცირებული, როგორც მექრთამეობაში შუამავლობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ნათქვამია: პირი, რომელიც „ქრთამის მიცემის თუ აღების დამხმარეა და ამასთანავე შუა-



მავლის ფუნქციებს ასრულებს, პასუხს აგებს ქრთამის მიცემაში ან აღებაში თანამონაწილეობისათვის. ასეთ შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამატებითი კვალიფიკაცია რსფსრ სსკ 174¹-ე მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაბამისი მუხლებით საჭირო არ არის“. რაც შეეხება მექრთამეობაში დამხმარე პირის, შუამავლისა და ქრთამის მიცემა-აღებაში წამქეზებელი პირის განთავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე, ჩვენი აზრით, სწორი არ არის, რადგან კანონი მათ შესახებ არა ფერს ამბობს. კანონი ასეთ გამონაკლისს უშვებს მხოლოდ ქრთამის მიმცემის მიმართ. ამიტომ სწორი არ არის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 21 დეკემბრის № 2-ე დადგენილება, რომლითაც სასამართლოებს განემარტათ, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება ქრთამის მიცემის წამქეზებელი ან დამხმარე, თუ ისინი ნებაყოფლობით განაცხადებენ დანაშაულის ამსრულებელი პირის მიერ ქრთამის მიცემის შესახებ“.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს მექრთამეობაში შუამავლობის მცდელობის მცდარი კვალიფიკაციის შემთხვევებსაც. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში გ-ს საქმეზე მიუთითა: „გ-მ გასწია მექრთამეობაში შუამავლობა. მან ორასი მანეთი გამოართვა ტ-ს და ს-ს ნ-სთვის გადასაცემად. ხოლო ის გარემოება, რომ ნ-მ იგი არ აიღო არ ნიშნავს იმას, რომ გ-მ მექრთამეობაში შუამავლობის მცდელობა ჩაიდინა, რადგან მან ნ-სთან ფულის მიტანით დაასრულა დაწყებული დანაშაული“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ზემოაღნიშნული მოსაზრება და გ-ს ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია სადაოა. მართოდენ, ის, რომ გ-მ ყველაფერი შეასრულა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მან ამით დამთავრებულ მექრთამეობაში შუამავლობა ჩაიდინა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა მექრთამეობაში შუამავლობის მცდელობა, რადგან ქრთამის საგანმა დანიშნულ მიზანს ვერ მიაღწია, ე. ი. იგი არ მიიღო ნ-მ.

ასევე სადაოა სასამართლოს მიერ ს-ს გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, რადგან ტ-ს თხოვნით პირველად სწორედ ს-ე შევიდა ნ-ს სამუშაო ოთახში და შეეცადა მისთვის ქრთამის სახით გადაეცა ორასი მანეთი. ნ-მ მისგან რომ არ აიღო შეთავაზებული ფული, შემდეგ გ-მ შეასრულა იგივე მოქმედება და შეეცადა ნ-სთვის ქრთამად გადაეცა ორასი მანეთი. ამრიგად, ს-ს მოქმედება, ჯერ ერთი, მთლიანად მოიცავს მექრთამეობაში შუამავლობის მცდელობის ნიშნებს და, მეორეც, კანონი არცერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მექრთამეობაში შუამავალი პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუნდაც მან ამის შესახებ წინასწარ, ქრთამის საგნის გადაცემამდე ნებაყოფლობით განაცხადოს სათანადო ორგანოში.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებულია მექრთამეობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაზე. მაგრამ, კანონი არ იძლევა იმის განმარტებას, თუ რა უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად. მექრთამეობის ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების შესახებ ასევე არაფერია ნათქვამი სსრ კავშირის უმა-

დღესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის № 16-ე დადგენილებაში — „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

II ურიდიულ ლიტერატურაში და სისხლის სამართლის ზოგიერთ სახელმძღვანელოში⁶ გატარებულია აზრი, რომლითაც განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ქრთამის აღება დიდი ოდენობით. ასეთივე აზრია ჩაქსოვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 21 დეკემბრის დადგენილებაში, რომლითაც სასამართლოებს მიეცათ სახელმძღვანელო განმარტება, რომ მექრთამეობის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალოს ქრთამის აღება დიდი ოდენობით. ჩვენი აზრით, ეს სადაოა, რადგან არც ადრინდელი კანონმდებლობით და არც ამჟამად მოქმედი კანონით ქრთამის ოდენობას საერთოდ მნიშვნელობა არა აქვს კვალიფიკაციისათვის და, ცხადია, იგი არც შეიძლება ჩათვალოს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად. მით უმეტეს, რომ დიდი ოდენობა საერთოდ მოხსენიებული არ არის საქართველოს სსრ სსკ 39-ე მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში ჩამოთვლილ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა შორის და თვით მექრთამეობის მომცველ მუხლებში, კანონით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათა წრის გაფართოების უფლება კი სასამართლოს არ აქვს. პირიქით, მექრთამეობის მუხლების კონსტრუქცია ისეთია, რომ ორჯერ ან მეტჯერ მცირედი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღება ზოგჯერ შეიძლება მოგვევლინოს ამ დანაშაულთა მავალიფიცირებელ გარემოებად, ერთხელ, მაგრამ დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღება კი არა. სწორედ ამიტომ არის, რომ სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა მცირე და დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღებას სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იმავე მუხლით აკვალიფიცირებენ.

მაგალითად, ქუჩებში მოძრაობის მომწესრიგებელი ავტონსპექტორი ნ-ე თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 26 იანვრის განაჩენით მსჯავრდადებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით იმისათვის, რომ მან რესტორან „ალაზნის“ გვერდით გააჩერა ავტომანქანა „ვოლგა“ და მის მძღოლ მ-ს ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ქრთამის სახით გამოართვა 5 მანეთი.

ასევე, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 18 აპრილის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავედ იქნა ცნობილი გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი მეურნეობის ტექნიკური განყოფილების უფროსი შ-ე 3000 მანეთის ქრთამის აღებისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მცირე ოდენობით ქრთამის არაერთხელ მიცემა-აღებას უფრო მკაცრი მუხლით აკვალიფიცირებენ, ვიდრე ქრთამის მიცემა-აღებას ერთხელ, მაგრამ დიდი ოდენობით. მაგალითად, ლავოდენის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 20 აპრილის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდადებულ იქნა ერთ-ერთი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გ-ე იმისათვის, რომ მან

⁶ Курс советского уголовного права, М., 1971, стр. 69, Советское уголовное право, часть особенная, М., 1973, стр. 392; Советское уголовное право, Часть особенная, М., 1979, стр. 369—370, და სხვ.



სხვადასხვა პირისათვის ოთხი ცნობის გაცემაში ქრთამად აიღო 40 მანეთი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წლის 22 აგვისტოს განაჩენით კი ერთ-ერთი რაიონის არქიტექტორი დ-ე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით ნ-სგან 5000 მანეთის ქრთამად აღებაში.

ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად მეტყველებს, ჯერ ერთი, იმაზე, რომ პარტოლდენ დიდი ოდენობით ქრთამის აღებისათვის პირი არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის შეფარდებას. მეორე, დიდი ოდენობით ქრთამის აღება არ შეიძლება საერთოდ ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად.

ზემოთმოტანილ მაგალითში დ-ე 5000 მანეთის აღებისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე გ-ე კი, რომელმაც ცნობების გაცემაში ოთხჯერ აიღო ქრთამი ათ-ათი მანეთის ოდენობით (სულ 40 მანეთი), მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე.

გამოდის, რომ ორჯერ ან მეტჯერ ხუთ-ხუთი ან ათ-ათი მანეთის ოდენობით ქრთამის აღება უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ერთხელ ქრთამის აღება 5000 მანეთის რაოდენობით, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი.

ეს გარემოება ნათლად მეტყველებს მოქმედი კანონის ხარვეზზე, რომლის გასწორებაც ვფიქრობთ, აუცილებელია ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მცირე ოდენობის ქრთამის მიცემა-აღების პასუხისმგებლობისათვის სპეციალური მუხლი იქნეს შემოღებული, ან მექრთამეობის მუხლებში იგი ცალკე ნაწილად გამოიყოს, ხოლო დიდი ოდენობით ქრთამის მიცემა-აღება ვათვალისწინებულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებათა შორის, ამასთან ერთად დადგინდეს ზღვარი, რომლის გადამეტებით ქრთამის მიცემა-აღება ჩაითვლება დიდ ოდენობად, ისევე, როგორც ეს დადგენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაზარებისათვის.

რაც შეეხება ქრთამის აღების განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას, ასეთად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა მექრთამეობა ატარებს სისტემატურ ხასიათს ისეთ პირთა ჯგუფის მიერ, რომლის ორგანიზატორადც გვევლინება პასუხსაგები თანამდებობის პირი. სასამართლო პრაქტიკაც ამ თვალსაზრისზე დგას.

შპრიგად, ქრთამის აღების განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია არა ქრთამის აღება დიდი ოდენობით, როგორც ეს განმარტებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებასა და სისხლის სამართლის ზოგიერთ სახელმძღვანელოში, არამედ ისეთი გარემოება, როცა მექრთამეობის ჯგუფის ორგანიზატორად გვევლინება პასუხსაგები თანამდებობაზე მომუშავე პირი და როცა იგი ჩადენილია ამ პირის მიერ არაერთხელ.



ტიპობრივი ხელშეკრულებები პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის გამომზადებისა და შესყიდვის შესახებ

დოკ. №. ახვლედიანი

ბნობილია, რომ პირად დამხმარე მეურნეობებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდაში. ამ ამოცანის გადაწყვეტას სხვა ღონისძიებებთან ერთად ემსახურება პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის გამომზადებისა და შესყიდვის ახალი ხელშეკრულებითი ურთიერთობები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის დადგენილებამ, „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, ნება დართო საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ხოლო კოლმეურნეობებს ურჩია სრულ ნებაყოფლობით საფუძველზე დადონ საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმულ კოლმეურნეობებთან, მუშებთან, მოსამსახურებებთან და სხვა მოქალაქეებთან, პირუტყვისა და ფრინველის გამომზადებისა და შესყიდვის, აგრეთვე ნამეტო რძის შესყიდვის ხელშეკრულებები. დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის, დამზადების, ფინანსთა სამინისტროებმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ 1981 წლის 12 მარტს დაამტკიცეს: 1. მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობებიდან პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის, 2. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კუთვნილი პირუტყვისა და ფრინველის მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში გამომზადების და 3. მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობებიდან ნამეტო რძის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებები.¹

რამოთვლილ ხელშეკრულებებს აქვს თავისებურებანი, რომელთა გამოვლენა და ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი ადგილი ვალდებულებითი სამართლის სისტემაში. ამისათვის კი საჭიროა გავეცნოთ მათს შინაარსს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

¹ შემდგომში შემოკლებით: „პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულება“; „პირუტყვისა და ფრინველის გამომზადების ხელშეკრულება“; „ნამეტო რძის შესყიდვის ხელშეკრულება“.

უპირველესად მკითხველთა ყურადღებას შევაჩერებთ პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებაზე. ტიპობრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი ცნება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებით მოქალაქე კისრულობს დადგენილ ვადაში გამოზარდოს და მეურნეობას მიჰყიდოს განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის პირუტყვი და ფრინველი, თავის მხრივ კი მეურნეობა კისრულობს შეისყიდოს პირუტყვი და ფრინველი, მიჰყიდოს მოქალაქეს საკვები, გამოუყოს სათიბი და საძოვარი და გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3 პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულება იდება მოქალაქეებს (კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები, პენსიონერები) და მეურნეობებს (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო) შორის. ხელშეკრულების საგანი ზუსტად არის განსაზღვრული. ეს შეიძლება იყოს პირუტყვი და ფრინველი. ამავე დროს ზუსტად განისაზღვრება პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, თითოეული სულის ცოცხალი წონა და საერთო ცოცხალი წონა. ცოცხალი წონის ყოველი კილოგრამის ფასი (კუჭნაწლავის ტრაქტის გამოკლებით) განისაზღვრება, მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კონდიციის პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესასყიდ ფასს. მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა აგრეთვე ხელშეკრულების შესრულების დრო. ხელშეკრულება წერილობით ფორმდება და დადებულად ითვლება მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან.

მ ეურნეობა ვალდებულია:

მიჰყიდოს მოქალაქეს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად როგორც საკუთარი წარმოების (აქედან მარცვლეული სახელმწიფო შესასყიდი ფასებით, სხვა საკვები თვითღირებულებების მიხედვით), ისე შეძენილი საკვები (მის მიერ გადახდილი ფასით მიტანის ხარჯების ჩათვლით). მეურნეობის ასეთი ვალდებულება წარმოშობს კითხვას: რა არის ეს? ყიდვა-გაყიდვა პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულების შეიგნით? მართლაც, მეურნეობა საკვების თავისებურ გამყიდველად გვევლინება, მოქალაქე კი მყიდველად, მაგრამ საკვების მიყიდვა მოქალაქისათვის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით კი არ ხორციელდება, არამედ მეურნეობის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენს. ამ წესით საკვები მხოლოდ იმ მოქალაქეებს მიეყიდებათ, რომლებიც პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებით ურთიერთობაში იმყოფებიან მეურნეობებთან. ყიდვა-გაყიდვა კი, ჩვეულებრივ, ასეთ პირობას არ მოითხოვს;

შეისყიდოს მოქალაქისაგან პირუტყვი და ფრინველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობით, დათქმულ ვადებში და ფასით, მოახდინოს ანგარიშსწორება ათი დღის განმავლობაში:

საკუროების შემთხვევაში მოქალაქეს ხელშეკრულების მოქმედების დროით გამოუყოს საკვები კულტურების მოსაყვანად დამატებითი მიწის ნაკვეთი, როგორც საკარმიდამო მიწების ფონდიდან, ასევე დროებით გამოუყენებელი მიწებიდან;

გამოუყოს მოქალაქეს განსაზღვრული დროით და მოცულობით მიწის ნაკვეთი სათიბად და საძოვრად. ამავე დროს მეურნეობა ვალდებულია დაეხმა-



როს მოქალაქეს ამ სავარგულთა პროდუქტიულობის ამაღლებაში. კონკრეტულ ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს დახმარების სახეობა და მოცულობა;

ღ აეხმაროს მოქალაქეს პირუტყვისა და ფრინველის სადგომის მშენებლობასა და მოწყობაში; გამოუყოს ტრანსპორტი და ტექნიკური საშუალებანი მიწის ნაკვეთის დასამუშაველად, საკვების დასამზადებლად და მოსაზიდად; უზრუნველყოს მათი ზოოვეტერინარული მომსახურეობა მეურნეობის სპეციალისტებით. მომსახურეობის სახეობა და მოცულობა მითითებულ უნდა იქნეს კონკრეტულ ხელშეკრულებაში, რომელშიც შეიძლება გაითვალისწინოს აგრეთვე სხვა სახეობის მომსახურეობაც, რაც ტიპობრივ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი არ არის და რისთვისაც ანგარიშსწორება მხარეთა შეთანხმებით მოხდება;

მ ისცეს მოქალაქეს, თუ იგი გამოთქვამს სურვილს, ფულადი ავანსი სსრ კავშირის სახბანკის კრედიტის ანგარიშიდან პროდუქციის წაწარმოებლად, საჭირო ინვენტარის, მასალების და მცირე მექანიზაციის შესაძენად.

მოქალაქე ვალდებულია:

გამოზარდოს და მიჰყიდოს მეურნეობას პირუტყვი და ფრინველი განსაზღვრული რაოდენობით და განსაზღვრულ დროში;

გადაუხადოს მეურნეობას საკვების, გაწეული მომსახურეობის (მიწის ნაკვეთის დამუშავება, საკვების დამზადება და მოზიდვა და სხვა), მასალის ღირებულება და სხვა. დასაშვებია საკვების ღირებულების გადახდა საბოლოო ანგარიშსწორების დროსაც.

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულება ემსგავსება სხვა, კერძოდ, ყიდვა-გაყიდვისა და კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს. მართლაც, ისევე, როგორც ყიდვა-გაყიდვის დროს, აქაც ერთი მხარე (მოქალაქე) გადასცემს მეორე მხარეს (მეურნეობას) სასყიდლით საკუთრებაში პირუტყვისა და ფრინველს. მაგრამ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ აქ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე. პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებას აქვს ისეთი თავისებურებანი, რომლებიც ვერ თავსდება ყიდვა-გაყიდვის ფარგლებში. საქმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის, რომ მეურნეობა დახმარებას უწევს მოქალაქეს იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელსაც თვითონვე იძენს, მიჰყიდის საკვებს, საჭირო შემთხვევაში გამოუყოფს დამატებით მიწის ნაკვეთს საკვები კულტურების მოსაყვანად, აგრეთვე სათიბსა და საძოვარს, უწევს სხვადასხვა სახის მომსახურეობას და ა. შ. ასეთი რამ უცხოა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ დაამზადა ნივთი, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებას ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი კი სწორედ ის არის, რომ მოქალაქემ თვითონ უნდა გამოზარდოს პირუტყვი და ფრინველი და შემდეგ მიჰყიდოს მეურნეობას.

3 პირუტყვი და ფრინველი წარმოადგენს კონტრაქტაციის ხელშეკრულების ავანსაც, მაგრამ მათი სუბიექტები არიან მხოლოდ სოციალისტური ორგანიზაციები. კონტრაქტაციის ხელშეკრულებითაც დამამზადებელი ვალდებულია დაეხმაროს მეურნეობას (და არა მოქალაქეს) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, მაგრამ პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკ-

რულება, როგორც უკვე აღინიშნა ლიტერატურაში, ნებაყოფლობითს საფუძველზე იღება და მაშასადამე, არ წარმოადგენს გეგმიურ ხელშეკრულებას. კონტრაქტაციის ხელშეკრულება კი გეგმიურია.²

წინამდებარე სტატიაში არ შევუდგებით ყოველივე იმის ჩამოთვლას, რითაც პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულება განსხვავდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან. მარტოდენ იმას აღვნიშნავთ, რომ პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებით სახელმწიფო იძენს პირუტყვისა და ფრინველს. ამიტომ ეს ხელშეკრულება, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთ სახედ უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც კონტრაქტაციის ხელშეკრულება. ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვაში ხშირად მხოლოდ კონტრაქტაციის ხელშეკრულებას გულისხმობენ. კონტრაქტაცია რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთი სახეა და არა ერთადერთი, ამაზე გარკვევით მიუთითებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 264-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან წარმოებს კონტრაქტაციის ხელშეკრულებით“. მაშასადამე, კოდექსში ლაპარაკია არა საერთოდ შესყიდვაზე, არამედ მხოლოდ მის ერთ-ერთ სახეობაზე — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან შესყიდვაზე.

მეორე ხელშეკრულების — პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების შინაარსს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს მთლიანად არ გადმოვცემთ. შევეხებით მხოლოდ იმ მომენტებს, რომლებითაც განსხვავდება პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებისაგან.

პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებით მეურნეობა ვალდებულია:

გადასცეს მოქალაქეს გამოსაზრდელად განსაზღვრული სახეობის პირუტყვისა და ფრინველის მოზარდული (ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს მოზარდულის გადაცემის დრო, სულადობა, თითოეული სულის წონა და საერთო ცოცხალი წონა). როგორც ვხედავთ, მოქალაქე პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით ზრდის არა თავის საკუთარ, არამედ მეურნეობის პირუტყვისა და ფრინველს.

აქაც, ისევე როგორც პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულების დროს, გათვალისწინებულია მოქალაქისათვის საკვების გადაცემა. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკვების მიყიდვაზე, აქ ლაპარაკია მის გადაცემაზე, თუმცა ორივე ვითარებაში ერთნაირ შედეგთან გვაქვს საქმე, საკვები მოქალაქის საკუთრებაში გადადის. ამიტომ სწორი იქნება თუ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებაშიც მითითებული იქნება საკვების მიყიდვა (თუმცა ტიპობრივი ხელშეკრულება იმავე პუნქტში, რომელშიც საკვების გადაცემაზეა ლაპარაკი, მიუთითებს, რომ ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს საკვების მიყიდვის ვადები);

² Козырь М. И. Совершенствование правового регулирования личного подсобного хозяйства граждан СССР, «Советское государство и право», 1981, № 8, с. 42.

მიიღოს მოქალაქისაგან პირუტყვი და ფრინველი. პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის დროს მეურნეობას ეკისრება პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ვალდებულება. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის დროს კი არ შეიძლება ვილაპარაკოთ შესყიდვაზე, რამდენადაც პირუტყვი და ფრინველი მოქალაქეს გადაეცა გამოსაზრდელად, და არა საკუთრებად. მესაკუთრე მეურნეობაა და შესყიდვა, ცხადია, გამორიცხულია;

მიპყიდოს მოქალაქეს, ამ უკანასკნელის სურვილით წონამატების 20 პროცენტი, დაკლული პირუტყვი ან ფრინველი შეთანხმებით განსაზღვრულ ფასით, რაც არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესასყიდ ფასს;

გადაუხადოს მოქალაქეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ის სადაზღვევო საზღაური, რაც წონამატებაზე მოდის.

როგორც პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის დროს, ისე ამ შემთხვევაშიც მეურნეობას აკისრია ვალდებულება — თითოეული კილოგრამი ცოცხალი წონისათვის ფასის გადახდა (თუმცა ცოცხალ წონას უნდა გამოაკლდეს არა მარტო კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, არამედ ასევე პირუტყვის თავდაპირველი წონა). საჭირო შემთხვევაში კი დამატებითი მიწის ნაკვეთის, აგრეთვე სათიბისა და საძოვრის გამოყოფის (სათიბისა და საძოვრის გამოყოფისას გათვალისწინებული უნდა იქნას პირუტყვი, რომელიც მოქალაქის პირად საარგებლობაშია), სხვადასხვა სახეობის მომსახურეობის გაწევის და ფულადი ავანსის მიცემის მოვალეობა.

მოქალაქე ვალდებულია გამოზარდოს პირუტყვი და ფრინველი განსაზღვრულ წონამდე და გადასცეს მეურნეობას, გადაუხადოს ამ უკანასკნელს საკვების ფასი და აუნაზღაუროს გაწეული მომსახურეობის ღირებულება, თუ პირუტყვი ან ფრინველი მისი ბრალით დაიღუპა (გაწყდა), მოქალაქემ მეურნეობას უნდა აუნაზღაუროს თავდაპირველი ცოცხალი წონის ღირებულება სახელმწიფო შესასყიდი ფასის მიხედვით, ხოლო პირუტყვის იძულებითი დაკვლის დროს საკვებად ვარგისი დაკლული პირუტყვი და ფრინველი ჩააბაროს მეურნეობას შეთანხმებით გათვალისწინებულ ფასად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ცოცხალი წონისათვის დადგენილ სახელმწიფო შესასყიდ ფასს ნასუქობის გათვალისწინებით. ანაზღაურდება მხოლოდ წონამატება.

როგორც ვხედავთ, პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულება განსხვავდება არა მარტო სამოქალაქო სამართლის სხვა ხელშეკრულებებისაგან, არამედ პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებისაგანაც. ორივე ხელშეკრულების აუცილებელი ნიშანია პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა. შესყიდვის დროსაც მოქალაქემ უნდა გამოზარდოს და შემდეგ მიპყიდოს მეურნეობას პირუტყვი და ფრინველი. თუ მოქალაქე მეურნეობას ამ ვალდებულების გარეშე მიპყიდის პირუტყვსა და ფრინველს, მაშინ უკვე სხვა ხელშეკრულებასთან გვექნება საქმე. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა ორივე შემთხვევაში მოქალაქის აუცილებელი მოვალეობაა და სწორედ ეს არის ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური დანიშნულება. მაგრამ ერთ შემთხვევაში გამოსაზრდელი პირუტყვისა და ფრინველის მესაკუთრე მოქალაქეა, ის ზრდის თავის პირადი საკუთრების პირუტყვსა და ფრინველს და მეურნეობაზე ყიდის, მეორე შემთხვევაში მესაკუთრე მეურნეობაა, რომელიც მართალია, გადასცემს მოქალაქეს მოზარდულს, მაგრამ ხელშეკრულების



მთელი დროის განმავლობაში ინარჩუნებს საკუთრების უფლებას. მოქალაქისათვის მოზარდულის გადაცემა არ იწვევს მასზე საკუთრების უფლების გადასვლას. მას საკუთრების უფლება არ წარმოეშვება არც ნამატ წონაზე, მაშინ როცა წონამატების მიღება მოქალაქის საკვებით ხდება. მოქალაქე პირუტყვისა და ფრინველს მეურნეობისაგან შეძენილი და მის მიერ მოპოვებული საკვებით ზრდის, ორივე შემთხვევაში საკვები მოქალაქისაა.

3 პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების განხილვის დროს, ბუნებრივია, დგება ხელშეკრულების საგნის და ფასის საკითხი. ხელშეკრულებით მხარეთა შორის სამართლებრივი კავშირი მყარდება განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. მოქალაქე ვალდებულია კისრულობს გამოზარდოს პირუტყვი და ფრინველი, ესე იგი შეასრულოს გარკვეული სამუშაო. მეურნეობა დაინტერესებულია, რომ მოქალაქემ შეასრულოს ეს სამუშაო, კერძოდ, გამოზარდოს პირუტყვი და ფრინველი და გადასცეს მეურნეობას, ესე იგი დაინტერესებულია შესრულებული სამუშაოს შედეგით. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ხელშეკრულების საგანი შესრულებული სამუშაოს შედეგია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების დროს ანაზღაურება ხდება ცოცხალი წონის თითოეული კილოგრამის (კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და თავდაპირველი წონის გამოკლებით) მიხედვით. წონამატების (კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გამოკლებით) ცოცხალი წონის თითოეული კილოგრამის მიხედვით ანაზღაურება სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს მეურნეობა ნამეტ წონას ყიდულობდეს მოქალაქისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მეურნეობა უზრდის მოქალაქეს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. სწორედ ცოცხალი წონის თითოეული კილოგრამით პოულობს გამობატულებას ის შრომა და ხარჯი, რომელიც მოქალაქემ გასწია.

საგანთან და ფასთან დაკავშირებით არის ერთგვარი მსგავსება პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებასა და სანარდო ხელშეკრულებას შორის. მათ შორის შეიძლება ვიპოვოთ სხვა მსგავსებაც, მაგრამ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების სანარდო ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეობად ჩათვლა სწორი არ იქნებოდა. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების სპეციფიკურობა, რაც მხარეთა უფლებებითა და მოვალეობებით, პასუხისმგებლობის წესით და სხვ. გამოიხატება, მას სრულიად დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახეობად აქცევს.

ორივე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ კიდევ ზოგიერთ სხვა საკითხს.

3 იბობრივ ხელშეკრულებებში არაფერია ნათქვამი კონების შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის შესახებ. ცხადია, ამის გარკვევისათვის უნდა მივმართოთ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგად ნორმას, კერძოდ, 133-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც „გასხვისებული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის შემძენზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობისთანავე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. ამ მუხლის შესაბამისად პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის დროს შემთხვევითი დაღუპვის რისკი მეურნეობაზე გადავა. რამდენადაც პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის დროს პირუტყვი და ფრინველი მოქალაქის საკუთრებაში არ გადადის, რისკის მატარებლად მე-



ურნეობა უნდა დარჩეს. მას უფლება არა აქვს მოითხოვოს მოქალაქისაგან შემთხვევითი დაღუბვით მიღებული ზარალის ანაზღაურება.

ორივე ხელშეკრულება ითვალისწინებს მოქალაქისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას საძოვრად და სათიბად. მაგრამ პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით გამოზრდის ტიპობრივ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ საძოვრისა და სათიბის გამოყოფისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პირუტყვი, რომელიც მოქალაქეს პირად სარგებლობაში ჰყავს. აქ მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ მოქალაქეს მაშინაც შეუძლია მოითხოვოს საძოვრისა და სათიბის გამოყოფა პირადი საკუთრების პირუტყვისათვის, როცა არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს მეურნეობის წინაშე (იხ. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 74-ე მე-80, 81-ე მუხლები). მაშასადამე, ტიპობრივი ხელშეკრულების ის მითითება, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოქალაქის პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვი, გულისხმობს სათიბისა და საძოვრის უფრო მეტი რაოდენობით გამოყოფას, ვიდრე ეს ხდება მაშინ, როცა მოქალაქე არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს მეურნეობის წინაშე. ეს სრულიად გამართლებულია და მას პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს. ამ დროს, მართალია, მოქალაქე თავის კუთვნილ პირუტყვს ზრდის მეურნეობისათვის მისაყიდად, მაგრამ მას ხომ შეიძლება დადგენილი ნორმის ფარგლებში ჰყავდეს პირუტყვი, რომელიც გამიზნული არ არის მეურნეობისათვის მისაყიდად. 1981 წლის 8 იანვრის დადგენილებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ პირუტყვი, რომელსაც მოქალაქეები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებებით ზრდიან, შეიძლება იყოლიონ პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის დადგენილი ნორმების გადამეტებით.

ორივე ხელშეკრულება ადგენს ვალდებულების შესრულების ვადას. შეუძლია თუ არა მოქალაქეს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება?

საერთო წესით „მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუ კანონის, ხელშეკრულების ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამოიძინარეობს“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 170-ე მუხლი). მიგვაჩნია, რომ, თუ მოქალაქე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე გამოზრდის გათვალისწინებულ წონამდე პირუტყვსა და ფრინველს, მას არა მარტო უნდა ჰქონდეს ვალდებულების ვადამდე შესრულების უფლება, არმედ მიზანშეწონილია ხელშეკრულებაში ამისათვის გათვალისწინებულ იქნეს წამახალისებელი ზომებიც. ვალდებულების ვადამდე შესრულებისას წამოიჭრება სხვა საკითხიც. კერძოდ, მოქალაქის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულება გამოიწვევს თუ არა საერთოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას მასსა და მეურნეობას შორის. ვფიქრობთ, რომ მოქალაქეს უნდა დარჩეს დამატებითი მიწის ნაკვეთით სარგებლობის და საკვების დარჩენილი ნაწილის ყიდვის უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ეს იქნება ერთგვარი კომპენსაცია იმ გაძლიერებული მოვლისა და კვებისა, რის შედეგადაც ვადამდე იქნა მიღებული პირუტყვისა და ფრინველის სათანადო წონა.

ბ ანსახილველი ხელშეკრულებები ორმხრივი, სასყიდლიანი, კონსენსუალური და არასაგეგმოა. მართალია, პირუტყვისა და ფრინველის გამოზრ-



დის ხელშეკრულების დროს მეურნეობა მოქალაქეს გადასცემს მოზარდულს. მაგრამ ამას ხელშეკრულების დადების მნიშვნელობა არა აქვს და მას რეალურ ხელშეკრულებად არ აქცევს. მოქალაქისათვის მოზარდულის გადაცემა უკვე დადებული ხელშეკრულების შედეგად აღმოცენებული ვალდებულებაა მეურნეობისა. ტიპობრივ ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ხელშეკრულებები ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერის მომენტიდან. 1921 წლის 8 იანვრის დადგენილებამ მიუთითა, რომ მეურნეობების მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული პირუტყვი, ფრინველი და რძე მათ წარმოების მოცულობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ჩაეთვლება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მოქალაქეებსა და მეურნეობებს შორის ხელშეკრულებების დადების დროს გეგმიურობის დანერგვას, თვით ამ დადგენილებაშივეა ნათქვამი, რომ ხელშეკრულებები უნდა დაიდოს მკაცრად ნებაყოფლობითს საფუძველზე.

3 ტიპობრივი ხელშეკრულებები კონკრეტულად არ ჩამოთვლის მხარეთა პასუხისმგებლობას ვალდებულების ამა თუ იმ პირობის დარღვევისათვის. ზოგადად მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობით. ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგადი საფუძველებით ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მაშასადამე, თუ მხარემ არ შეასრულა ან ჯეროვნად არ შეასრულა ვალდებულება, იგი მოვალეა აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზარალი. ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები გადაწყდება საერთოდ დადგენილი წესით.

ნამეტი რძის შესყიდვის ხელშეკრულება შინაარსობრივად არ განსხვავდება პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ხელშეკრულებისაგან.

შენიშვნა

- 1. ვა
- 2. უ
- 3. უძ
- 4. ათუ
- 5. მოძ
- 6. ძლიერ

დიდი საკითხი, რომელსაც დამსახურებულად ეთმობა ყურადღება სასურსათო პროგრამაშიც, პირადი დამხმარე მეურნეობები და მებაღეობა-მებოსტნეობის კოოპერატივებია. როგორც ცნობილია, მათი ხვედრითი წილი ხორცის, რძის, ფრინველის, ხოლო მით უფრო კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოებაში, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ლ. ი. ბრეჟნევი
მეურნეობა

1982 წლის 14-15 აპრილს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, გაიმართა სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების საუკეთესო გამოძიებელთა კონფერენცია.

გაგომძიებელთა ამ დიდ ფორუმში, რომელიც ორ დღეს ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა, საქართველოდან მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ვ. რაზმაძე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებლები გ. ალაძე, გ. წურნუშია, გ. ხაბულიანი, ახალგაზრდა გამოძიებლები ა. კვიციანი, თ. ნიკოლაიშვილი, გ. ხარაიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

13 აპრილს ქვეყნის რჩეული გამოძიებლები სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. რეკუნკოვის მეთაურობით სსრ კავშირის პროკურატურის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად იყვნენ წითელ მოედანზე და გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

14 აპრილს კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. რეკუნკოვმა. რომელმაც ილაპარაკა კონფერენციის მნიშვნელობასა და ამოცანებზე.

მოსხენებით გამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე, მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსი თ. სოროკა.

მოსხენებაში დიდი ყურადღება დაეთმო პროკურატურის საგამოძიებო აპარატის საქმიანობის სრულყოფას და მის მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელებაში: კეთილი სიტყვით მოიხსენიეს ისინი, ვინც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური სახელმწიფოს საგამოძიებო აპარატს. დაასახელეს პროკურატურის ბევრი თანამშრომელი, რომლებიც მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და პროფესიულ მომზადებას ახმარენ კონკრეტულ საქმეთა გამოძიებას, რბიქტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეს. სასიხარულოა, რომ ასეთთა შორის მოიხსენიეს საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი გ. აგლაძე, თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, რომელთანაც პირადად მრავალი რთული საქმის გამოძიებაში მიმიღია მონაწილეობა. გ. აგლაძე დღესაც ჩვეულებრივი შემართებით, დიდი ტაქტით და პროფესიული კეთილსინდისიერებით ემსახურება გამოძიებლის მეტად რთულ და საპატიო საქმეს.

მოსხენებელმა თქვა, რომ ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია ქვეყნის საგამოძიებო აპარატის საქმიანობაში. იშვიათი როდია გამოძიებელთა საქმიანობაში უხარისხო, არაობიექტური გამოძიების ფაქტები, რასაც მიყვავართ სოციალისტური კანონიერების დარღვევამდე. მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების საკითხს. მომავალში, აღნიშნა მომხსენებელმა, კონფერენციის მონაწილე საუკეთესო გამოძიებელთა მიღწევები, მათი გამოცდილება, პროფესიული მომზადება, ყოველგვარ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური პოზიცია, სამაგალითო უნდა გახდეს ყველა გამოძიებლისათვის.

მოსხენების გამო გაიმართა კამათი.

საინტერესო იყო რსფსრ პროკურორის საბჭოთა კავშირის გვირის

ბ. კრავცოვის გამოსვლა, რომელმაც კონფერენციის მონაწილეებს კააც-ნო საგამომძიებო აპარატის მუშაობის ორგანიზაცია. ყურადღებით მოიამინეს უკრაინის პროკურორის მოადგილის ს. სკოვენკოს ინფორმაცია მკვლელობის გაუხსნელ საქმეებზე მუშაობის შესახებ.

კონფერენციის მუშაობის პირველ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის გ. წურწუმის გამოსვლამ. მან დამსწრეთ მოკლედ გააცნო ის ღონისძიებანი, რომლებიც ბოლო წლებში ხორცეულდება რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცებისათვის. დანაშაულისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას, თქვა გ. წურწუმიამ, ხელი შეუწყო სამართალდაცვის ორგანოებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნის გაზრდამ და საქმიანმა დახმარებამ.

გ. წურწუმიამ აღნიშნა, თუ რა დიდ მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებენ მომხვეჭელები, სახელმწიფო ქონების დამტაცებლები ჩვენს ქვეყანას. დაასახელა სატყეო კომიტეტის, შამპანური ღვინის ქარხნის და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოები, თქვა გ. წურწუმიამ, ბოლო ხანს უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ დანაშაულის პროფილაქტიკას. მის თავიდან აცილებას. ამას ხელს უწყობს სარევიზიო აპარატის მუშაობის სრულყოფა და გაუმჯობესება.

გ. წურწუმის გამოსვლის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების გამომძიებელთა ბევრი ჯგუფი დაინტერესდა მის მიერ დასახელებულ საქმეთა გამომძიების ორგანიზაციის საკითხით, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა მხილების მეთოდებით. ყველა შეკითხვაზე მათ ამომწურავი პასუხი გასცეს ვ. რაზმაძემ, გ. წურწუმიამ, გ. ალლაძემ და გ. ხაბულიანმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ქალის რ. ბატკოვიჩის გამოსვლა, რომელიც მიექმდნა დანაშაულის გახსნისა და გამომძიების საქმეში საზოგადოებრიობის მონაწილეობას. სწორი პროფილაქტიკური ღონისძიების განხორციელებით გამომძიებელმა შეძლო, რომ მის სამოქმედო უბანში ათ წელზე მეტია არ მომხდარა განზრახ მკვლელობა. საინტერესო იყო აგრეთვე მისი გამოსვლის ის ნაწილი, რომელიც მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა.

კონფერენციის მონაწილეებს შორის რ. ბატკოვიჩი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც კონფერენციის მეორე დღეს — დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისათვის გენერალურმა პროკურორმა ბრძანებით გამოუცხადა მადლობა და ვადამდე მოუმატა საკლასო ჩინი. გენერალური პროკურორის მოადგილემ ვ. ობოლენცევმა ბრძანების გამოქვეყნებასთან ერთად რ. ბატკოვიჩს პირადად მიაბნია იურისტის უმცროსი მრჩევლის საკლასო ჩინი. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ამ შესანიშნავ გამომძიებელს და მომხიბვლელ ქალიშვილს პირველსავე შესვენებაზე გულითადად მიულოცეს მისი შრომის ეს დიდი დაფასება.

გამომძიებლებისა და პროკურორ-კრიმინალისტების გამოსვლებს ორიგინალურად ეხამებოდა სწავლული იურისტების, სსრ კავშირის უმაღლესი

სასამართლოს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების საინტერესო მოხსენებები და ინფორმაციები, რომლებიც ფრიად საჭირო იყო გამომძიებლებისათვის.

კონფერენციის პირველი დღე დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ დედაქალაქის საუკეთესო მსახიობები, მათ შორის ე. ლეონოვი, მ. ლიება და გ. ვიცინი.

15 აპრილს პროკურატურის ორგანოების საუკეთესო გამომძიებელთა საკავშირო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. რეკუნკოვმა შეაჯამა რა კონფერენციის მუშაობა, საზგასმით აღნიშნა:

კანონის მოთხოვნათა სრულად განხორციელება, მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებათა აუცილებელი დაცვა, წინასწარი გამომძიების აპარატის მუშაობის გარდაქმნა, მისი ხარისხის ამაღლება — აი ის ძირითადი ამოცანები რომლებიც დგას პროკურატურის გამომძიებელთა წინაშე.

დასასრულ გენერალურმა პროკურორმა კონფერენციის ყველა მონაწილეს, პროკურატურის ყველა თანამშრომელს მიულოცა მოახლოვებული დღესასწაული, სსრ კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავი და პროკურატურის ორგანოების მესამოცე წლისთავი. გენერალურმა პროკურორმა გამოთქვა რწმენა, რომ პროკურატურის საგამომძიებო აპარატი კვლავაც ერთგულად ემსახურება ჩვენს ქვეყანაში კანონიერების განმტკიცების საქმეს.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა პროკურატურის ყველა გამომძიებლისადმი.

დიდი აღმავლობით იქნა მიღებული წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

გენერალურმა პროკურორმა და პროკურატურის სხვა ხელმძღვანელებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, მათ შორის იყვნენ საქართველოს დელეგაციის წევრებიც.

კონფერენციის დარბაზში მეგობრობის, ურთიერთგაგების ატმოსფერო სუფევდა. იგი ერთნაირად სასარგებლო აღმოჩნდა ხანდაზმულისა თუ ახალგაზრდისათვის, პროკურორისა თუ გამომძიებლისათვის, სწავლული იურისტებისა თუ პრაქტიკული მუშაკებისათვის.

მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მალე დაისტამბება და გამოქვეყნდება მასალები ამ კონფერენციის შესახებ. კრებულში ჩვენი რესპუბლიკიდან შევა ორი მოხსენება.

ექვვარეშეა, კონფერენციის მასალების უშუალო გაცნობა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი გამომძიებლების პორიზონტს, დაესმარება მათ დანაშაულის დროულად გახსნასა და სრულყოფილად გამომძიებაში.

მ. ჟურდაძე,

ქალაქ რუსთავის პროკურორი, იუსტიციის უფროსი
მ. ჩხეველი.



რევოლუციონერთა და პროგრესულ საზოგადო ოქლავაშთა თავდადებული ქოგაბი

3. გაყაუვილი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის — რევოლუციონერული რუსეთის ადვოკატურის მოწინავე ნაწილის ბრწყინვალე წარმომადგენლის, სასამართლოში თვითმპყრობელობასთან მებრძოლ რევოლუციონერთა და პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა თავდადებული დამცველის, საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ფუძემდებლის — სახელი სამუდამოდ დარჩება რუსეთის ადვოკატურის ისტორიაში და ქართული იურიდიული აზრის განვითარების ანაღლებში.

ლ. ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წლის 14 თებერვალს კახეთში, საქართველოს მომაჯადოებელ კუთხეში. მამამისი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი სამხედრო პირი, რუსეთის არმიის ოფიცერი იყო. კავკასიის ომში მონაწილეობისას ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი ციხესიმაგრის გოდოლიდან გადმოვადკეს, დაშავდა და ამის გამო დაბრუნდა კიდეც. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი სამსახურიდან გადადგა მათორის ჩინით და დამკვიდრდა მშობლიურ სოფელ ოჯიოში. აქ გაატარა ბავშვობა მისმა ერთადერთმა ვაჟმა ლუარსაბმა.

სოფელი ოჯიო თვალწარმტაცად არის. ჩამჯდარი ალაზნის ველის შუაგულში. მისი ყოველი კუთხიდან იშლება მომხიბლავი სანახაობა: დიდებული კავკასიონის ქედი, რომლის ძირას იწყება ზურმუხტოვანი თვალუნვდენელი ველი, სწრაფი, ვერცხლისფერად მოლილევი ალაზანი რომ კვეთს, ხოლო მის ნაპირას, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრზე მოჩანს სრულქმნილი პროპორციებით ნაგები ალავერდის ტაძარი (XI ს.) — ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე.

ეს სურათი, ჯერ კიდევ პატარა ლუარსაბს ღრმად აღუბეჭდა მეხსიერებაში და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე თან დაჰყვებოდა და ატყვევებდა. ბუნების ტრფიალი ლ. ანდრონიკაშვილი რომელ

მაც შემდეგ მრავალი ქვეყანა მოიარა, უკვე მჩხუცებული ხშირად იტყოდა ხოლმე: ვერაფერი ვერ შეედრება კახეთს, ჩემს მშობლიურ ოჯიოსს.

1882 წელს ათი წლის ლუარსაბი ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში შეესწავთ. მისი თავისთავადი და რთული ხასიათი, მრავალმხრივი ნიჭი და მიდრეკილებანი მკაფიოდ გამოიკვეთა ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნის დროს.

ლ. ანდრონიკაშვილის პიროვნების დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა მისი არაჩვეულებრივი გულისხმიერება, უნარი იმისა, რომ საერთო ენა გამოენახა ყველასთან, ვისთანაც კი უხდებოდა ურთიერთობა. ეს თვისება, რომელიც ადამიანის პიროვნებადმი ცოცხალმა ინტერესმა განსაზღვრა პატარაობიდანვე ახასიათებდა მას.

მეორე თვისება, რომელიც აგრეთვე პატარაობიდანვე გამოჰყვა, მისი სიცოცხლისმოყვარეობა, ხალისიანობა იყო. მას შეეძლო ეხარა ცხოვრებით, ხარბად დასწავებოდა ყველაფერს, რასაც კი ცხოვრება სთავაზობდა, ემოციური აგზნებულობა, გატაცება ახასიათებდა მის ყოველგვარ საქმიანობას. აზარტით ებმებოდა სასკოლო თამაშობებში, ხშირად კი მათი მხურვალე ინიციატორიც იყო. კეთილშობილური ტემპერამენტით აღინიშნა მისი მთელი შემდგომი მრავალმხრივი პროფესიული, საზოგადო და სამეცნიერო-მედიაციური საქმიანობა.

ლუარსაბს ადრევე, სკოლის მერხიდან დაჰყვა ცოდნის წყურვილი. ჯერ კიდევ ბავშვობაში მას შეეძლო რაციონალურად გამოეყენებინა დრო მეცადინეობის, კითხვისა და გართობისათვის. ფართო საერთო განათლების მოთხოვნილება აიძულებდა საათობით მჯდარიყო გიმნაზიის ბიბლიოთეკაში. საოცრად დიდი იყო მისი ინტერესების დიპაზონი: იგი სკოლაში გაეც



ხო ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების მხატვრულ მემკვიდრეობას, ისტორიისა და ხელოვნების საკითხებს, უფროს კლასებში კი დაიწყო ფილოსოფიის შესწავლა. ცოდნის დაუფლებისათვის დიდი შრომისმოყვარეობა იყო საჭირო; მონიფულულობის ასაკში ლ. ანდრონიკაშვილი წარმოუდგენელ შრომისმოყვარეობას იჩენდა. ამასთან ერთად იგი ფერმონალური მესხიერებით იყო დაჯილდოებული. 14 წლის ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო სასკოლო სპექტაკლში, ასრულებდა მთავარ როლს პლატის კომედია „ტყვეებში“. მას ზეპირად უნდა შეესწავლა რამდენიმე ათასი ლექსი მკვდარ, არასაქალაქარს კო ლათინურ ენაზე და ეს რთული ამოცანა მან იოლად და ბრწყინვალედ დაძლია. შემდგომაც — ლექციების კითხვის, საჯარო გამოსვლებისა თუ უბრალო საუბრის დროს ყოველთვის აკურთვებდა მსმენელთ თავისი მესხიერებით.

ბიმნაზის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, მათ შორის სამართლებრივი პრობლემებიც საზოგადოების მონინავე ნაწილის ყურადღების ცენტრში იდგა. ლ. ანდრონიკაშვილს, ბუნებით ენერგიულ პიროვნებას, რომელიც მწვავედ ეხმაურებოდა სოციალური ცხოვრების მოვლენებს, ძალაუნებურად უნდა გასჩენოდა ისეთი პროფესიის დაუფლებისადმი მისწრაფება, რომელიც ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის საშუალებას მისცემდა. იურიდიული ფაკულტეტი მას ძლიერ პროფესორთა შემადგენლობითაც იზიდავდა. ლ. ანდრონიკაშვილი ისმენდა სამართლებრივი აზრის გამოჩენილი წარმომადგენლების ლექციებს და მონაწილეობდა მათს სემინარებში. ასეთები იყვნენ: კორკუნოვი (სამართლის თეორია), სერგაევიჩი (სამართლის ისტორია), სერგაევიჩი (სისხლის სამართალი), ფონინიჩი (სისხლის სამართლის პროცესი) და სხვები. მაგრამ თანდათან რწმუნდებოდა, რომ სამართლებრივი პრობლემების არსის ნამდვილი ჩანვდომა შეუძლებელია ფილოსოფიის დრმა ცოდნის გარეშე. 1894 წელს ლ. ანდრონიკაშვილი, მესამე კურსის სტუდენტი, ტოვებს პეტერბურგის უნივერსიტეტს და მიემგზავრება გერმანიაში, სადაც სწავლობს იმ დროისათვის ფილოსოფიური განათლების

მსოფლიო ცენტრების, ჰაიდელბერგისა და შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტებს ფილოსოფიის ფაკულტეტებზე; თითქმის სამი წლის განმავლობაში იგი ინტენსიურად მუშაობს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსების კუნო ფიშერისა და ვინდელბანდის ხელმძღვანელობით; ამავე დროს იგი ესწრებოდა სამართლისა და სახელმწიფოს თეორეტიკოსების — იელინკის, ლაბანდისა და სხვთა ლექციებს. 1897 წლის ბოლოს ლ. ანდრონიკაშვილი ბრუნდება რუსეთში და კვლავ განაგრძობს სწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ანდრონიკაშვილის წინაშე წარმოიშვა ალტერნატივა, მიიღოს წინადადება და დარჩეს პეტერბურგის უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად, თუ თავისი სიცოცხლე შესწიროს სიმართლისა და სამართლიანობის დაცვას. მან უკანასკნელი აირჩია. მას არ სურდა და არც შეეძლო გამდგარიყო განზე მაშინ, როცა ქვეყნად ფართოდ იყო გაჩაღებული განმათავისუფლებელი მოძრაობა. განდგომა ეწინააღმდეგებოდა მის მრწამსს, გონება-განწყობილებასა და ტემპერამენტს. იგი თვლიდა, რომ მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ მოძრაობაში და დაიცვას ის რევოლუციონერები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც სასტიკად უსწორდებოდა თვითმპყრობელობა.

ლ. ანდრონიკაშვილის როგორც ადვოკატის, ნათვც ვეტილთა კორპორაციის წევრის, პირველივე ნაბიჯები პროფესიონალურთან ერთად, დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი მოვალეობის აქტიურ შესრულებასთან. ა. ზარუნდისთან, ნ. სოკოლოვთან, ძმებთან მ. და ვ. ბერენშტამებთან ერთად იგი იყო „მემარცხენე ნათვც ვეტილთა“ ჯგუფის შექმნის ინიციატორი. 1900 წელს ამ ჯგუფის თაოსნობით საკონსულტაციო ბიუროები მოეწყო შლისელბურგის ტრაქტსა და ვასილის კუნძულზე, რათა უფასო იურიდიული დახმარება გაეწიათ სასამართლოში თუ სასამართლოს გარეთ ამ ჭარებუბების მუშებისა და მოსახლეობის ხელმოკლე ფენებისათვის. ახალგაზრდა მემარცხენე ადვოკატებმა, შექმნეს აგრეთვე პეტერბურგის პოლიტიკურ დამცველთა კოლექტივი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეც გახლდათ ლ. ანდრონიკაშვილი. იგი მონაწილეობდა 1905 წელს „ადვოკატთა კავშირის“ შექმ-

ნაშიც, რომელმაც მიზნად დაისახა თვითმპყრობელობასთან ბრძოლა ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით.

3 ვტერბურგის ადვოკატურაში მუშაობამ მალე გაუთქვა სახელი ლ. ანდრონიკაშვილს არა მარტო როგორც ღრმად განათლებულ სამართალმცოდნეს, მახვილი გონებით, ბრწყინვალე ნიჭითა და მომჯაადოებელი მჭევრმეტყველებით დაჯილდოებულ ადამიანს, არამედ, აგრეთვე როგორც პოლიტიკურ სასამართლო პროცესებში თავდადებულ დამცველს, რომელიც მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და ნიჭს არ იშურებდა მეფის ხელისუფლების მიერ დევნილთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით ახზე მეტმა ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურმა პროცესმა ჩაიარა. იგი იცავდა: შეიარაღებული აჯანყებებისა და დემონსტრაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წევრებს; იმ პირებს, რომლებიც მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ (სარატოვის გუბერნიის გლეხების აჯანყების საქმე, ბათუმის დემონსტრაციის საქმე, ქ. როსტოვის დემონსტრაციის საქმე, კრეისერ „ოჩაკოვზე“ ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებულ მეზღვაურთა დიდი ჯგუფის საქმე, მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს პროცესი, „მინერალოვოდსკის რესპუბლიკის“ საქმე, სოჭში შეიარაღებული აჯანყების საქმე, „ნოვოროსისკის რესპუბლიკის“ საქმე, კუნძულ ეზელის აჯანყების საქმე, ირკუტსკის მახლობლად, ალექსანდრეს საპყრობილედან პოლიტიკურ პატიმართა გაქცევის საქმე და სხვ.); რევოლუციონერ-ტერორისტებს („სევასტოპოლის საქმე“ სევასტოპოლის ციხესიმაგრის კომენდანტ გენერალ ნეპლიუევზე თავდასხმის გამო, სახელმწიფო საბჭოს წევრის კავალერიის გენერლის გრაფ იგნატიევის მკვლელობის საქმე, ნიკოლოზ II-ის მკვლელობის მომზადების საქმე, პოლკოვნიკ რიშანის მკვლელობის მცდელობის საქმე და სხვ.); პროგრესული პრესის წარმომადგენლებს (პოლიტიკურად დაუშვებელი მასალის გამოქვეყნების გამო ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორის, მწერალ ვ. მ. კოროლენკოს საქმე, ჟურნალ

„ნედელიას“ რედაქტორ ბიტნერისა და გამოცემულ გერცივის საქმეები, რომელთაც ბრალი ედებოდათ ლევ ტოლსტოის იმ თხზულებათა გამოცემის გამო, რომელშიც საბრალდებო ხელისუფლება რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნებს ხედავდა; ბოლშევიკების პირველი ლეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ მდივნის ე. გუკოვსკის საქმე, და ა. შ.).¹

პოლიტიკურ პროცესებში დაცვის მდგომარეობის სირთულე იმით გამოიხატებოდა, რომ დაცვა ორ ამოცანას ისახავდა მიზნად: ერთი მხრივ, მას გავლენა უნდა მოეხდინა მეფის, სასამართლოზე, გადაერჩინა დასაცავი პირის სიცოცხლე და თავისუფლება, დაებრუნებინა იგი საზოგადოებისათვის და, მეორე მხრივ — პროცესი გადაექცია იმ ბრძოლის გაგრძელებად, რომელმაც ესა თუ ის რევოლუციონერი მიიყვანა განსასჯელის სკამამდე, ეჩვენებინა საქმის სოციალური არსი, თვითმპყრობელობასთან ბრძოლის კანონზომიერება და სამართლიანობა და ამით ხალხში გაეძლიერებინა პროტესტისა და აღშფოთების ძალა. მაგრამ ერთი ამოცანის შესრულებას ზიანი რომ არ მიეყენებინა მეორისათვის, დამცველს პროცესი უნდა წარემართა მაღალ პროფესიულ და პოლიტიკურ დონეზე, ისე აეგო დაცვა, რომ ერთდროულად გაეთვალისწინებინა ორივე ამოცანა; დამცველი მთელი თავისი საქმიანობით იღეურად სოლიდარული უნდა ყოფილიყო დასაცავი პირისადმი. ლ. ანდრონიკაშვილის პოზიცია ყოველთვის უპასუხებდა ამ მოთხოვნებს. იგი არა მარტო იცავდა განსასჯელის ინტერესებს, არამედ სასამართლო ტრიბუნას იყენებდა ხელისუფლების ორგანოების მოქმედების მხილები-სა და საერთოდ თვითმპყრობელობის კრიტიკისათვის.

3 პოლიტიკური სასამართლო პროცესების სირთულეს განაპირობებდა ისიც, რომ იმ დროისათვის, როცა ლ. ანდრონიკაშვილმა დაიწყო ადვოკატობა, პოლიტიკური საქმეები ჩამოაშორეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და გადასცეს სასამართლო პალატას ნოდებრივი წარმომადგენლების მონაწილეობით, უმეტეს შემთხვევაში კი სამხედრო სასამართლოებს. სამხედრო სასამართლოებში სასამართლო საქმეს მარტივად განი-

¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. პროფ. ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ფონდი, განყ-ბა II. შემდეგში შემოკლებით — „ანდრ.“; სასამართლო პროცესები ლ. ნ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით გამოქვეყნებული იყო რევოლუციამდელ პრესაში, კერძოდ, უმეტესობა გაზეთ „პრავოში“.



ხილავდნენ, პროცესუალური მოქმედებისათვის ვადები შეკვეცილი იყო. დამცველებს ძალზე რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ისინი ელვის სისწრაფით უნდა გასცნობოდნენ საქმეს, შეეკრიბათ და წარედგინათ მტკიცებანი, ექსპრომტად წარმოეთქვათ დასაცავი სიტყვა. ამავე დროს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებისაგან განსხვავებით იქ მოსამართლეებად პროფესიონალი იურისტები იყვნენ, რომელთა გრძობებზე ზემოქმედება ძალზე ძნელი იყო. ამიტომ ძირითადად, ფსიქოლოგიურ და საყოფაცხოვრებო მომენტებზე აკებული დასაცავი სიტყვა წარმატების შანსს არ იძლეოდა. იმისაღმა რასაც საბრალდებო ხელისუფლება ესწრაფოდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ საქმის გარემოებათა საგულდაგულო ანალიზის დაპირისპირება, ფაქტების ლოგიკა და წმინდა იურიდიული ხასიათის მოსაზრებანი. ასეთ პირობებში მუშაობა შეეძლო მხოლოდ იმ დამცველს, რომელიც სრულყოფილად იქნებოდა დაუფლებული იურიდიული ტექნიკის ყველა საშუალებას, რომელსაც უნარი შესწევდა სწრაფად, შემოქმედებითად შეემუშაებინა სამართლებრივი კონსტრუქციები, ღრმად განემარტა კანონი, გამოეძებნა მასში ის საფუძველი, რომელიც სასარგებლო იქნებოდა დაცვისთვის.

ლ. ანდრონიკაშვილი პოლიტიკურ დამცველთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თუმცა, ზუსტად რომ ვთქვათ, იგი ჩვეულებრივი პრაქტიკოსი იურისტი როდი გახლდათ, არამედ — მეცნიერი იურისტი, რომელსაც მრავალგზის აუყვანია დაცვა ისეთ თეორიულ განზოგადებამდე და პრინციპული ხასიათის დასკვნამდე, რომელიც გავლენას ახდენდა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. ლ. ანდრონიკაშვილის საქმიანობის შეფასებისას, ცნობილი რუსი ცივილისტი ი. ლამბაროვი აღნიშნავდა: „...მისმა სასამართლო დაცვამ და მძლავრმა მოტივირებულმა დასკვნებმა ე. წ. პოლიტიკურ დანაშაულთა თაობაზე საფუძველი ჩაუყარეს ამ დანაშაულთა შემდგომი განხილვის სასამართლო პრაქტიკას.“²

თავისი განსაკუთრებული შედეგიანობითა და სასამართლო პრაქტიკაზე ზემოქმედებით, აგრეთვე თავგამოდებული დაცვის მიხედვით ლ. ანდრონიკაშვილის საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „სოჭის რესპუბლიკის“ საქმეს.³ ამ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო ასზე მეტი კაცი. მათ ბრალი ედებოდათ იმაში, რომ თვითმპყრობელობის დამხობის მიზნით შექმნეს რა დანაშაულბრივი ერთობა, ხელთ იგდეს ხელისუფლება, გააუქმეს მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია, დაამყარეს თავიანთი ახალი წესრიგი და აჯანყების ჩახშობისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მეფის სახმელეთო ჯარსა და საზღვაო ფლოტს. ნოვოროსიის სამხედრო სასამართლომ 39 რევოლუციონერს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალა. ამ განაჩენის გამო პროკურორმა პროტესტი შეიტანა მთავარ სამხედრო სასამართლოში. თავისი პროტესტი მან იმით დაასაბუთა, რომ მეფის საიდუმლო განკარგულებით სასამართლებს ეკრძალებოდათ თავიანთი ნებით სიკვდილით დასჯის კატორღით შეცვლა, მაშინაც კი, თუ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი არსებობდა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეეძლო მხოლოდ სიკვდილის განაჩენის გამოტანისთანავე სიკვდილით დასჯის შეცვლის თაობაზე შეამდგომლობა აღედრა სამხედრო ოკრუგის ჯარების სარდლის წინაშე, რომლის შეხედულებითაც წყდებოდა შემდეგ ეს საკითხი. მაგრამ სარდალი, როგორც წესი, განაჩენს არ ცვლიდა ხოლმე. ამავე დროს, როცა პირველი ინსტანციის სასამართლო „ცდებოდა“ და ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას სიკვდილით დასჯას კატორღით ცვლიდა, მთავარი სამხედრო სასამართლო „ასწორებდა“ მის განაჩენს და ძალაში ისევ სიკვდილით დასჯას ტოვებდა.⁴

აი ასეთ ვითარებაში მოჰკიდა ხელი ლ. ანდრონიკაშვილმა „სოჭის რესპუბლიკის“ უიმედო საქმეს. იგი გამოვიდა მთავარ სამხედრო სასამართლოში იმ 39 განსასჯელის დასაცავად, რომელთაც გარდაუვალად სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მეფის საიდუმლო ბრძანების არსებობა რომ შეიტყო, მან სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ასეთი ბრძანება პირველად იმპერატორ ალექსანდრე III-ს გამოუთქვამს სიტყვიერად

აი ასეთ ვითარებაში მოჰკიდა ხელი ლ. ანდრონიკაშვილმა „სოჭის რესპუბლიკის“ უიმედო საქმეს. იგი გამოვიდა მთავარ სამხედრო სასამართლოში იმ 39 განსასჯელის დასაცავად, რომელთაც გარდაუვალად სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მეფის საიდუმლო ბრძანების არსებობა რომ შეიტყო, მან სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ასეთი ბრძანება პირველად იმპერატორ ალექსანდრე III-ს გამოუთქვამს სიტყვიერად

² „ანდრ. ფ.“, დ.-მ.

³ იბ. გაზ. „პრაგო“, 1908 წ., 19 ოქტ. № 42, სვეტი 2302-2304.

⁴ სამხ. სასამართლოების ანდავარ პრაქტიკის აღწერის ნ. ნ. პოლიანსკი წიგნში

1877 წელს, ხოლო შემდეგ იმავე ფორმით დაუდასტურებია ნიკოლოზ II-ს 1905 წლის 8 სექტემბერს. დაცვის ძირითადი ძარღვი სწორედ ის გახლდათ, რომ მეფის ბრძანება საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა კანონს. 1845 წლის სასჯელთა სჯულდება სასამართლოს ანიჭებდა უფლებას ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას სიკვდილით დასჯა შეეცავალა კატორღით — მეფე კი ზღუდავდა ამ უფლებას. ალექსანდრე III-ის ბრძანება ნიკოლოზ II-ემ მაშინ დაადასტურა, როცა ნაწილობრივ მოქმედებდა დიწყო 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდებამ, რომლის საფუძველზეც წაუყენეს ბრალდება სოჭის აჯანყების მონაწილეებს. ახალი სჯულდება კი ძველი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არათუ უფლებას არ ანიჭებდა სასამართლოს მითითებულ შემთხვევებში სიკვდილით დასჯა კატორღით შეეცავალა, არამედ ავალდებულებდა კიდევ მას ასე მოქცეულიყო. ამ ვალდებულებას, — ასაბუთებდა დაცვა, — სასამართლოს აკისრებს კანონი, რომელიც მეფემ დაამტკიცა, და ამ ვალდებულებისაგან სასამართლო შეიძლება განთავისუფლდეს მხოლოდ იმავე წესით, როგორითაც მიღებული იყო კანონი, და არა მეფის ზეპირი საიდუმლო ნება-სურვილით.

ყველა პროგნოზის სანინაღმდეგოდ მოხდა წარმოდგენილი რამ; რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ღრმა ანალიზმა, მსჯელობის რკინისებურმა ლოგიკამ, თვითმპყრობლის თვითნებობის თამამად მხილებამ, ლ. ანდრონიკაშვილის შთაგონებულმა სიტყვამ ზემოქმედება მოახდინა სამხედრო მოსამართლეებზე და მათ ვერ გაბედეს პროკურორის პროტესტის დაქმნაყოფილება. 39 რევოლუციონერი გადარჩა.

„სოჭის რესპუბლიკის“ საქმის თაობაზე გამოტანილ განაჩენს დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება მოჰყვა. ლ. ანდრონიკაშვილს ულოცავდნენ რუსეთის ყველა კუთხიდან. სამადლობლო წერილით მიმართეს მას სოჭის აჯანყების მონაწილეებმა. ისინი წერდნენ:

„დიდად პატივცემულო ლუარსაბ ნიკოლოზის ძე! 1905 — წლის სოჭის შეიარაღებული აჯანყების გამო სამართალში მიცემულნი, და ისინიც, ვინც წინასწარ პატიმრობაში იყო ამ საქმის გამო, გულითად

მადლობას გითვლიან თქვენ მთავარი სამხედრო სასამართლოს წინაშე მართლმსაჯულების ინტერესების მხურვალე დაცვისათვის პროკურორის პროტესტისა და ამ საქმის გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას, რაც დავალებული გვაქვს გამოგვით თქვენ.

მხოლოდ თქვენს გულშიჩანწვდომ სიტყვასა და უეჭველ სამართლიან მოსაზრებებს მიანერენ ისინი საქმის კეთილ დასასრულს და ხანგრძლივი წამების შეწყვეტას.

ერთხელ კიდევ მიიღეთ და გადაეცით დაცვაში თქვენს ამხანაგებს ჩვენი წარუშლელი ღრმა მადლიერების სიტყვები.

ვლად. ტრუველერი
ლევ. ალექსანდროვი
სოჭი, 30 ოქტ. 08⁴⁵

სოჭის აჯანყების საქმემ გავლენა მოახდინა ამდღევარი საკითხების გამო შემდგომი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე; მართალია ამგვარმა პრაქტიკამ დიდხანს ვერ გასტანა, სულ წელიწადნახევარს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არაერთი მებრძოლი იხსნა.

ლ. ანდრონიკაშვილმა შესანიშნავი გამოჩენა მოიპოვა კავალერიის გენერალ გრაფ ივანატიევის მკვლელობის საქმის გამოც. გრაფი ივანატიევი ერთ-ერთ ყველაზე შავნელ ფიგურად ითვლებოდა იმათ შორის, ვინც გარს ერტყა მეფეს. მის სახელთან იყო დაკავშირებული შავრაზმელთა მიერ მოწყობილი მრავალი დარბევა, მასობრივი მკვლელობანი, ძალმომრეობა. ხალხი მას რევოლუციის ჯალათს ეძახდა. გრაფი ივანატიევი მოკლა რეალური სასწავლებლის მონაწილე, სერგეი ილინსკიმ 1906 წლის 9 დეკემბერს ქ. ტვერის თავადანაურთა საკრებულოს შენობაში, სადაც ერობის არჩევნები მიმდინარეობდა, ბუფეტში, სხდომათა შორის შესვენების დროს. თუმცა ტვერში 1906 წლის დეკემბერში გამოცხადებული არ ყოფილა სამხედრო წესები, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა, იუსტიციის მინისტრის თანხმობით, მაინც ვასცა განკარგულება ილინსკი სამხედრო დროის კანონების მიხედვით გაესამართლებინათ. ილინსკის დამცველმა ლ. ანდრონიკაშვილმა სენატში შეიტანა საჩივარი ამ უკანონო განკარგულების თაობაზე, მაგრამ ეს საჩივარი ჩუყურადღებოდ დატოვეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

და ნ ი შ ვ ნ ა

სსრ კავშირის განვრცობის პროკურორის 1982 წლის 19 თებერვლის № 99-ქ ბრძანებით იუსტიციის მინისტრის სახელმწიფო მრჩეველი ვახტანგ აკოლონის ქმარზე დაწესებული საპროკურორის სსრ პროკურორის კირველ მოადგილედ და შეაყვანილია რესპუბლიკის პროკურორის კოლეგიის წევრად.

ვახტანგ აკოლონის ძე რაჭმაძე დაბადებული 1980 წელს, სკკ წევრია 1957 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტიკული ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წელს, 1961 წლამდე იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის პარტიულ საშუალო სკოლის პროკურატურის რედაქციაში მუშაობს 1961 წლიდან. იგი ტყუილის რაიონის პროკურორი. საქართველოს სსრ პროკურატურის სამართლებრივ სისტემას სამართლს სწავლებისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს. განყოფილების პროკურორი ამავე განყოფილების უფროსის მოადგილე, საკომიტიბო განყოფილების უფროსი, 1974 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად, 1980 წლის ივნისიდან ვ. ა. რაჭმაძე

პარტიულ საშუალო სკოლაში, არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

1982 წლის 19 თებერვლიდან საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილეა.

აქტიურად მონაწილეობს პარტიულ, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

არაერთჯერ იყო არჩეული ტყუილის სახალხო დეპუტატთა რაიონული და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, იყო პარტიის ტყუილის რაიონის ბიუროს წევრი, თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი.

მრავალჯერ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკავიო სიგელით დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებული არიან: ლენტეხის რაიონის პროკურორი — ბაქურბაძე ვსლენის ძე, გულრიფშის რაიონის პროკურორი — ბერაბაძე შოთა გორისძის ძე, სიღნაღის რაიონის პროკურორი — ბახუტაშვილი ელიზბარ გიორგის ძე, გურჯაანის რაიონის პროკურორი — ბაბინაშვილი იური ვლადიმერის ძე, ქ. თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე — გომიძე ვთარ იანის ძე, ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსი — გულაშვილი გიორგი სანთის ძე, ქ. ცხინვალის პროკურორი — ენაღვიანი იური ნესტორის ძე, აჭარის ახლ. პროკურორის უფროსი თანაშემწე — იმინაძე ლეონი კაპიტანის ძე, სამტრედიის რაიონის პროკურორი — იმინაშვილი დანიელ გიორგის ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის უფროსი — კლუპოვსკი ვლადიმერ ანდრეას ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის უფროსი — ლოლაძე თამარ ალექსანდრეს ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის უფროსი თანაშემწე — სპინაშვილი გიორგი კონსტანტინის ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი — სინტლაძე ვსლენის ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი — შურბაძე მანანა ვლადიმერის ძე, ხობის რაიონის პროკურორი — შონია კარლო ნიკოლოზის ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის პირველი განყოფილების უფროსი კონსულტანტი — ციციკოვა ანა გარბანიას ძე, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომიებო სამმართველოს პროკურორი — წამბაძე ვსლენ ვსლენის ძე, ყაზბეგის რაიონის პროკურორი — ჯაბახიშვილი ვსლენის ძე.

დაჯილდოება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1982 წლის 17 მაისის № 401 ბრძანებით, სსრ კავშირის პროკურატურის მესამეცე წლისთავის გამო, პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის „სსრ კავშირის პროკურატურის“ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის მრჩეველი ანზორ მიხეილის ძე ბარბაქაძე დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „პროკურატურის საპატიო მუშაკი“, და გადაეცა სიგელი და ფულადი პრემია.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1982 წლის 6 მაისის № 864 ბრძანებით, სსრ კავშირის პროკურატურის მესამეცე წლისთავის გამო, პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, „სსრ კავშირის პროკურატურის“ კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, დაჯილდოებული არიან სამკერდე ნიშნით „პროკურატურის საპატიო მუშაკი“, გადაეცათ სიგელი და ფულადი პრემია: ბადრიძის ელგუჯა გიგოს ძეს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს, გორის რაიონის პროკურორს; მირიქაძის შროთა მალაქიას ძეს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს, ქ. ჭიათურის პროკურორს; ნანიტაშვილს სოლომონ სარგის ძეს, იუსტიციის უფროს მრჩეველს, ქ. თბილისის პროკურორს; ხაბუღიანს გიორგი ბაგის ძეს, იუსტიციის მრჩეველს, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებელს.

ხაბჭოთა ადვოკატურის სამოც წელთან დაკავშირებით წახალისებულია საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებული არიან:

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით — ფარნაოზ დავითის ძე მამუჩაშვილი, ზაურ ვახილის ძე კალანდაძე, მიხეილ ბიჭორის ძე აღმაშვილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით — აკაკი ივანეს ძე შარაშიძე, გურამ პლატონის ძე უგრეხელიძე, ჯამბაკურ კაბატონის ძე ხაქრაძე, ალექსანდრე დოკაძე სტურუა, იაკობ სოლომონის ძე როზნერი, სერგო ბეგლარის ძე ბეგლარიშვილი, თამარ პლატონის ასული ფაღავა, ვალენტინ მიხეილის ძე ჯუღელი, ირაკლი ანდროს ძე ნანუკაშვილი, ფილიპე სტეფანეს ძე თოდუა, ლევან მიხეილას ძე ზაირიკი, მარიამ ჯაქარიას ასული გავნიძე, თინათინ პანტელიშვილის ასული გიორგობიანი, ვახტანგ ალექსის ძე სიღამონიძე, ეოზეფინა გალაქტიონის ასული ხუციშვილი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით — ვარლამ დიმიტრის ძე ქეცია, ნინო გიორგის ასული ბარაშიძე, ვახტანგ ივანეს ძე ქიტაშვილი, ნენამა ლეიბის ასული ბერმანი, ივანე ჯაქარიას ძე ხეჩუაშვილი, იროდი ანტონის ძე ხარჩილაძე, დავით იოსების ძე არჭევანიშვილი, შალვა ჯაქარიას ძე კასარელი, ოთარ ბიკენტის ძე კიკვიძე, ვახტანგ ნიკოფორეს ძე ლესელიძე, ლევან ბესარიონის ძე ფარქოსაძე, დავით იოსების ძე დგებუაძე, ლოლა პართენის ასული ბერუჩაშვილი, აკაკი არსენის ძე კოტრიკაძე, ნესტორ ონისიმეს ძე შენგელია.

კოლეგიის წევრთა დიდ ჯგუფს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა გამოუცხადა მადლობა.



ქ ე ნ რ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების
სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის

წესის შესახებ

საქალაქო
სამართლებრივი
კანონი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი შეიძლება გაწვეულ იქნენ ამომრჩეველთა მიერ, თუ ვერ გაამართლეს მათი ნდობა ან ჩაიდინეს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება.

მუხლი 2. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქვეშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოლხე-რაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითს კოლექტივებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს, ხოლო სახალხო მსაჯულის მიმართ — ასევე ამომრჩეველთა კრებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, კრებები, რომლებიც აღძრავენ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხს, აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ მას გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს აღნიშნით.

სახალხო მოსამართლესა და სახალხო მსაჯულს უფლება აქვთ წარუდგინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებსა და კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას.

მუხლი 4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და კრებების გადაწყვეტილებანი, რომელთაც აღძრეს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხი, იგზავნება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარდგენილ მასალებს და თუ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დანიშვნის შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, კოლექტივებისათვის, ისევე, როგორც საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი ავტაციის უფლება სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ, ანდა წინააღმდეგ.

პარტი II

სახალხო მოსამართლის გაწვევის წესი

მუხლი 6. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე შეიძლება გაწვეულ იქნეს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესაბამისად მეთვალყურეობისა და ოლქში კენჭისყრის შედეგების დადგენისათვის იქმნება რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოლხეობრივი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის 6-10 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხი განიხილება და წყდება შესაბამის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებებზე, რომლებიც ტარდება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ჯარის ნაწილებში და ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ: შრომით კოლექტივებში — ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯარის ნაწილებში — ნაწილთა მეთაურობა, ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს მოცემულ შრომით კოლექტივებში მომუშავე, ჯარის ნაწილში მყოფ ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით. კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დეგმა ოქმი.

მუხლი 9. ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი სახალხო მოსამართლის გვარი, სახელი, მამის სახელი; სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისიის.

მუხლი 10. ამომრჩეველთა კრების ოქმების საფუძველზე სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია დათავლის ოლქში სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემულ ხმებს, დაადგენს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს და ამის თაობაზე აცნობებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ ატყობინებს შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას.

მუხლი 11. სახალხო მოსამართლე გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა მოცემული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 12. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს არა უგვიანეს ხუთი დღისა მათი დადგენას შემდეგ გამოაქვეყნებს სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია.

მუხლი 13. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის ჩატარების დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია.

სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

პარი III

სახალხო მსაჯულის გაწვევის წესი

მუხლი 14. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც იგი აირჩიეს.

კრებები ტარდება ამომრჩეველთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრება — ჯარის ნაწილებში.

კრებებს იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამომრჩეველთა კრებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს — ჯარის ნაწილთა მეთაურობა.

კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს მოცემულ შრომითს კოლექტივში მომუშავე, ჯარის ნაწილში მყოფ ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აარჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი.

მუხლი 15. სახალხო მსაჯულის გაწვევისას ამ კანონის შესრულებას მეთვალყურეობს უწევს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 16. ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი; სახალხო მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 17. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კრების ოქმს და თუ გაწვევა ჩატარდა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 18. სახალხო მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 19. სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კენჭისყრის ჩატარების დროს ამ კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

დებენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1982 წლის 1 თებერვლიდან.
2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონმდებლობა „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს“ და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.
3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1982 წლის 1 თებერვლიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონმდებლობა „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს“ და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

ინფორმაცია

საინჟინერო საზოგადოება

1982 წლის 24 მაისს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა საინჟინერო საზოგადოებას ადვოკატურის შექმნის სამოცი წლისთავის გამო.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა პ. შუშანაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა იმ დიდი უარადლების შესახებ, რასაც უკანასკნელ წლებში საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი იჩენს რესპუბლიკის ადვოკატურის მიმართ.

მოხსენებით „საბჭოთა ადვოკატურის სამოცი წელი“ გამოვიდა რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. როინიშვილი.

სიტყვებით გამოვიდნენ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი მ. ალხაზიშვილი, ქ. თბილისის 9^ე რაიონის რაიონის იურიდიული კონ-

სულტაციის ადვოკატი ბ. ხომარაძე, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი, ადვოკატი პ. ჯანაშვილი.

ადვოკატებს იუბილე მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე პ. ანაბაძე.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამამულო ომში დაღუპული და გარდაცვლილი ადვოკატების ხსოვნას.

ადვოკატთა ჯგუფს და ცალკეულ იურიდიულ კონსულტაციებს გადაეცათ იუსტიციის სამინისტროსა და ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

სადამოს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რაბინანი, იუსტიციის მინისტრის მოადგილეები პ. კვიციანი და პ. ბაბაძე.

5. ბირკაძე.

‘რუსეთის რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის სამართალმცოდნეობის სექციის შემაჯამებელი სხდომა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა რ. შენგელიამ. სამართალმცოდნეობის წრეებში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს სამართლის სხვადასხვა საკითხებზე.

თბილისის 51-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის გიორგი თედორაძის თე-

მა იყო „საზოგადოების როლი საბჭოთა კანონების და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში“, წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ცირა ქისტაურისა — „ლევკი ლომისა სწორია“, თბილისის მე-12 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის დავით ჭიბლაძისა — „სასჯელის ცნება და მიზნები“, თბილისის 154-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის ზესიკ საბაშვილისა — „საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, თბილისის 117-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის ია დეკანოზიძისა — „სამშობლოს

ღალატი“, ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ნინო ყუფარაძისა — „ოჯახი და ქორწინება სოციალიზმის დროს“, თბილისის 117-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ნანი ბიჭაშვილისა — „მორალი და სამართალი“, თბილისის 107-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ირმა ფანჯიკიძისა — „რა არის დანაშაული“, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ბესიკ ხონელიძისა — „ახალგაზრდობის ძირითადი უფლებები და მოვალეობები“, თბილისის 65-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის დალი ჩიჩნაშვილისა — „რა იყო საჭირო, ეს რომ არ მომხდარიყო“, თბილისის 46-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის მანანა ზაუტაშვილისა — „ქალის უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში“, აბაშის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ნანა ჯალაღონიასი — „რატომ მიიწა ვაგხდე იურისტი“, თბილისის მე-8 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ცირა თიფიფეასი — „სამხედრო იუსტიცია და პროკურატურა დიდი სამამულო ომის წლებში“.

კონფერენციის მონაწილენი დიდი ინტერესით შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგის პავლე პერძენიშვილის გამოს-


ვლას, რომელმაც ისაუბრა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებზე, ყურადღება გაამახვილა დიდი სამამულო ომის წლებში სამხედრო იურისტების მოღვაწეობაზე.

დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ბ. ფურცხვანიძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ნ. წერეთელმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები; ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მოწინავე სტუდენტები, აგრეთვე თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თანამშრომლები, რესპუბლიკის საშუალო სკოლების სამართალმცოდნეობის პედაგოგები და ამ საგნით დაინტერესებული მოსწავლეები.

ე. გუზარანიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი რედაქტორი.



ცნობები ავტორთა შესახებ

ანგორ მინვილის ძე ბარბაქძე — საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

აკოლონ იაკობის ძე ფალიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, 128 მეცნიერული შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ოლია გიორგის ასული ჯანბური — რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალექსანდრე ამირანის ძე უზუნაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 28 მეცნიერული შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გრიგოლ ვასილის ძე როდინიშვილი — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მამია ხარბთონის ძე კომახიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 26 შრომის, მათ შორის ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

შოთა გიორგის ძე ფაფიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცამდე შრომისა და 8 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ჯორჯ გიორგის ძე ახვლედიანი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

მინვილ ჯაპარიას ძე ქურღაძე — ქ. რუსთავის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 30 შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ვლადიმერ გიორგის ძე მასაშვილი — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის ჩგუფის ხელმძღვანელი, 60-ზე მეტი შრომის, მათ შორის 4 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.



გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს წარმომადგენლები საუკეთესო გამომძიებელ-თა საკავშირო კონფერენციაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): საქართველოს სსრ პროკურატურას განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის მრჩეველი ბ. ხაბუაძე, თბილისის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, პირველი კლასის იურისტი მ. ნიკოლაიშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ბ. წურჭუბია, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი პ. რაზ-მაძე, ქ. რუსთავის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი მ. ჭურღაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ბ. ალაძე, ქ. სოხუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, პირველი კლასის იურისტი მ. კვიციანი და ლაგოდეხის პროკურატურის გამომძიებელი, პირველი კლასის იურისტი მ. ხარაიშვილი.

ინფორმაცია კონფერენციის შესახებ იხილეთ გვ. 64—66.

ფოტო პ. გენგიური.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3, 1982 (на грузинском языке).
Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანქარი 60333.

ნიმუში 70185

ფ 142/31

